ეროვნული ბიბლიოთეკა

# ივერია

ქართული ეროვნული პოლიტიკის ორგანო
პერიოდული გამოცემა

L'organe de la politique nationale Géorgienne
„IVERIA"

Directeur E. PATARIDZE. სარედაქციო კოლეგია.

დეკემბერი-იანვარი 1953 № 5 - 6 Décembre-Janvier 1953

ი-543

## შინაარსი:

1. ნოე ჟორდანია ..... ***
2. ამერიკა და რუსეთი ..... ალ. ასათიანი
3. განმარტება და გაფრთხილება ..... ქარ. ერ. პოლ. ცენტრი
4. შალვა ჭარუმიძე ..... ალ. ასათიანი
5. საით მიდიან? ..... დიმ. სინჯიკაშვილი
6. სად არის ჩვენი ადგილი? ..... დონ - ჩინი
7. ქართული ემიგრაცია ..... ტოროლა
8. ერ.-დემოკრატიული პარტია ..... ელ. პატარიძე

(გაგრძელება—მეორე გვერდზედ).

საქართველოს ეროვნულ - დემოკრატიული პარტია.
LE PARTI NATIONAL DEMOCRATE GÉORGIEN

პარიზი — PARIS
1953

9. დემოკრატიული რეჟიმისათვის ..... ს. ჭირაქაძე
10. გაბზარული გული ..... შ. კალანდაძე
11. საბჭოების აგრარული სოციალიზმი ... აბდული
12. ამერიკული კომიტეტი ..... ***
13. კათალიკოს - პატრიარქი მელხისედეკი .. ***
14. აღდგომებში დალუპულთა ხსოვნის დღე ***
15. კავკასიის ერთა კონფერენცია ..... ***
16. ქართული ევროპიული მოძრაობა ..... ***
17. ამერიკის ხმა ..... ***
18. უცნაური დემოკრატია, უცნაური პარლამენტი ..... გუშაგი
19. ქართული „ეროვნული საბჭოს“ რეფერენდუმი მეთვალყურე
20. უკრაინული კონგრესმანები ..... ***
21. ეჭიმი ალშიბაიას შესახებ ცილისწამების საქმე. ..... ***
22. ქრონიკა ..... ***
23. „ივერიის“ ფონდი ..... ***

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ივერია

ქართული ეროვნული პოლიტიკის ორგანო
პერიოდული გამოცემა

დეკემბერი-იანვარი 1953 № 5-6 Décembre-Janvier 1953



ნოე ჟორდანია
1868 — 1953

ბუნკა მარკ
ბიბლიოთ

# ნ ო ე ჟ ო რ დ ა ნ ი ა

11 იანვარს ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობის თავმჯდომარე ნოე ჟორდანია.

განსვენებულის მოღვაწეობა ფრიად დიდია მანძილითა და შინაარსით. ამ მცირე წერილში ჩვენ აღვნიშნავთ მხოლოდ მის უმთავრეს ხაზებს. თავისი მოღვაწეობის პირველი ნახევარი ნოე ჟორდანიამ საესებით შესწირა ჩვენს ქვეყანაში სოციალისტური მოძრაობის შექმნას. აქ მან გამოიჩინა ფრიად დიდი ნიჭი, ნებისყოფა და ენერგია. 30 წლის მანძილზედ მან დიდ პოლიტიკურ ძალად გადააქცია მცირერიცხოვანი რევოლიუციონური ჯგუფი, და ის გახადა დიდი საზოგადოებრივი მოვლენების თანმხლები და მონაწილე. ამ ჯგუფის გაჩენიდან, თავის ცხოვრების დასასრულამდე, მთელი 60 წლის მანძილზე, ნოე ჟორდანია იყო მუდმივი მეთაური და ხელმძღვანელი ამ პოლიტიკური დაჯგუფების, რაც ფრიად იშვიათი მოვლენაა ხალხთა პოლიტიკურ ცხოვრებაში.

ნოლო ნ. ჟორდანიის მიერ შექმნილი მოძრაობა არ იყო დაფუძნებული ჩვენი ქვეყნის ძირეულ ეკონომიურ და პოლიტიკურ ინტერესებზედ და ჩვენი ერის ხასიათის თვისებებზედ, არამედ გარდამავალ მოვლენებზედ და ხალხის სულიერ განწყობილებაზედ. ამის გამო თვით ეს დიდი მოღვაწეობაც ვერ დაუმკვიდრებდა განსვენებულს დიდ ადგილს საქართველოს მატიანეში.

ეროვნული ცხოვრებისა და მისი ისტორიის საზომით უფრო დიდი იყო და მნიშვნელოვანი ნოე ჟორდანიას მოღვაწეობის მეორე ნახევარი, როდესაც განსვენებულის მოქმედება გამოვიდა მის მიერ შექმნილ პარტიის ჩარჩოებიდან, და საერთო ეროვნულ ასპარეზზედ გაიშალა. განყენებულ სოციალისტურ და ინტერნაციონალურ იდეებზედ აღზრდილი პარტია ნოე ჟორდანიამ ეროვნულ დროშის ქვეშ დააყენა, და მით შესაძლებელი გახადა საქართველოს სახელმწიფოებრივობის აღდგენა ეროვნულს ერთსულოვნობაში და მთლიანობაში. ამის შემდეგ, 35 წლის მანძილზედ ნოე ჟორდანიას მოღვაწეობა 26 მაისის დროშის ქვეშ სწარმოებს, ეროვნულ სუვერენობის განმტკიცებას ემსახურება და, მისი დაკარგვის შემდეგ, მის კვლავ აღდგენისათვის წარმოებულ ბრძოლის საქმეს. ვინც მიიღებს მხედველობაში ღრმად მოხუცებულ და დასნეულებულ მებრძოლის მდგომარეობას ამ უკანასკნელ წლებში, განსვენებულს ვერ დააკისრებს პასუხისმგებლობას იმ მძიმე კრიზისისათვის, რომელსაც განიცდის ამ ჟამად ქ ა რ თ უ ლ ი ემიგრაციის სოციალისტური ნაწილი. ჩვენი დროის მემატიანე უთუოდ ასე დააფასებს ამ მოვლენას.

ნოე ჟორდანია შეაღებს საქართველოს ისტორიის კარებს იმ დროშით, რომელიც მან ა ღ მ ა რ თ ა საქართველოს დედა-ქალაქში 1918 წლის 26 მაისს, და იქ დაიკავებს ღირსეულ ადგილს იმ დიდ ქართველთა შორის, რომელნიც მრავალ საუკუნეთა მანძილზე იბრძოდენ და იღვწოდენ ქართველი ერის თავისუფლებისა და ღირსებისათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ა მ ე რ ი კ ა  დ ა  რ უ ს ე თ ი

ამერიკის შტატების ახალ პრეზიდენტს, გენერალ ეიზენჰოვერს, ბედმა დააკისრა ბუმბერაზული მისია, რომლის მსგავსს ჩვენ ვერ ვიპოვნით კაცობრიობის მატიანეში. ამ ზომად გამრავლებული და ეკონომიური, კულტურული, და პოლიტიკური ურთიერთობით შეკრული და გაერთიანებული კაცობრიობა დღეს ორად არის გაკვეთილი, ორ სამკვდრო-სასიცოცხლოდ დაპირდაპირებულ ბანაკად დაყოფილი. ხალხთა ცხოვრებაში დარღვეულია ყოველგვარი წონასწორობა, ყოველგვარი სიმკვიდრე, დადგენილი წყობა და წესი. ხალხთა მორალური, პოლიტიკური და ეკონომიური ცხოვრების ამ განუწყვეტელ რღვევისა და დაშლის მოწამე ადამიანი შიშით არის შეპყრობილი. ის ჰგავს იმედს, რომ კიდევ არის შესაძლებელი თანამედროვე ცივილიზაციის გადარჩენა და ხალხთა ნორმალური ცხოვრების აღდგენა. ასეთი ვითარება ხელს უწყობს დესტრუქტიულ ძალების გამრავლებას მთელ მსოფლიოს სივრცეზედ, და ამასთან ერთად იზრდება უიმედობაში ჩავარდნილთა და ყოველივე უარესის წინასწარ შერიგებულთა რიცხვი. მიუხედავად ამისა, ჯერ კიდევ საკმაოდ მრავალრიცხოვანია ჩვენს პლანეტაზედ ისეთები, რომელთაც არ დაკარგავთ თანამედროვე ცივილიზაციის გადარჩენის იმედი, და მზად არიან მისთვის იბრძოლონ და მსხვერპლი გაიღონ. კაცობრიობის ამ ნაწილის თვალ-ყური ამერიკიდან მიპყრობილია ჩრდილო ამერიკის შტატებზედ და მის ახალს მეთაურზედ. ეს ქვეყანა ყველაზედ უფრო ძლიერია ეკონომიურად და მილიტარულად, ყველაზედ უკეთ დაწყობილი პოლიტიკურად და ამ მსოფლიოს აღრეკვითა და დაშლილობით სხვებზედ ნაკლებად შელახული სულიერად და მორალურად.

მართალია, პრეზიდენტმა ტრუმანმა უკვე მოახდინა მსოფლიო პოლიტიკის მნიშვნელოვანი შეტრიალება. დამბლა დაცემული მსოფლიო დემოკრატია, ათეულ წელთა მანძილზე გულ-ხელ დაკრეფილი რომ უმზერდა მის დანგრევის მიზნით ამხედრებულ ბოლშევიზმის უმაგალითო ზრდას, ამ უიმედო დაბნეულობიდან გამოიყვანა და აქტიური თავდაცვის ხაზზე დააყენა. ამერიკის ფინანსური და ტეხნიკური დახმარებით დემოკრატიული ქვეყნები ეკონომიურად მომაგრდენ—შეიარაღდენ და საომარ-პოლიტიკურ კავშირში დალაგდენ. ისინიც ჩაებენ იმ ცივსა და ფსიხოლოგიურ ომში, რომელსაც აქამომდე ბოლშევიკები აწარმოებდენ მონოპოლიურად და დიდის წარმატებით. მაგრამ მოვლენათა დენაში გამოირკვა, რომ ყოველივე ეს სრულიად არ არის საკმარისი და ვერ გაიდაწყვეტს დასახული ამოცანას. ამერიკის ახალ სტატსეკრეტარმა ფოსტერ დალესმა მოკლე ფრაზებით გამოსახა აზრი, რომელიც უთიუოდ მიჩნეულია ამერიკის ახალი პოლიტიკის სახელმძღვანელო იდეათ. დინამიური ამარცხებს სტატიურს, იდეა და მორალი უფრო ძლიერი ძალაა, ვიდრე მატერიალურია. მსოფლიო დამოკრატია რომ ბოლშევიკურ სამყაროზედ გაცილებით უფრო ძლიერია მატერიალურად. ეს არავისთვის არ არის საფიქრალი. მისი იდეებიც კიდევ გაცილებით უფრო ამაღლებულია და ხალხთა ცხოვრებაში გამართლებული. ვიდრე ბოლ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

შევიზმი, რომელიც ყველგან უმაღალითო ტირანიის სახეს ღებულობს; ხოლო საკითხი იმაშია, რომ ბოლშევიზმის იდეოლოგია, პოლიტიკური და ეკონომიკური წყობა, ჯარი, ადმინისტრაცია, პარტია და ყოველი ძალა და საშუალება ამ მსოფლიო მასშტაბით წარმოებულ ბრძოლისთვის არის განწესებული და მის საჭიროებებზედ განზომილი და მორგებული. დემოკრატიული ქვეყნების ეკონომიკა და პოლიტიკა კი სულ სხვა ნიადაგზედ და სულ სხვა დანიშნულებისათვის არის შექმნილი. ეს მსოფლიო მასშტაბით დაწყებული ბრძოლა ახალი საქმეა მათთვის, ნაკლებად მორგებული და შეთავსებული მათ პოლიტიკურ და სოციალურ წყობასთან, მათი ერების ცხოვრების ზნე და წესთან. ამით აიხსნება რომ გიგანტიური გეგმით დაწყებული ეს ცივი ომი, ფსიქოლოგიური ომი და მტრის ქვეყნებში რევოლიუციონური მოძრაობების შექმნა ჯერ კიდევ ზანტად მიმდინარეობს, ან ჯერ კიდევ ქალაქზედ რჩება. გენ. ეიზენჰოვერის გამჭრიახი გონება და გამოცდილი თვალი უთუოდ კარგად ხედავს, რომ ამ გიგანტური ამოცანის შესრულებისათვის არ იქნება საკმარისი დემოკრატიული ქვეყნების დივიზიები, მათი მთავრობები და მათი პოლიცია, არაბედ საჭირო გახდება დარაზმვა ბოლშევიკურ ტირანიის ხელში ყოფ ქვეყნებისა და აგრეთვე ყველგან, მთელ მსოფლიოს სიერცეზედ ყველა ჯანსაღი, ანტიბოლშევიკური ძალების და ცხოვრების ყველა დარგში, ყველა სფეროში, ქალაქად თუ სოფლად, ქარხნებში, თუ ბიუროებში, და ბოლშევიკურ დესტრუქტიულ მუშაობისათვის დაპირდაპირება ყველგან, სადაც ის ირღვევისა და დაშლის საქმეს აწარმოებს. ეს დიდი საქმე ვერ მოგვარდება, რასაკვირველია, მხოლოდ მთავრობათა ოფიციალურ აპარატებისა და მათი მოხელეების ხელით. მათთვის ის ახალია, უცნობი და შეუჩვეველი. საჭირო გახდება შემოკრება და მოქმედების პირველ რიგებში ჩაყენება ყველა ქვეყნების იმ წრეებისა, რომელნიც თვითონ აწარმოებენ ათეულ წელთა მანძილზედ ასეთ ბრძოლას, თავისი სუსტი ძალებით და ხშირად საშინელს პირობებში. უნივერსალური სამკვდრო-სასიცოცხლო დაპირდაპირების ეხლანდელი ვითარება მოითხოვს მსოფლიო დემოკარტიის ყველა ძალებისა და საშუალების თავის მოყრას და დარაზმვას ასეთი გიგანტური გეგმით, და ამ ძალების აღჭურვას მხედრული დისციპლინითა და ხელმძღვანელობით. თუ კიდევ შესაძლებელია ახალი მსოფლიო ომის საშინელების თავიდან აცდენა, ეს მხოლოდ ამ გზით მოხერხდება. კომუნიზმის იდეოლოგია სავსებით გაკოტრებულია და მით მეტად დასუსტებულია და მიმჭრალი მისი რევოლიუციონური დინამიზმი. ამ ძალის ტექნიკური და მატერიალური შესაძლებლობაც უკვე ველარ სწვდება ამ გიგანტური ბრძოლის საჭიროებას. ყველა თავის ძალითა და შესაძლებლობით აღჭურვილი მსოფლიო დემოკრატიის გამოჩენა ბრძოლის ასპარეზზედ ყოფნა-არყოფნის მტკიცე გადაწყვეტილებით, სავსებით შესაძლებელია, გამოიწვევს უკვე საკმაოდ დაღლილ და გაცვეთილ ბოლშევიკურ ძალებში მნიშვნელოვან სულიერ შოკს და მორალურ დეპრესიას. ხოლო თუ ეს დაიწყება, ამ ძალის დაშლის პროცესი იქნება კიდევ უფრო სწრაფი, ვიდრე იყო მისი ზრდა და გაძლიერება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

* * *

ამერიკის პოლიტიკა თავდაცვიდან შეტევაზედ გადადის. ასე აფასებენ ჯან ფორსტერ დალესის სიტყვას და, განსაკუთრებით, მის განცხადებას — ამერიკის პოლიტიკის უმთავრესი ამოცანაა ბოლშევიკურ მონობაში მყოფი ერების განთავისუფლებაო.

სტალინმა უთუოდ წინასწარ გაითვალისწინა მსოფლიო დემოკრატიის ბრძოლის ახალ ეტაპებზედ გადასვლის აუცილებლობა, და შეიძლება ისიც, რომ მას მეთაურად მოევლინებოდა ის, ვინც უკვე დაამსხვრია ბოლშევიზმზე არა ნაკლებ მომზადებული ჰიტლერიზმის ძლიერება. ამის გამო კომუნისტური პარტიის მეცხრამეტე ყრილობა მან ყველა თავის ძალების მობილიზაციისა და სამხედრო ფეხზედ დაყენების დროშის ქვეშ ჩაატარა. მართალია, მას აქ არსებითად ახალი არაფერი უთქვამს, მაგრამ ეს არც იყო საჭირო. მებრძოლ ბოლშევიზმის, სტალინიზმის, დოქტრინა და მთელ მსოფლიოს სივრცეზედ მისი განადგურებისათვის ბრძოლის და მოქმედების სტრატეგია მან უკვე მეათე ყრილობაზედ გამოაქვეყნა, 1930 წელს. მიუხედავად იმისა, რომ ბოლშევიზმმა ნაწილობრივათაც ვერ გაამართლა მაშინდელი დაპირებები ხალხთა ცხოვრების ყოველგვარი კეთილდღეობის სწრაფად ამაღლების შესახებ, სტალინმა კვლავ განიმეორა ეს გაკოტრებული აღთქმები. მან კარგად უწყის, რომ ხალხის უმრავლესობას გულუბრყვილონი და ალალმართალნი წარმოადგენენ. ისინი კვლავ დაიჯერებენ და კვლავ მოტყვილდებიან. ამათ მიემატება კიდევ ისეთი წრეები, რომელნიც ნათლად ხედავენ კომუნისტური დაპირებების გაკოტრებას, ხოლო მათ აინტერესებთ სტალინის ის ერთად-ერთი დაპირება, რომელიც მან სავსებით, და დიდის გადაჭარბებითაც გაამართლა. ეს არის თანამედროვე სოციალ-პოლიტიკური ცხოვრების ნგრევისა და დაწლის საქმე მთელი მსოფლიოს სივრცეზედ. ამ უნივერსალურ მსხვრევა-რბევაში ესენი რალაც ინტერესს ჰპოულობენ, რალაც საოგებლობას ეძებენ. აქ არიან არა მარტო ღარიბნი, ბედით დასჯილნი, არამედ მდიდრებიც, ცხოვრების სხვა და სხვა დარგში ამაღლებულნი, მეცნიერები, მწერლები, არტისტები, დიდი მოხელეები და თვით გენერლებიც... თანამედროვე დემოკრატია მეტად პრიმიტიულად არის აშენებული ძველ საბერძნეთის დემოკრატიასთან შედარებით. ის სრულს თავისუფლებას ანიჭებს ისეთი პირების მოქმედებას, რომელნიც დიდს საოგებლობას ჰპოულობენ ამ დემოკრატიულ წყობაში და იმავე დროს ახდილათ იღწვიან მისი დანგრევისათვის. ამ სახით სტალინს ფრიად ბრავალრიცხოვანი ამალა ჰყავს მთელ მსოფლიოს სივრცეზედ. ბევრი ფიქრობს, რომ ბოლშევიზმით დასნეულებულთა უმრავლესობა რკინის ფარდის იქით არის მოქცეული. ნამდვილად კი იმ ქვეყნებში, სადაც ხალხებმა ნახეს და გამოცადეს ბოლშევიკური ტირანიის საშინელება, ასეთების რიცხვი მეტად მცირეა და ამ წყობაში ამაღლებულთა რიცხვს არ აღემატება დიდათ. მათი რიცხვი გაცილებით უფრო დიდია ამ რკინის რიდეს აქეთ, თავისუფლების საბყაროში, ცხოვრების ყოველს დარგში მეჭრილნი და ბოლშევიზმის გამარჯვებისათვის ახდილად თუ ფარულად მებრძოლნი და მომქმედნი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კაპიტალიზმის ამ მრავალრიცხოვან ფენებიდან ბოლშევიზმი თავის დროშის ქვეშ იკრებს და რაზმავს ეფრო აქტიურსა და კბილებ დალესილ ელემენტებს. სტალინი დიდი შეფია ამ ძალების და მას მოუპოვებია საკმაო ავტორიტეტი და სათანადო აპარატიც მისი მაქსიმალურად გამოყენებისათვის. მეცხრამეტე ყრილობაზედ მან კიდევაც გასცა ბრძანება ამ ძალების საომარ ფეხზედ დაყენებისათვის. ხოლო ფრიად საეჭვოა, რომ ის ჰფიქრობდეს ევროპაზედ გადასვლას და ახალ მსოფლიო ომის გაჩაღებას. მან კარგად უწყის, რომ დემოკრატიული მსოფლიო დაუძლეველი ძალაა, როდესაც სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში ჩაებმება. სტალინი ადვილად გაითვალისწინებს, რომ ასეთს შემთხვევაში ბოლშევიკური იმპერიასაც ის მოელის, რაც შეემთხვა ჩვენი დროის ყველა დიდ იმპერიებს და უკანასკნელად ნაცისტურ და ფაშისტურ ძლიერებას.. ხოლო არც ნადვილი ზავია მისაღები მისთვის. ის მისგან დიდს მსხვერპლს მოითხოვს — სტალინიზმის გაწირვას, ფაქტიურად და არსებითად. მისთვის იდეალურია არსებული მდგომარეობის გაგრძელება — არც დიდი ომი და არც დიდი ზავი, არამედ ცივი ომი, აქა-იქ შეცხელებული, დემოკრატიულ სამყაროს შიგნიდან ორღვევა და ამ გზით მისი საბოლოოდ დამხობის შემზადება. ხოლო სტალინი უთუოდ იმასაც ვარაუდობს, რომ შეუძლებელი გახდება ხანგრძლივად სვლა ამ გზით, და ის საბოლოოდ და შეიძლება მახლობელ დროშიც, უნივერსალური სამკვდრო-სასიცოცხლო შეჯახებით დამთავრდება. ამისთვის კომუნისტურ ყრილობაზედ მან გააჩაღა ამ მოსალოდნელ ომისათვის მზადების თავდადებული. სტალინმა ნიშანში ამერიკა ამოიღო, ხოლო სხვა დემოკრატიულ ქვეყნებს მოეფერა და მოუალერსა. მან კარგად უწყის, რომ ეს ევრო შეიტანს დემოკრატიულ მსოფლიოს ბანაკში რაიმე უნდობლობას და უთანხმოებას. მას უთუოდ მიზნად ჰქონდა დასახული თავის ბოლშევიკური ძალების დაიმედება და მათში დემოკრატიულ ფრონტის შიგნიდან დასუსტების და დაშლის ილიუზიების დანერგვა.

* * *

მსოფლიოს ორ ბანაკად დაყოფა, კაპიტალისტური და დემოკრატიული ამერიკისა და კომუნისტური რუსეთის მეთაურობით, იდეოლოგიურ დაპირდაპირებად არის მიჩნეული. ასევე იდეოლოგიურ ომად იწოდება მათ მიერ ცივი ომის წარმოება და ცხელი ომისათვის მზადება. ერთის მხარეზეა ტირანია და მონობა, და მეორეზედ — დემოკრატია და ეკონომიურ-პოლიტიკური თავისუფლება. ეს უთუოდ სწორია, ხოლო ნაწილობრივ.

ასეთ იდეოლოგიურ ომებს წარსულში, რელიგიური თუ რევოლიუციონური დროშით წარმოებულნ, მუდამ თან დასდევდა მეორე ხშირად კიდევ უფრო მნიშვნელოვანი ინტერესი, არა იდეოლოგიური, არამედ მატერიალური — ტერიტორიების დაპატრონება, სიმდიდრის შეძენა, პოლიტიკურ და ეკონომიურ უპირატესობათა მოპოვება და სხ. ამერიკა-რუსეთის დაპირდაპირებაშიც არსებობს ეს მეორე საფუძვე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლი და ის უფრო ძველია, ვიდრე მათი ის იდეოლოგიური მტრობა. ის გამჟღავნდა ისეთს ეპოქაში, როდესაც არც კომუნისტური პარტია არსებობდა სადმე, და თვით სიტყვა „სოციალიზმი“ ჯერ კიდევ არ იყო გამოგონილი. ახალგაზდა და ჯერ კიდევ სუსტი ამერიკის შტატებისა და მძლავრი რუსეთის იმპერიის ერთმანეთის წინააღმდეგ დარაზმვა იმ დროიდან დაიწყო, და ეს მათი დაპირდაპირება არასოდეს შეწყვეტილა, თუმცა ამ უკანასკნელ წლებამდე არც არასოდეს გამჟღავნებულა საქვეყნოდ და ახდილად. ამერიკის პირველი დიდი პოლიტიკური დოქტრინა, მონროეს დოქტრინად წოდებული (1823 წ.), რუსეთის იმპერიალიზმის წინააღმდეგ იყო მიმართული, და ასევე მის წინააღმდეგ არის მიმართული ამერიკის უკანასკნელი, ტრუმანის დოქტრინა (1947 წ.). პირველი იყო სუსტი ამერიკის დოქტრინა და ის ამერიკის კონტინენტის დაცვის მიზნით იყო შემოფარგლული, რის გამო მას იზოლაციონური უწოდეს; ხოლო ტრუმანის დოქტრინა ძლიერი ამერიკის დოქტრინაა, და ის მთელი მსოფლიოს სივრცეს სწვდება, ამის გამო მას შეიძლება უნივერსალური ეწოდოს.

ნაპოლეონის იმპერიის დაამხობის შემდეგ რუსეთის იმპერატორმა ალექსანდრე პირველმა, მოიპოვა ევროპაში დაახლოვებით ისეთივე მდგომარეობა, როგორიც აქვს მოპოვებული ბოლშევიკური იმპერიის მეთაურს, სტალინს, უკანასკნელ მსოფლიო ომის შემდეგ. ჰეიდელბერგში ის გადაეყარა ერთ გერმანელ ქალს, კრიუდენერს, რომელმაც მისტიციზმს აზიარა რუსეთის იმპერატორი და მისტიური ქიმერების ქსელში გახვია. ამ ქალბატონმა დაარწმუნა მეფე, რომ ის ზეცით არის მოგზავნილი კაცობრიობის მხსნელ ანგელოზად. წინეთ ლიბერალურად განწყობილი მეფე, რომელიც უკრძალავდა თავის ქვეშევრდომებს, რომ მისთვის „ღვთისაგან კურთხეული“ ეწოდებიათ, ამიერიდან იმოსება „მსოფლიოს მხსნელის“ წოდებით, რომელიც მისი ეხლანდელი მეგობარი, სტალინი, „ხალხთა მამათ“ იწოდება. მსოფლიოს ხსნის მიზნით ის აარსებს „წმინდა ალიანსს“ (1815 წ.), რომელშიდაც შედიან რუსეთი, ავსტრია და პრუსია, და რომელსაც შემდეგ საფრანგეთიც მიემხრო. ალექსანდრე პირველი ისე უკარნახებდა ამ კრებულს თავის სურვილებს, როგორც დღეს სტალინი — კომინფორმს.. განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ კომინფორმი მთელს მსოფლიოში ბოლშევიზმის დამყარებისათვის მუშაობს, ხოლო წმინდა ალიანსს მიზნად დაუსახავს მთელს მსოფლიოში რევოლიუციონური იდეების აღმოფხვრა და აბსოლიუტურ მონარქიების აღდგენა. 1822 წ. წმ. ალიანსი აკისრებს საფრანგეთს ესპანიაში მონარქიის აღდგენას და ფერდინანდ მეშვიდის ტახტზედ აყვანას. ნიშნად მადლობისა ალექსანდრე პირველის მიმართ იმის გამო, რომ მან ხელი შეუშალა ავსტრიას და პრუსიას, საფრანგეთის დანაწილებას რომ ჰფიქრობდენ, თუ კიდევ საფრანგეთის პრუსტიჟის ამაღლების მიზნით, ლუი მეთვრამეტე ღებულობს და ანხორციელებს ასეთ დავალებას. 1823 წ. საფრანგეთის ჯარები იკავებენ მთელს ესპანიას და ფერდინანდ მეშვიდეს ტახტზედ აჰყავთ. ამ დროს გავრცელდა ხმა, რომ რუსეთმა ფარული ხელშეკრულება დას-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლდა საფრანგეთთან და ესპანიასთან, რომლის ძალით საფრანგეთი დაეხმარება ესპანიას, რომ მან დაიბრუნოს თავისი კოლონიები ამერიკაში, რომელნიც მას ჩამოშორდენ და დამოუკიდებელი სახელმწიფოები შექმნეს. საფრანგეთი მეჭიკას მიიღებდა ამ დახმარებისათვის, ხოლო რუსეთი კმაყოფილდება კალიფორნიით, რომელიც თითქმის საფრანგეთის ოდენაა თავის სივრცით. ამერიკის ჩრდილო კუთხე, ალიასკა, რუსეთს ეკუთვნოდა იმ ხანად, და უკეთუ ეს გეგმა განხორციელდებოდა, კანადა რუსეთის ტერიტორიების შუაში მოექცეოდა და, რასაკვირველია, ეს დიდს საფრთხეში ჩააგდებდა როგორც მას, ასევე ამერიკის შტატებს. ინგლისმა დაინახა, რომ რუსეთის იმპერატორი არ კმაყოფილდება ევროპაზედ ბატონობით, და მთელ მსოფლიოზედ გაბატონების გეგმით არის შეპყრობილი. ინგლისის საგარეო მინისტრი კანინგი მოლაპარაკებას აწარმოებს ამერიკის პრეზიდენტთან, მონროსთან, რუსეთის ასეთი აგრესიული ზრახვების წინააღმდეგ შეთანხმებული მოქმედებისათვის. თავის წლიურ მიმართვაში კონგრესს (დეკ. 1923 წ.) მონროე აღნიშნავს, რომ ამერიკას არ მიუღია მონაწილეობა ევროპის ომებში, ვინაიდან ეს ევროპის ქვეყნებს შეეხებოდა და მათი საქმე იყო. ამერიკის შტატები აღიარებენ, როგორც პრინციპს, რომ ამერიკის ქვეყნები, რომელთაც მოიპოვეს დამოუკიდებლობა, არ უნდა გახდენ მომავალში რომელიმე სახელმწიფოს კოლონიზაციის საგნად. ამის მიხედვით ჩვენ უნდა გვანვაცხადოთ, რომ ჩვენ ჩავთვლით, როგორც საშიშროებას ჩვენი მშვიდობიანობისა და თავდაცვისათვის ევროპიელ სახელმწიფოების ყოველგვარ ცდას თავის პოლიტიკური სისტემის რაიმე ნაწილის ამერიკის ქვეყნებზედ გავრცელებისათვის მიმართულს.

ალექსანდრე პირველი გარდაიცვალა 1925 წ. დეკემბერში, და ამის გამო შეწყდა ამერიკის წინააღმდეგ მიმართული მისი გეგმების განხორციელება. მაგრამ ამერიკის ყურადღება რუსეთის იმპერიის მიმართ არ შენელებულა. 1867 წელს ამერიკამ შეისყიდა რუსეთისაგან ალიასკა, რომელიც მხოლოდ 120 კილომეტრით არის დაშორებული ციმბირის ჩრდილოეთის სანაპიროს. მაშინ გაყინული უდაბნო, დღეს ის ერთ-ერთ უმდიდრეს კუთხეთ ითვლება მთელს მსოფლიოში ბუნებრივ სიმდიდრითა და ინდუსტრიით. ამბობენ, რომ ის მოკლე მომავალში ამერიკულ შტატების მე-49 წევრად გახდება.

როგორც ვხედავთ, ამ ორი ბუმბერაზის ერთმანეთის წინააღმდეგ დაპირდაპირება ძველი ამბავია და მისი უმთავრესი საფუძველია არა იდეოლოგია და სოციალურ-პოლიტიკური რეჟიმი, არამედ მათი გეოპოლიტიკა, მათი დემოგრაფია და მათი ზრდის განსაკუთრებული პირობები. ამ ორი ქვეყნის ზრდა სრულიად უმაგალითო პირობებში მიმდინარეობდა. პატარა მოსკოვის საამთავრო უდიდეს იმპერიად გადაიქცა იმის გამო, რომ ჩრდილოეთით, აღმოსავლეთით და სამხრეთით მას აკრავდა გვანუსაზღვრელი სივრცეები სრულიად ცარიელი ან და მცირე და სუსტი ერებით დასახლებული. ამერიკაშიდაც ბლომად იყო დაუსახლებელი სივრცეები, რომელნიც სწრაფად ივსებოდა კულტუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რულად და ტეხნიკურად დაწინაურებულ ქვეყნებიდან მომდინარე ემიგრაციით. მსოფლიოს ნეგრალგიური ცენტრების დაშორებული ამერიკული შტატები სწრაფად იზრდებოდენ მცხოვრებთა რიცხვით,, ინდუსტრიალურად და ტეხნისურად. ამ უმაგალითო ზრდის პირობებში ეს ორი ქვეყანა ერთმანეთს მიუახლოვდა და შემდეგ გადაეცა თავის ჩრდილოეთის ნაწილებით; დღეს მათ 120 კილომეტრის სრუტე ჰყოფს, რომელიც ცხრა თვე გაყინულია. მათი ორი კუნძული მხოლოდ ათი კილომეტრითაა ერთმანეთზედ დაშორებული. ხოლო კიდევ უფრო ჩრდილოეთით მათ ჰყოფს დიდი გაყინული უდაბნო — ჩრდილოეთის პოლიუსი. აქ არ არის დადგენილი მათ შორის საზღვარი. ეს პოლიუსი ფაქტიურად მათ საერთო მფლობელობაშია, და ის მათ დროთი აქვთ განსაზღვრული და განაწილებული. ერთს დღეს რომ ამერიკული ავიონები ჰფრინავენ პოლიუსის ცაზედ, მეორე დღეს — საბჭოების. ავიონების ხმაურობასთან ერთად ტრაქტორების ხრიალიც არღვევს პოლიუსის მყუდროებას. ისინი ასწორებენ ყინულოვან ველებს სამხედრო ბაზებისათვის და, შეიძლება გზებსაც ჰკაფავენ ტანკებისათვის. პოლიუსის გარშემო ორივე მხარეს გამართული აქვთ უზარმაზარი საავიაციო ბაზები. გრენლანდიის ალმოსავლეთის სანაპიროდან ორი ათასი კილომენტრია ფრენით მურმანსკამდე, 3.500 — მოსკოვამდე და მცირედ მეტი ურალის ინდუსტრიალურ ცენტრებამდე. რუსეთის ბაზებიდან იმხოლოდ ნახევარი საათის ფრენაა ალიასკამდე. მოსკოვს ამ ჟამად ორმოცზედ მეტი დივიზია ჰყავს ციმბირში და მათ შორის ავიონებით გადასაყვანი დივიზიები, და ამასთან ერთად მძლავრი წყალ-ქვეშა ფლოტი. თანამედროვე ტეხნიკა შესაძლებლად ხდის ომის წარმოებას ამ ზონაში, როგორც საჰაერო, ისე ხმელეთისა და საზღვაო ძალებით.

* * *

ყოველივე ზემოდ მოხსენებულის მიხედვით საკმაოდ ნათელია, რომ ამერიკის მტრული დაპირდაპირება რუსეთის იმპერიალიზმის მიმართ ძველი ამბავია. როგორც არ დაწყებულა ის ბოლშევიზმით, ისე არ გათავდება მისი დამხობით. გასულ წელს ამერიკის სტატსეკრეტარმა აჩესონმა განაცხადა კონგრესის საგარეო კომისიაში: „მოსკოვის მთავრობა ყოველთვის იმპერიალისტური იყო. ეს მუდმივი რბევა. რომლის მეოხებით რუსეთი, პატარა მოსკოვის სამთავროდან, ხუთი საუკუნის მანძილზე უდიდეს იმპერიად გადაიქცა. უნდა იქნეს შეჩერებული. ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენ უნდა წინააღუდგეთ მის ასეთ მსვლელობას ყველგან, სადაც ის იწყარმოებს... ჩვენ უნდა გავაძლიეროთ დემოკრატიული ქვეყნების კოლექტიური ძალა, რომ შეეჩეროთ საბჭოების აგრესია იმ ერების წინააღმდეგ, რომლებიც ცალ-ცალკე ადვილად გახდებიან მისი მსხვერპლი“. ასეთი კონცეპცია რუსეთის იმპერიალიზმის წინააღმდეგ მრავალჯერ გამჯლავნებულა ამერიკის პოლიტიკურ მოღვაწეთა სიტყვებში და პრესაში. კომუნისტური მოსკოვი ამას ასაღებს როგორც კაპიტალისტური ამერიკის შეთქმულობას სოციალისტური რუსეთის, მშრომელთა სამოთხის, დასანგრევად, და ამ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მშრომელთა მასსების კვლავ კაპიტალისტების მონებად გადაქცევის ზრახვად. ანტიბოლშევიკური რუსული წრეებიც ასევე ცალმხრივად აშუქებენ ამერიკა-რუსეთის მტრობას. მასში ორაფერს ხედავენ გარდა კომუნიზმის ზრდით დაშინებისა. ყველა მიმართულების რუსული გამოცემები და დიდი მთავარი ვლადიმერი პროტესტს აცხადებენ, როდესაც ხედავენ, რომ ამერიკელები ჰაეროვანენ ორა მხოლოდ ბოლშევიკურ მოსკოვს, ორამედ, საერთოდ რუსეთის იმპერიალიზმს — ბოლშევიზმი ერთია, რუსეთი მეორე, მსოფლიო საშიშროება ეს ბოლშევიზმია, და რუსის ხალხი ყველაზედ უფრო შეურიგებელი მტერია მისი. ამერიკამ დააკმაყოფილა მათი ასეთი ჩივილი და წარსულწელს ამერიკის კონგრესმა თავისი დიდი თანადგომობა და კეთილი სურვილები მიუძღვნა რუსის ხალხს, უსურვა მას ბოლშევიკურ მონობისაგან განთავისუფლება და თავისუფლებისა და მშვიდობიანობის დაცვისათვის შეკავშირებულ ერთა ოჯახში ღირსეული ადგილის დაკავება. თან აღუთქვა დემოკრატიული მსოფლიოს მისდამი მეგობრული განწყობილება და ყოველგვარი დახმარება. რუსული წრეები ამანაც არ დააკმაყოფილა, რადგან ხედავდენ, რომ ეს ვერ აბათილებდა ამერიკელების გმობას და მტრობას რუსეთის იმპერიალისტური წარსულის მიმართ. დააყენეთ „რუსული საკითხი“, დააყენეთ რუსული საკითხი, მოითხოვდენ ისინი. ამერიკამ ესეც შეუსრულა მათ. ხოლო უფრო ნორმალურად მიიჩნია, რომ რუსეთის საკითხი მას კი არ დაეყენებია, ორამედ თვით რუსებმა. ორა ოფიციალურად გზით, ამერიკული კომიტეტის საშუალებით, ასეთი მისია დაეკისრა რუსული იმპერიალიზმის უკანასკნელ მეთაურს, ა. ი. კერენსკის. აქ იწყება ამერიკიდან სახელგანთქმული ვისბადენის ისტორია. ამერიკული კომიტეტის სურვილი იყო უთუოდ, რომ კერენსკის დისკუსიები გაემართა ემიგრანტულ წრეებში, რომ ამით გამორკვეულიყო, თუ როგორ უყურებდენ ისინი ამ „რუსულ საკითხს“. ხოლო კერენსკი, რასაკვირველია, არ დაკმაყოფილდა ასეთი ცალკერე მისსიით, და ის გაიფართოვა. სახელდასახელოდ შექმნილ რუსულ და „ნაციონალების“ ჯგუფებებს მოეცლინა დიდი გეგმით — ბოლშევიკური დიქტატურის დამხობისა და მის ნანგრევებზედ თებერვლის რევოლიუციის და მისი კერენშჩინის მკვდრეთით აღდგენის გეგმით. ბოლშევიზმის დამხობის გეგმა, მხოლოდ ქალალდზედ დაწერილიც დააფრთხობდა მის კრებულს, მაგრამ მან უთუოდ დაიმედა ისინი — ამას ამერიკას დავაკისრებთო. ხოლო ბოლშევიზმის დამხობის შემდეგ, ამ ბოლშევიზმის მშობელის თებერვლის რევოლიუციის კვლავ გაჩაღების საქმეს ისინი არ გაექცეოდენ. მით უმეტეს რომ დემოკრატიული მსოფლიოს გამარჯვებულ ჯარების სათავეში იქნებოდა მთელს მსოფლიოში ყველაზე უფრო მაღალი საბჭოდრო ხარისხის მატარებელი, კერენსკი, რომელსაც ჯერ კიდევ 35 წლის წინეთ ჰქონდა, როგორც გლავკოვერხი, ის ხარისხი რომელსაც ატარებენ დენ. ეიზენჰოვერი და მაკარტური. ამერიკის კომიტეტის წარმომადგენელმა, დონ ლევინმა დაინახა, რომ ის რაღაც უცნაური ავანტიურაში ეხვეოდა, და ღაიწყო ვისბადენის დაჯერება: ნუ დაივიწყებთ, რომ ეს საქმე მხოლოდ

პატარია დასაწყისია თქვენი თანამშრომლობის ამერიკულ კომიტეტთანო. არაფერი გაუგიდა, უთუოდ უპასუხეს კიდეც — დიდი პიროვნებები პატარია დასაწყისსაც ბუმბერაზ საქმედ გადააქცევენო, და ამ საქმეს გაბმოდა. ამერიკულ კომიტეტმა მოთმინებით დაუცადა ამ დაუსრულებელ კონფერენციებსა და თათბირებს და, ბოლოს, მისმა თავმჯდომარემ, ადმირალ კერკმა ამ დისკუსიებს დასკვნები გაუკეთა თავის გამოსათხოვარ სიტყვაში, როდესაც ის უფრო ფალალ თანამდებობაზედ დანიშნეს. ამერიკა არ მუშაობს რუსეთის დანაწილების გეგმით, ხოლო საბჭოთა კავშირში შემავალი ერები იბრძვიან თავისუფლების აღდგენისათვისო. ადმირალის ამ სიტყვებს, მისმა თანამშომელმა დასძინა: და არც „ედინაია - ნედელიმაიას“ აღდგენისათვის მუშაობს ამერიკა. ამის შემდეგ ამერიკის კომიტეტი უთუოდ იმით არის გართული, რომ რაიმე თავის შესაქცევი საქმე გამოუნახოს ამ აბეზარა პოლიტიკოსებს.

მილიუკოვის სიკვდილის შემდეგ რუსებს ალბარავინ აღმოაჩნდა საკმარისად შეიარაღებული მსოფლიოში მომხდარ ცვლილებათა გასაგებად და „რუსეთის საკითხის“ ამ ახალ ვითარებასთან შესათანხმებლად. რუსეთის იმპერიალიზმზე მილიუკოვიც მეტად ცუდი აზრის იყო. ის მას ამსგავსებდა ასსირიულ იმპერიალიზმს, რომელიც ყველაფერს ანგრევდა და შექმნით კი არაფერს ჰქმნიდა. მას იმედი ჰქონდა, რომ მომავალში ეს რუსული იმპერიალიზმი გაუმჯობესდებოდა და ამაღლდებოდა. უკანასკნელ მსოფლიო ომის შემდეგ მომხდარ ამბებს რომ მოსწრებოდა ეს დიდი მეცნიერი და პოლიტიკოსი, უთუოდ მიეცემოდა იმ დასკვნამდე, რომ ბოლშევიკური იმპერიის დამბობის შემდეგ შეუძლებელი იქნება რაიმე სახის რუსეთის იმპერიის აღდგენა, და ასეთი ზრახვები მხოლოდ დაასუსტებენ და დააუძლურებენ რუსის ერს.

მას შემდეგ, რაც დაინგრენ გოგენცოლერნების, გაბსბურგების, რომანოვების, ოსმალების და მიკადოს იმპერიები, და ინგლისმა თვითონ მიატოვა ეს იმპერიული გზა და ის ხალხთა შეგობრულ კავშირით შესცვალა, და საფრანგეთიც ამ გზას დაადგა, იმპერია მხოლოდ აბესინიის ნეგუსს დარჩა და საფრანგეთის ვაჟალ მაროკოს სულთანს. თანამედროვე კაცობრიობა ველარ ეგუება ქვეყნებისა და ერების იარაღით დამორჩილებისა და მათზე პოლიციური ძალით ბატონობის სისტემას. ის ცდილობს შექმნას ისეთი საერთაშორისო კავშირი, სადაც ერები ისევე იქნებიან დაცული ძალ - მომრეობისაგან, როგორც არიან დაცული პიროვნებანი თავის სახელმწიფოს კანონითა და პოლიციური ძალით. კორეის ომი მსოფლიო პოლიტიკის ამ ახალი გეზის დასაწყისია. თავის ეთნოგრაფიულ საზღვრებში მოქცეული რუსეთი არ იქნება ისე უმწეო და სუსტი, როგორც ამას ზოგიერთები ფიქრობენ. ის ყველაზედ უფრო დიდი სახელმწიფო იქნება ევროპაში ტერიტორიითა და მცხოვრებთა რიცხვით. მას სხვებზედ მეტი ბუნებრივი სიმდიდრე ექნება თავის საზღვრებში. აქამომდე ის მას ნაკლებად იყენებდა და წინასწარ უკრაინის, კავკასიის და სხ. სიმდიდრეების დახარჯვას არჩევდა. ამ თავის მახლობლად მდებარე კავკასიის და უკრაინის სიმდიდრეებით სარგებლობაც მას უკეთეს პირობებში შეეძლება, ვიდრე სხვა ქვეყ-

ნებს. ბოლშევიკური იმპერიის დაცემის შემდეგ უთუოდ ყველა ქვეყნებისათვის დაწესდება თავისუფალი სარგებლობა ხმელეთის, საჰაერო და საზღვაო გზებით. ამით მომავალი არა იმპერიალისტური რუსეთი გზას გაიკვლევს იმ ზღვებისაკენაც, რომლისაკენ ასე ილტვოდა რუსეთის იმპერია და ამას ვერ მიაღწია. ასეთს რუსეთის მეფესალმა ამერიკის კონგრესი ამერიკელი ხალხის სახელით, და ამას უთუოდ უერთებიან და იზიარებენ ჩვენი პლანეტის ყველა სხვა ერებიც.

* * *

ვისბადენელთა თათბირებმა ვერ გაურკვიეს რუსებს ეს მათი „რუსული საკითხი“ და მხოლოდ არეულ-დარეული და აურ-ზაური შეიტანეს მათ წრეებში. კიდევ მეტი შეხლა-შემოხლა და განხეთქილება გამოიწვიეს მათ სხვა ეროვნებათა ემიგრაციაში. ეს საკმარისად გაშუქებულია „ქართული პოლიტიკური ცენტრის განმარტებაში“ და აქ ჩვენ მხოლოდ მის ზოგიერთს, საგარეო მნიშვნელობის მხარეებს აღვნიშნავთ.

1) ვისბადენის პოლიტიკა თავიდან-ბოლომდე და მისი ბიუნხენის სტატუტით დაგვირგვინება საკმაოდ ნათლად იყო მოხაზული კერენსკის, მელგუნოვის და აბრამოვიჩის სიტყვებში და მათს გამოცემებში. რუსეთის სოციალ-დემ. ლიდერმა აბრამოვიჩმა უკვე 1951 წელს ოქტომბერში გამოაქვეყნა ეს გეგმა და ის იდეურად დაასაბუთა („სოც. ვესტნიკის“ № 9-10): რუსებმა და „ნაციონალური უმცირესობებმა“ უნდა შექმნან 60-70 პირისაგან შემდგარი საბჭო, იმავე საფუძვლებზე, როგორც იყო „რესპუბლიკის დროებითი საბჭო“, ბოლშევიკებმა რომ დაშალეს 1917 წლის ოქტომბერშიო. „ეს ასეთ ემიგრანტულ პრედ-პარლამენტად მესახება მე, ის რუსეთის ხალხთა განთავისუფლების საბჭო, რომელიც უნდა გამოვიდეს ვისბადენის თათბირიდანო“. ქართველმა სოციალისტებმა ყველას დააჯერეს ამ გეგმის მესრულებისათვის საჭირო ორგანოს შექმნა და დაარსეს „ეროვნული საბჭო“, ეს ერთგვარი „ობლასტნოი პრედპარლამენტი“ ქართულ „ნაციონალურ უმცირესობისათვის“. საკმაოდ ნათელია, რომ ასეთს ხაზზე გადასვლა, რუსეთის თებერვლის რევოლიუციის დროშის მიღება და მთლიან რუსეთის სიერცისათვის პოლიტიკური ორგანიზაციის შექმნა და მასში მუშაობა ამ „ედინაია-ნედელიმაიას“ აღსადგენად და ასაშენებლად, ახდილი და გარკვეული დატოვებაა, იდეური, პოლიტიკური და მორალური, იმ პოზიციებისა, რომელზედაც დაფუძნდა საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკა და შემდეგ მის კვლავ აღდგენისათვის წარმოებული ბრძოლები. ნათელია, რომ ამაა სხვაფერ ვერ ახსნიან ჩვენი მეზობლები, თუ გარეშე ქვეყნები. ჩვენი მეგობრები თუ მტრები. საერთაშორისო კანონები და წესები ჩვენ მიერ არ არიან შექმნილი და ჩვენ ვერც გამოვცვლით მათ. 2) მსოფლიოში დამყარებულ ახალს ვითარებაში მეტად გაადვილებულია ფაქტიურად თავისუფალი ერის იურიდიული ცნობა. ხოლო ძალაში რჩება იურიდიული ცნობისათვის აუცილებელი პირობა, რომ ამ ერებს უნარი ჰქონდეთ თავის მოვლისა და ადმინისტრაციის. უკეთუ ამა თუ იმ ერის სათავეში დაინახავენ ისეთს

ეროვნული ბიბლიოთეკა

პირებს, რომელთაც არ იციან თუ რა არის სუვერენობა, კონსტიტუ-
ცია, პარლამენტი და დემოკრატია, კანონი და მთავრობა, და ყოველი-
ვე ამის ძალა და მნიშვნელობა, ასეთის ერს, რასაკვირველია, არავინ
მიანიჭებს ამ იურიდიულ ცნობას. ჩვენ დიდი შრომის გაწევა დაგვჭი-
რდება ამ ვისბადენის შედეგების წასაშლელად და გასაბათილებლად.
3) ბოლშევიკურ ტირანიის დასამხობად ამხედრებულ ერებში, რუსის
ხალხს რასაკვირველია, მნიშვნელოვანი ადგილი დაეთმობა. უკრაინელ,
კავკასიისა და სხ. ერებსაც მოგვიხდება ყველა ამ ერებისა და მათ შო-
რის რუსის ერის გვერდით ბრძოლა. კერენსკის ავანტიურა, ნაცვლად
გაუმჯობესებისა, კიდევ უფრო ამწვავებს რუსისა და ჩვენი ერების
ურთი-ერთ დამოკიდებულობას, როგორც ამ ბოლშევიზმის წინააღმ-
დეგ საერთო ბრძოლის პერიოდში, ისე მომავლისთვისაც. თებერვლის
რევოლიუციიდან კარგი რამ არავის უხილავს. უკრაინას მან უკრაი-
ნულ ენაზედ სწავლის შემოღების ნება კარ მისცა და საქართველოს
კიდევ მისი 15 საუკუნოვან ეკლესიურ სუვერენობის აღდგენის. ეს თე-
ბერვლის რევოლიუცია კიდევ ყველაზედ მეტად იმით არის ჩაჭედილი
ხალხთა მეხსიერებაში, რომ ნან უკვე მერვე თვეზე შობა ოქტომბრის
რევოლიუცია და მისი ბოლშევიკური ტირანია; ქართველები დიდ
როლს თამაშობდენ ამ რევოლიუციაში და ეხლა კიდევ ყველაზედ მე-
ტად სჩანან მისი მკვდრეთით აღდგენისათვის მუშაობაში. რუსების სა-
ქმეში ასეთი უხეში ჩარევა, რასაკვირველია გააღვივებს რუსეთის ჩვე-
ნდამი მტრულ განწყობილებას და დიდათ გაადნელებს მომავალში ამ
დიდ მეზობელთან ორივე მხარისათვის სასარგებლო და საჭირო მეზო-
ბლური და მეგობრული განწყობილების დამყარების შესაძლებლობას.
4) ასევე აზიანებს პოლიტიკურად და მორალურად ეს ვისბადენის ავა-
ნტიურა მეორე ჩვენი დიდი მეზობლის ოსმალეთის ჩვენდამი მეგობ-
რულ განწყობილებას. საქართველომ რომ რუსეთის მფარველობა მი-
იღო, ოსმალეთმა დაინახა, რომ ეს მისმა და სპარსეთის მუდმივმა შე-
მოსევებმა მიიყვანა საქართველო რუსეთის კარზედ. ამის შემდეგ ოს-
მალეთი მუდამ თანაუგრძნობდა საქართველოს და მთელი კავკასიის გა-
ნთავისუფლების საქმეს. ის მუდამ დახმარებას უწევდა საქართველოს
და სხვა კავკასიის ერების განთავისუფლებისათვის მებრძოლ ძალებს.
მან მნიშვნელოვანი როლი ითამაშა კავკასიელებთა დამოუკიდებლო-
ბის აღდგენის საქმეში, რუსეთის ოქტომბრის რევოლიუციის შემდეგ.
ასეთივე ყურადღებით ექცევა ახალი ოსმალეთი ბოლშევიკურ ტირა-
ნიიდან განთავისუფლებისათვის მებრძოლ კავკასიელ ერებს. ქართუ-
ლი ემიგრაციის დიდი უმრავლესობა ოსმალეთის ბაზებით არის უცხო-
ეთში გახიზნული, მისი დახმარებითა და მზრუნველობით. ყოველივე
ეს კარგად უწყის ქართველმა ერმა, და ამას ის ჯეროვანად აფასებს.
ის იმსჯვალება მტკიცე რწმენით, რომ წარსულ საუკუნეთა მტრობა
და შუღლი დამთავრებულია, და თურქთა და ქართველთა მეგობრობა
დაწყებულია, და უკვე მკვიდრ საფუძვლებზედ დამყარებული. ჩვენ
კიდევ მეტი ვიცით ამ საგანზედ, ვიდრე საბჭოთა ტყვეობაში მყოფმა
ჩვენმა ერმა. ვიცით რამდენად ურთულებდა ოსმალეთის ჩრდილოეთის

ეროვნული ბიბლიოთეკა

მძლავრ მეზობელთან დამოკიდებულებას ეს ჩვენი დახმარება და თანაგრძნობა. ისიც ვიცით, რომ ჰიტლერი ბევრ რაღაცას ჰპირდებოდა მას კავკასიის ხარჯზედ, ხოლო ოსმალეთმა ასეთი საჩუქარი არ მიიღო და განუცხადა მას: „ჩვენ დიდათ თანაუგრძნობთ კავკასიის ერების დამოუკიდებლობის აღდგენას, ხოლო არავითარ პოლიტიკურ გავლენას არ ვეძებთ კავკასიაში და არავითარი ტერიტორიალურ მოთხოვნილებებს არ უყენებთ ამ ერებს“-ო. ყველა იმპერიებში, ოსმალეთმა პირველმა მიატოვა ეს იმპერიული პოლიტიკის ფეხი. ამასთან ერთად მან მოახდინა თავის პოლიტიკური, სოციალური და მორალური ცხოვრების ასეთი მძლავრი გარდაქმნა, რევოლიუცია საკუთარით ვერ გამოსახავს ამ მოვლენას, რომლის მსგავსი, ვფიქრობთ, სრულებით არ მოიპოვება კაცობრიობის ისტორიაში. ყოველივე ამის მიხედვით, მისი მეგობრული განწყობილება მეზობელ კავკასიის ერებისადმი არ არის მოვლენა ზედაპირული, არამედ მკვიდრი, საფუძვლიანი, ჩვენი ნეზობლის ძირეულ ინტერესებზედ და მორალზედ დამყარებული. ხოლო ოსმალეთის ჩვენდამი ნეგობრობასაც აქვს თავისი საზღვარი, როგორც ყოველივეს ამ ქვეყნად. როდესაც რომელიმე კაუკასიელი ერი გაუღლებს რუსეთს კავკასიის კარებს, ან თვით რუსეთი შემოიჭრება კავკასიაში, ოსმალეთი სტრატეგიულ ადგილებს ეძებს მუდამ თავის მეზობელ ქვეყნებში. მის ადგილზედ უთუოდ ასე მოიქცეოდა ყველა სხვა ერი, და მათ შორის ჩვენი ერიც. უკეთუ ოსმალეთი დაინახავდა, რომ ქართველებმა გადაწყვიტეს ბოლშევიკური იმპერიის დამხობის შემდეგ სხვა გვარი რუსეთის იმპერიის შემოყვანა კავკასიაში, ის აქედანვე უნდა შედგომოდა თავდა-რიგს, რომ მეგობრულად განწყობილი ოსმალეთი, ასეთს შემთხვევაში, აგრესორად მოგვლინებოდა. ჩვენი ტალეირანები ვერ შეესწვდენ მათი მოქმედების ასეთი შედეგის გათვალისწინებას, ისე როგორც ამ საქმის მრავალ სხვა მავნე თვისებების გაგებას. საბედნიეროთ, ეს ამბავი ამ ზომად ვერ დააზიანებს ოსმალეთის ჩვენდამი ნეგობრულ განწყობილებას. ის კარგად იცნობს ქართველი ერის ზრახვასა და სულისკვეთებას და მის ფმირულ ბრძოლას საქართველოს სუვერენობის აღდგენისათვის. მან კარგად უწყის, რომ კერენსკის აკიდებული ეს ემიგრანტული ჯგუფი ოდნავადაც ვერ შეცვლის ქართველი ერის ბრძოლის გეზს.

ხოლო ამ ჯგუფის ასეთი პატოლოგიური შექანებით პოლიტიკურად და მორალურად მძიმედ დაზიანებული და დაქვეითებული ქართული საქმე გამთელებას და აღდგენას საჭიროებს. დაგვჭირდება ენერგიული მუშაობის წარმოება ყველა ჩვენი ძალებით, ვინაიდან თვით ეს ამოცანაა მძიმე, და საერთაშორისო მოვლენათა დენა კიდევ მრავალ ახალს დიდსა და საპასუხისმგებლო საქმეს დაგვაკისრებს. ჩვენი საქმისათვის საჭირო ძალების სიმცირეს მუდამ ვეძებნობდით. მომავალში ეს კიდევ მეტად საგრძნობი გახდება. რაც ძალები მოგვეპოვება ამათი მაქსიმალურად გამოყენება მაინც უნდა შევძლოთ, უნდა მოვახერხოთ.

ალ. ასათიანი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## განმარტება და გაფრთხილება

ულრმესი მწუხარებითა და გულისტკივილით ვამცნობთ ქართულ საზოგადოებას, რომ ზოგიერთ რუსულ და არა რუსულ პოლიტიკურ დაჯგუფებათა მოლაპარაკება, ვისბადენში დაწყებული, ამა წლის 16 ოქტომბერს დასრულდა მიუნხენში და გაცილებით უფრო ცუდათ, ვიდრე ჩვენ მოველოდით.

1) ვისბადენის მოლაპარაკებებში მონაწილეობას ღებულობდენ ხუთი რუსული დემოკრატიული და სოციალისტური ორგანიზაცია და აქვსი საგანგებოდ ამისთვის შექმნილი ქართველების, ბელორუსების, აზერბეიჯანლების, ჩრდილო კავკასიის და თურქესტანის საბჭოები და კომიტეტები. ერთი რუსული ორგანიზაცია მალე გავიდა ამ საქმიდან, ხოლო ბელორუსია—სტატუტის მიღების შემდეგ. მოვიდა სომხური ჯგუფი, ბელორუსიის ხმა მიუმატეს ოთხ რუსულ ორგანიზაციას და ამით შეიქმნა მიუნხენში დაარსებული „საკოორდინაციო ცენტრის“ პარიტეტული შემადგენლობა — ხუთი რუსი და ხუთი „ნაციონალი“, როგორც მათ რუსები უწოდებენ.

2) თანახმად ვისბადენელების მიერ მიღებული სტატუტისა, საკოორდინაციო ცენტრი „დაფუძნებულია ფართე პოლიტიკურ ბაზაზედ: „საბჭოთა კავშირში ნოსახლე ყველა ხალხების დემოკრატიული ორგანიზაციები, მეძლიებისამებრ უნდა იყვნენ წარმოდგენილნი საკოორდინაციო ცენტრში“. მაგრამ სტატუტის სხვა მუხლები მეტად ავიწროებენ ამ ფართე პოლიტიკურ ბაზას. ის აკანონებს, რომ „საკოორდინაციო ცენტრში არ იქნებიან დაშვებული დაჯგუფებები, რომელნიც ცდილობენ რევოლიუციამდე არსებულ წყობის რესტავრაციას და რაიმე ფორმით ტოტალიტარული დიქტატურის დამყარებას. და აგრეთვე ისეთები, რომელნიც აწარმოებენ ნაციონალური სიძულვილის პროპაგანდას“. ხოლო რომელი დაჯგუფებაა ასეთი და რომელი არა, ამას გადაწყვეტს საკოორდინაციო ცენტრი. თუ როგორი საზომით იქნება განსჯილი ამ ეთი დემოკრატიზმი, თუ რესტავრაციის წყურვილი, ამას ნათლად არკვევს პოლიტიკური პლატფორმის მეორე მუხლი: „განხორციელება, რუსეთში პირველად თებერვლის რევოლიუციის მიერ გამოსახული „პოსლედოვატელნოე ნაროდოვლასტიესი“, როგორც უმთავრესი პირობისა აბსოლიუტიზმის რესტავრაციისა თუ რაიმე სახის დიქტატურის საწინააღმდეგოთ“.

3) ამ სახით ვისბადენის დაჯგუფება უარყოფს ყოველგვარ რესტავრაციას, გაირდა რუსეთის თებერვლის რევოლიუციის რეჟიმისა. ამ უკანასკნელს ის თავის დროშად ისახავს. ბოლშევიზმის შემდეგ „საბჭოთა ტერიტორიაზედ“ დემოკრატიული წყობილების დასამყარებლად. ამის მიხედვით საკოორდინაციო ცენტრის მოქმედების ველმა ბოლშევიზმის დამხობით არ განისაზღვრება. ის ვადით განუსაზღვრელ პროგრამას ისახავს ამ ხალხთა სოციალურ და ეკონომიურ ცხოვრების მოსაწყობად და „ხალხთა მატერიალური და კულტურული ცხოვრების დონეს ასამაღლებლად“. მიუნხენში შექმნილი ორგანიზაცია, რასაკვი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რველია, ვერ აზიდავს ამ დიდ საქმეს. საჭიროა უფრო შემტკიცებული, უფრო შედუღებული ძალა. ამის გამო მიუნხენის განიფესტი აცხადებს, რომ საკოორდინაციო ცენტრად მას მიაჩნია, როგორც „წინამორბედი მომავალში განზრახულ პოლიტიკური ცენტრისა“. განა მათ არ უწყიან, რომ თუ ბოლშევიზმისაგან დამონებულ ერებისათვის მიუღებელია აბსოლიუტიზმი, ფაშიზმი თუ ნაციზმი, ასევე, და შეიძლება კიდევ მეტადაც მიუღებელია მათთვის თებერვლის რევოლიუციის რეჟიმი? განა ამ ერებმა ნათლად არ დაინახეს და მწარედ არ გამოცადეს, რომ ასეთი დემოკრატია არამც თუ არ გამოდგა დიქტატურის საწინააღმდეგო „უმთავრეს პირობად“, არამედ სულ მოკლე ხანში გახდა ბოლშევიზმის დამყარების „აუცილებელ პირობად? კერენსკის იმპერია რომ დაამსხვრია ბოლშევიზმის მცირე რიცხოვანმა ბანდამ, ეს კარგად ახსოვთ ამ ერებს. ისიც კარგათ უწყიან მათ, რომ ამაზედ უფრო ძლიერი ბანდები დარჩებათ მათ სხვა და სხვა კუთხეში ბოლშევიზმის დამსხვრევის შემდეგ. სტალინიზმის შემდეგ კერენშჩინის დამყარება, რომ ამ ბოლშევიკურმა ბანდებმა კვლავ გადააყირავონ ის, და შემდეგ ყოველივე თავიდან უნდა იქნეს დაწყებული! ამაზედ უკეთეს გეგმას უთუოთ ვერავინ შეთხზავს ამ ხალხთა გულის გასატეხად, უიმედობაში ჩასაგდებათ და მათ თვალში მსოფლიო დემოკრატიისა და მისი „ფსიხოლოგიური ომის“ სახელის გასაბახებლად.

4) ამ რიგად ვისბადენის დაწყება დაგვირგვინდა სრულიად რუსეთის პოლიტიკურ დაჯგუფების შექმნით, რომელიც ისახავს მიზნად საბჭოთა კავშირის ერებისათვის პოლიტიკური პარტიის დაარსებას, მსგავსად იმისა, როგორც იყვენ წარსულში რუსეთის სოც. - დემოკრატების, სოც. - რევოლიუციონერების, ტრუდოვიკებისა და სხვა პარტიები. კერენსკიმ დაიწყო ეს საქმე, მაგრამ ის დაწყრა იმის გამო, რომ ნაციონალებმა თავიდანვე და უკამათოდ არ მიიღეს ყველა მისგან ნაკარნახები პირობები, და უკანვე გაფრინდა. ეს კონფლიკტი შეიძლება ხელოვნური და გაერეგნული, მოგვარებულად უნდა ჩაითვალოს მის შემდეგ, რაც ვისბადენის დაჯგუფებამ კერენშჩინის რესტავრაცია დაისახა თავის იდეალად და მიზნათ. ამათ უთუოდ კარგათ უწყიან, რომ რუსულსა და სხვა ემიგრაციებში სულ მცირე ჯგუფები თუ გაყვებიან ასეთს დროშას, ხოლო ბოლშევიკური მონობაში მყოფ ერებისათვის ის მხოლოდ საფრთხობელად თუ გამოადგება. მაგრამ ეს მათ არ აღონებს, ამერიკულ კომიტეტის ავტორიტეტსა და დახმარებას ამოფარებულნი, ისინი არა დემოკრატებად და ნაციონალური შეხედულების მთესველად გამოაცხადებენ ყველა იმათ, ვინც არ გაყვება მათ. მიუნხენის სტატუტში საკმაოდ ნათლად არის გამჟღავნებული მათი ასეთი ტაქტიკა. უფრო ადრევე დაიწყეს მათ ამ გზით სვლა, რუსულ და სხვა ემიგრაციებს რომ შეესინენ, მათი დაშლა და დეზორგანიზაცია რომ მოინდომეს, ამის შემწეობით აქა - იქ თითოოროლა პიროვნება რომ გამოიჭირეს და ვისბადენს გადააბეს. შეიძლება დარწმუნებულიც არიან, რომ ანტიბოლშევიკური სახელსა და ფრაზებში გახვეული ასეთი მოქნედების ნამდვილ შინაარს ბევრი ვერ დაინახავს, ვერ გაიგებს. შეიძლება იმის იმე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიც აქვთ, რომ ბოლშევიზმის წინააღმდეგ ამხედრებულ მსოფლიო ძალებში ისე მაგრად არის ფეხმოდგმული აღრევა, უეცობა და გულუბრყვილობა რომ ისინი ამაში ბოლომდე ვერ გაერკვევიან. ამის მიხედვით მათ შეიძლება იმის იმედიც აქვთ, რომ ბოლშევიზმის დამხობის დროს ეს ძალები თავის ჯარებსაც ჩააბარებენ მათ, რომ მათ ჯერ საოლდათეების კომიტეტები დაარსონ და შემდეგ კერენსკის რეჟიმი დაუმყარონ ბოლშევიზმისაგან განთავისუფლებულ ერებს.

5) როგორც სჩანს, ვისბადენელებმა ერთსულოვნად და უდისკუსიოთ მიიღეს გადაწყვეტილება შესახებ ასეთი პოლიტიკური ჯგუფების შექმნისა და ასევე მისი პოლიტიკურ-ეკონომიური პროგრამა. ამით მეტად გაადვილდა მათი შეთანხმება უმთავრეს საკითხზედ — ეროვნულ საკითხზედ. თავის ემიგრაციებში რომ სუსტად გრძნობდენ თავს, დათმობების გაკეთებას ვერ ბედავდენ. ახლა ერთს პოლიტიკურ ორგანიზაციაში მოაქცევს მათ ეს თავისი სუსტი ძალები და მით უფრო მაგრად იგრძნეს თავი. თავისიანების რისხვას ამიერიდან საერთო ძალით გაუმკლავდებიან, უკეთუ ერთ დღეს შეუძლებელი გახდა ყარეშე ძალის ამოფარება და მისი ავტორიტეტის გამოყენება. ამის მიხედვით მათ გაბედეს ეროვნულ საკითხში დათმობის გაკეთება.

რუსული ორგანიზაციების წარმომადგენლებმა დასთმეს „ედინაიანედელიმაის“ ფორმულა. ესეც სიტყვიერად მხოლოდ, რადგან მათ არამც თუ არ მიუღიათ ერთა სუვერენობის პრინციპი, გამოყოფის უფლება, რაც თვით ხაბჭოების კონსტიტუციაშიდაც არის აღნიშნული, არამედ თვით ფედერაციაც, რაც კერენსკიმაც კი მიიღო და გამოაცხადა ერთის თავის ნიუ-იორკში წარმოთქმულს სიტყვაში. მათ შეიწყნარეს მხოლოდ ზოგადი ფორმულა — „ერთა თვითგამორკვევის“ უფლება. მაგრამ ამ უფლების განხორციელებისათვის ისეთი პირობები შეიმუშავეს მიუნხენის სტატუტში, რომ ყოველივე ეს ცარიელი დაპირების სახეს ღებულობს. ესეც რომ ვინმეს დიდ დათმობათ არ მოეჩვენოს, საკოორდინაციო ცენტრის თავმჯდომარე მელგუნოვი ამას წინასწარ განმარტავს ჟურნალ „დემოკრატში“: ზოგი რამ დაუთმეთ „ნაციონალებს“, მაგრამ ამას რა მნიშვნელობა აქვს მომავლისათვისო.

6) სამაგიეროთ შეთანხმებაში შესულ ქართულ, სომხურ, აზერბეიჯანულ, ჩრდილო კავკასიის და თურქესტანის ჯგუფების წარმომადგენლებმა დასთმეს ყოველივე, მთლიანად და არსებითად. წინეთ ისინი ირწმუნებოდენ, რომ მართალია კერენსკიმ არ იცნო ერთა სუვერენული უფლება, მაგრამ სხვებმა ეს იცნეს, ხოლო საიდუმლოდ, რადგან ეშინიათ რომ მათი „მასსები“ არ აღმხედრდენ ასეთი დათმობისთვისო. თითქოს ასე ფარულად უცვნიათ მათ ბალტიის ქვეყნებისა და საქართველოს დამოუკიდებლობა. მიუნხენის სტატუტში ამის ნიშანწყალიც არ სჩანს, და იქ ზოგადადაც არ იხსენიება არსად სიტყვა სუვერენობა, დამოუკიდებლობა. „ნაციონალები ჟენდა დაკმაყოფილდენ დემოკრატიული „ვოლეიზიავლენიეს“ დაპირებით, პლებისციტის და საკუთარი თუ სრულიად რუსეთის დამფუძნებელი კრების გზით. მაგრამ, თანახმად სტატუტისა (შენიშვნა 2), „თავისუფალი დემოკრა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტიული ნება სურვილის გამოცხადება შეუძლებელია საბჭოთა ძალაუფლებასთან ბრძოლის პროცესში. ამის გამო მიღებულია, რომ ასეთი „ვოლეიზიავლენიე“ მოხდეს ახლოლოდ საბჭოთა ძალა-უფლების ლიკვიდაციის შემდეგ“. მელგუნოვს ეს უფრო ნათლად აქვს განმარტებული („ვოზროჟდენიე“ რვეული 22): „რუსეთის ორგანიზაციებმა მიიღეს „ნეპრედრეზენტეტვოს“ პრინციპი ეროვნულ თვით გამორკვევის საკითხში: ნაცნობია მათი უფლება ეროვნულ თვით გამორკვევისა, დემოკრატიულ „ვოლეიზიავლენიეს“ გზით მას შემდეგ, რაც საბჭოთა ძალაუფლება მოისპობა ეხლანდელი საბჭოს კავშირის მთელს ტერიტორიაზედ“.

ყოველივე ამის მიხედვით, უკეთეს ომისა თუ შინაგან რევოლიუციის პროცესში, საბჭოთა ძალაუფლება უფრო ადრე დაინგრა უკრაინაში, კავკასიაში და სხვა, ეს ქვეყნები ვერ მოახდენენ ამ „ვოლეიზიავლენიეს“ და ვერ შექმნიან თავის ტერიტორიაზედ სახელმწიფოებრივ აპარატს. მათ უნდა დაუცადონ სანამ ბოლშევიზმის ლიკვიდაცია არ მოხდება საბჭოთა კავშირის ყველა კუთხეში. თუ კორეაში ატეხილი ომი გრძელდება სამი წელიწადი, უთუოდ არ არის შეუძლებელი, რომ ბოლშევიზმის ლიკვიდაცია, საბჭოების მთელს სივრცეზედ და ბოლოს ციმბირში და ჩრდილო პოლიუსის ზონაში, ათს წელს მოითხოვს თუ კიდევ მეტსაც. როგორ უნდა მოეწყონ ამ ხნის განმავლობაში უფრო ადრე განთავისუფლებული ქვეყნები? მიუნხენის სტატუტი არ იძლევა ამაზედ რაიმე პასუხს. ხოლო ამ საკითხის სრულიად უპასუხოდ დატოვება შეუძლებელი იყო, და უთუოთ ამ საგანზედ არსებობს ვისბადენელების ფარული შეთანხმება. მისი შინაარსი ვერ იქნება სხვა თუ არა ის, რომ ამ პერიოდში ბოლშევიზმისაგან განთავისუფლებულ ქვეყნებს ჰმართავენ რუსეთისა და „ნაციონალების“ კერენსკები, თებერვლის რევოლიუციის „პოსლედოვატელნოე ნაროდოველასტიის“ საფუძველზედ.

7) მიუნხენის სტატუტი გვეპირდება, რომ ოდესმე მაინც შეიძლება მოხდეს ეს „ვოლეიზიავლენიე“, თუმცა ამის შესახებ ის არავითარ გარანტიას არ გვაძლევს. ეს მოხდება მის შემდეგ, რაც კერენშჩინა თავისებურად დაიწყობს ქვეყნების ცხოვრებას წელთა მანძილზედ. ხოლო როგორ მოგვარდება ეს საქმე, ეს საკმაოდ ნათელია იმავე მელგუნოვის განცხადებიდან. „შტანნბერგის თათბირებმა დაადგინეს, რომ ის ნაციონალური დაჯგუფებანი, რომელნიც არ უარყოფენ ეხლანდელ თავის პრეტენზიას დამოუკიდებლობაზედ, არ იქნებიან დაშვებულნი საკოორდინაციო პოლიტიკურ ცენტრში... ეროვნულ დაჯგუფებებმა უარი უნდა სთქვან ცნობაზედ იმ სახელმწიფოებრივ ერთეულებისა, რომელნიც შეიქმნენ ბოლშევიკური რეჟიმის პერიოდში“. („ვოზროჟდენიე“ რვეული 22). აქედან ნათელია, რომ ეროვნებათა „ვოლეიზიავლენიეს“ მოაწყობს ისეთი პოლიტიკური ცენტრი, რომელშიდაც იქნება ხუთი რუსი რომელნიც ამ ერთა სუვერენობის არ იწყნარებენ და აგრეთვე ხუთი „ნაციონალი“, რომელნიც წინეთ ცნობდენ თავის ერების სუვერენულ უფლებას, მაგრამ საკოორდინაციო ცენტრში შესვ-

ლისას მათ თვითონ ახადეს თავის ერებს ეს მათი ცნობა და იგი უკუაგდეს. ასეთი პატრიოტული საქმე მათ მიუნხენის სტატუტშიდაც კი შეიტანეს, თუმცა მორიდებულად და მორცხვად. „საკოორდინაციო ცენტრში შესული ეროვნული ორგანიზაციები არ ცნობენ თავის თავს ნაციონალური სახელმწიფოებრივი ერთეულების წარმომადგენლად (შენ. 3)“. თუ ცენტრში არ უშვებენ ეროვნულ დამოუკიდებლობის მომხრე დაჯგუფებას „ვოლეიზიავლენიის“ გამოსახავად მოწყობილ საარჩევნო კამპანიაში მათ ვინ გაიკარებს? მაშასადამე, სტალინიზმის შემდეგ კერენშჩინა „ედინაია-ნედელიმაიას“ ფარგლებში და მის მიერ ხალხთა „ვოლეიზიავლენიეს“ მოწყობა, უკეთუ საკოორდინაციო ცენტრმა ესეც არ გადაიფიქრა იმ დროამდე. ხოლო ეს თუ მაინც აღსრულდა, ის უთუოდ არ იქნება დიდათ განსხვავებული ხალხთა იმ „ვოლეიზიავლენიე“-დან, რომელსაც სტალინი ხშირად აწყობს.

ჩვენ სრულებით არ გვაწუხებს ის, რომ კერენსკიმ არ იცნო ქართველი და სხვა ერების სუვერენული უფლებები და არც ის, რომ მან და მისმა რუს და არა რუს იმყოფლებმა რაღაც ბუტაფორიული ორგანიზაცია შექმნეს ამ ერთა მომავალ ცხოვრების მოსაწყობად, ხოლო აქედანვე სადღაც და ვიღაცის მოსატყუებლად. კერენსკის ცნობას მაშინ ჰქონდა მნიშვნელობა, როდესაც ის იდგა რუსეთის იმპერიის სათავეში. ამის შემდეგ ბევრი რამ გამოიცვალა ამ ქვეყნად, და არამც თუ ვისბადენის ლანდების, არანაკლებ რომელიმე დიდი სახელმწიფოს ცნობა-არცნობასაც აღარ აქვს დიდი მნიშვნელობა. აფრიკის უდაბნოში მოხეტიალე ტომებსაც ანიჭებენ დამოუკიდებლობას, და ამაზე უარს ვერ ეტყვიან კავკასიელ ერებს, უკრაინას და სხვა, რომელსაც ისინი განთავისუფლებიან ბოლშევიკური მონობისაგან.

საკვალალო მხოლოდ ის არის, რომ გამოჩნდენ ისეთი მოღვაწეები, რომელთაც თავიანთი ერების სუვერენულ უფლებათა საკითხი პოლიტიკურ არარაობათა სათრეველად და სამათხოვროდ გახადეს, და მით მძიმედ შელახეს თავიანთი ერების პატივი და ღირსება.

8) როდესაც კერენსკი გამოჩნდა ხუთი სუსტი თუ საკუთარი ფიქტიური რუსულ სოციალისტურ და დემოკრატიულ ორგანიზაციების სათავეში თავის ფიქტიურ, მაგრამ გარეგნულად დიდი ანტიბოლშევიკური გეგმებით, 412 რუსულ ორგანიზაციამ მკაცრი პროტესტი გამოაცხადა. ამით შორის იმყოფებოდენ ყველა ის სამხედრო ორგანიზაციები და პოლიტიკური დაჯგუფებები, რომელთაც უბრძოლიათ წარსულში, ახლაც იბრძვიან და მომავალშიც იბრძოლებენ ბოლშევიზმის წინააღმდეგ. როდესაც ვისბადენელებმა თავის საქმეში ჩაითრიეს ქართული და სხვა ეროვნებათა ჯგუფები თუ ცალკე პიროვნებანი, ამან ასეთივე მკაცრი დაგმობა გამოიწვია ამ ეროვნებათა აქტიურ ემიგრაციაში. თუ ვინმე ანტიბოლშევიკურ ძალების კოორდინაციას დაისახავდა მიზნად, მას რუსულ და სხვა ეროვნებათა ამ მებრძოლ ორგანიზაციებიდან უნდა დაეწყოს და არა თებერვლის რევოლიუციის უსულო და უსხეულო ნამუსებიდან. ამ ძალებს არ დასჭირდებოდათ დამამცირებელი ვაჭრობის წარმოება ბრძოლის დროშისა და მომავლის მიზნების

შესახებ. ისინი არ მოსთხოვდენ ერთმანეთს იმ დროშის შეცვლას, რომლის ქვეშ ისინი აწარმოებდენ ბრძოლას ბოლშევიზმის წინააღმდეგ, ვინაიდან მათ კარგად უწყიან, რომ ვინც ასეთი ბრძოლის პროცესში იცვლის დროშას, ის ამ ბრძოლას სტოვებს და ბრძოლისათვის გამოსადეგი აღარ არის. ეს ძალები განაგრძობდენ ბრძოლას იმ დროშებით, რომლის ქვეშ იბრძოდენ ათეულ წელთა მანძილზედ. მათს წინაშე მდგარი მახლობელი და მთავარი საერთო მიზანი — ბოლშევიკური წყობილების დამხობა, უთუოდ საკმაო იქნებოდა მათი ძალების კოორდინაციისათვის და მათ შორის კეთილ-შობილი მხედრული კავშირისა და ურთიერთობის დამყარებისათვის.

ამერიკულ კომიტეტს უთუოდ ასეთი მიზანი ჰქონდა დასახული, მაგრამ კერენსკიმ და მისმა „ნაციონალებმა“ მისცეს ამ საქმეს ამ ზომად მავნე მიმართულება.

9) სრულიად მოულოდნელი იყო ქართველ სოციალისტების აქტიური მონაწილეობა ისეთს პოლიტიკურ მუშაობაში, რომელიც მთელი თავისი ბუნებით ეწინააღმდეგება საქართველოს დამოუკიდებლობის აქტსა და მის კონსტიტუციას, საქართველოს დამფუძნებელი კრებისა და მისი მთავრობის ყოველგვარ ნამოქმედარს, 1921, 1922 და 1924 წლის აჯანყებათა წინდა მიზანსა და დროშას, უცხოეთში ნაწარმოებ ქართულ მუშაობის ყველა აქტებს, ნაციათა ლიგაში და ოენუში წარდგენილ მემორანდუმებს, კავკასიელ მეზობლებთან და უკრაინასთან დადებულ პაკტებსა და კონვენციებს, და რომელიც აბათილებს თვით ქერთველ ვისაბადენელების „საბჭოს“ სტატუტს, რომელიც ასე გამოსაბავდა თავის მიზანს: „საქმიანი დამოკიდებულება თუ კავშირი დაეჭიროს ყველა იმ საერთაშორისო ორგანიზაციებთან და იმ ერების წარმომადგელებთან, რომელნიც **უდავოთ სცნობენ** ქართველი ერის სუვერენულ უფლებას, თვითგანაგოს თავისი ბედი“.

10) როდესაც საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის ემიგრაციამ თითქმის მთლიანად სტოვეს იმ ეროვნულ პოზიციას, რომელზედაც ეს პარტია მუშაობდა და იბრძოდა 34 წლის მანძილზედ, როდესაც დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობის ერთი ყოფილი წევრი ჩაუდგება სათავეში ასეთს საქმეს, ხოლო სხვები ახდილად მას ამოუდგებიან გვერდში, როდესაც ამ პარტიის სხვა აქტიური წევრებიც ამ ხაზზე დადგებიან და მხურვალე მუშაობას გაჩაღებენ, რომ სხვა ქართველი ძალებიც ამ საქმეში ჩააბან და ჩაითრიონ, და ასევე სხვა ეროვნებათა პიროვნებებიც, სადაც კი მათ ეს ეგაუვათ — ასეთი ამბავი უკვე ველარ თავსდება თვით დიდი პოლიტიკური შეცდომისა და მარცხის ფარგლებში. ის ეროვნული კატასტროფის სახეს ღებულობს. ის მძიმე ჭრილობას აყენებს საქართველოს განმათავისუფლებელი ბრძოლის საქმეს. ის სახელს უტეხს ჩვენი ბრძოლის იდეას მახლობელთა და შორეულთა თვალში. ის ჰბღალავს ქართულ ღირსებას, ქართულ სიტყვას, ქართულ პირობასა და აღთქმას. ხოლო ყოველივე ეს არ არის ისეთი ღირებულობა, რომ ის, ერთხელ შელახული და დაკარგული, ადვილად აღვიდგინოთ და დავიბრუნოთ. ასეთი მოქმედება მძიმედ

აზიანებს არა მარტო ქართული ემიგრაციის სხეულსა და მორალს, არამედ მთელი ერის ზნეობრივ სახეს, და არა მხოლოდ სადღეისოდ, არამედ ხანგრძლივად.

ამიერიდან ნათელი უნდა გახდეს ყველასათვის, რომ ვისბადენის პოლიტიკა წაგებულია და სავსებით დამარცხებული. ის ვერ მისწვდა ბოლშევიკურ ტირანიის წინააღმდეგ მებრძოლ ერებს, მან ვერ შესცვალა მათი ბრძოლის გეზი და დროშა და ამას ის ვერასოდეს ვერ შეძლებს. თვით ამ ერთა ემიგრაციებშიდაც სულ უფრო და უფრო ვიწროდ იფარგლება ვისბადენის პოლიტიკას აყოლილთა წრე. ჩვენი კავკასიელი მეზობლების პოლიტიკური დაჯგუფებები ამ გზას არ გაჰყვენ და არც არასოდეს გაჰყვებიან. უკრაინელები და ბელორუსები გაიმიჯნენ მისგან მთლიანად და ერთსულოვნად. მართალია, ჩვენდა საკვალალოდ, ქართული სოციალ - დემოკრატიული პარტიის ემიგრაციის უმრავლესობა გაჰყვა ვისბადენის გეზს, მაგრამ უნდა ვიქონიოთ იმედი, რომ ეს არ არის მისი საბოლოო გადაწყვეტილება, და ეს წრე კვლავ დაუბრუნდება სოციალ - დემოკრატიულ პარტიისა და მთელი ერის განმათავისუფლებელი ბრძოლის პოზიციებსა და დროშას.

ყოველივე ამის მიხედვით, ჩვენ არა მხოლოდ საყვედურით მივმართავთ ამ წრეს, არამედ აგრეთვე მხურვალე და გულწრფელი თხოვნით, რათა ამ პარტიის ყოველმა წევრმა საბოლოოდ დააფასოს თავის გულის სიღრმეში სოციალ - დემოკრატიული პარტიის ძველი გეზი და მისი ემიგრაციის ახალი მიმართულების ავი და კარგი, და არა ანონიმურად, თითის აწევით, არამედ ახდილად. თეთრზედ შავად ხელის მოწერით, და მით აიღოს მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობა ქართველი ერისა და მისი ისტორიის წინაშე.

**ქართული პოლიტიკური ცენტრი.**

ოქტომბერი 1952 წ. პარიზი.

---

## † შ ა ლ ვ ა ქ ა რ უ მ ი ძ ე

საქართველოს ეროვნულ - დემოკრატიული პარტიის დამაარსებელთა და ხელმძღვანელთა წრეს კიდევ გამოაკლდა ერთი თვალსაჩინო წევრი. პირველ მარტს, შვეიცარიაში, სულიერად სნეულთა საავადმყოფოში გარდაიცვალა შალვა ქარუმიძე. როდესაც ჩვენ მივიღებთ საქართველოში გმირულად დალუპულ და აქ უცხოეთში მძიმე მოღვაწეობაში გარდაცვლილ ჩვენი პარტიის ხელმძღვანელთა ცხოვრების აღწერას და მათი ღვაწლის დაფასებას, შალვა ქარუმიძის პიროვნება და მოღვაწეობაც მოიპოვებს იქ ღირსეულ ადგილს. ხოლო ამ ჟამად ჩვენ ვამცნობთ ქართულ საზოგადოებას, რომ კიდევ ერთი კარგი მამულიშვილი განგვშორდა სამუდამოთ, და მას მიუძღვნით სადა გამოსათხოვარ სიტყვას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შალვა ქარუმიძემ ჯაბუკობიდანვე მიიქცია ქართული საზოგადოების ყურადღება. უნივერსიტეტში ის მხურვალე პატრიოტიზმით აღგზნებული სტუდენტია, ქართველ სტუდენტთა ეროვნულ-კულტურულ საქმიანობის აქტიური მონაწილე. ქალთა ინსტიტუტისა და ქართულ გიმნაზიის მასწავლებელი უკვე საზოგადო მოღვაწეა, ყოველი პატრიოტული საქმისა და მოქმედების ენერგიული დამხმარე. შალვა ქარუმიძე თავიდანვე მიემხრო ქართველ ახალგაზდობის იმ წრეს, რომელმაც განიზრახა პოლიტიკური პარტიის დაარსება ილია ჭავჭავაძის თაობის აზროვნებისა და მოღვაწეობის საფუძვლებზედ, შ. ქარუმიძე აქტიური მონაწილეა ამ წრის მუშაობის. მთელი საქართველოს სიერცეზედ ორგანიზაციების შესაქმნელად და ბეჭდვითი გამოცემების დასაარსებლად. ამავე დროს ეს წრე უცხოეთში მომქმედ „საქართველოს განმათავისუფლებელ კომიტეტთან“ არის დაკავშირებული და ჩვენს ქვეყანაში ეწევა ფრიად სახიფათო ფარული მუშაობას. შ. ქარუმიძე აქტიური მონაწილეა ამ საქმის და ის ომის დროს მიემგზავრების უცხოეთში მიხ. წერეთელთან და გ. მაჩაბელთან შესახვედრად. დაბრუნების შემდეგ ის აწყობს წყალ-ქვეშა ნავების მოლებას და ამ საქმისათვის საჭირო ფარულ ორგანიზაციებს. შემდეგაც საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენისათვის წარმოებულ მუშაობაში, ჩვენს ომებში და საქართველოს კვლავ აღდგენისათვის განმათავისუფლებელ ბრძოლის ორგანიზაციებში შ. ქარუმიძე მონაწილეობას ღებულობს ჩვენი პარტიის და მხედრების ყველა იმ ორგანიზაციებში, რომელნიც მეტად საპასუხისმგებლო საქმეებს ხელმძღვანელობენ.

შალვა ქარუმიძის როლი აგრეთვე თვალსაჩინო იყო უფრო მწვიდობიან საქმეებში — საარჩევნო კომპანიებში თუ სასოფლო-მეურნეობისა და ვაჭარ-მრეწველთა კავშირების დაარსებაში. ის იყო ნამდვილი სახალხო ტრიბუნი. მას განსაცვიფრებელი ნიჭი ქონდა ხალხის სულიერი განწყობილების გაგების და მაზედ ზედმოქმედების. საქართველოს ყოველ კუთხეს იცნობდა ის და მისი სიტყვა ყველგან ღრმად სწვდებოდა ხალხის გულს. ხოლო ფშავ-ხევსურეთში მას სრულიად განსაკუთრებული სიყვარული ჰქონდა დამსახურებული. „ჩვენი შალვაის“ იქ ყველა იცნობდა, მოხუცი თუ ბავშვი, ქალი და ვაჟი.

როდესაც ჩვენი ომების დროს ფშავ-ხევსურები ჩამოვიდოდენ ომში მონაწილეობის მისაღებად, ისინი მუდამ მოითხოვდენ რომ შალ. ქარუმიძე დაენიშნათ მათ მეთაურად. საბჭოთა რუსეთის შემოსევის დროს შ. ქარუმიძე უკანასკნელად მეთაურობდა სამხედრო ხელმძღვანელთან ერთად ფშავ-ხევსურების რაზმს.

აქ, უცხოეთში, შალვა ქარუმიძე უკვე ველარ შეეგუა ემიგრაციის საქმიანობას. მისი ბუნების იმვიათი დინამიზმი ვერ ურიგდებოდა მოვლენათა დაუსრულებელ მოლოდინს. ის ჰფიქრობდა, რომ მძლავრი ზედმოქმედებით შეიძლება ამ მოვლენათა დაჩქარება. ახალ გარემოებათა შექმნა, ბოლშევიკურ მოსკოვის წინააღმდეგ ევროპიული ძალების ამოქმედება. ის იწყებს პიროვნულად დიდ მასშტაბში მოხაზულ გეგმით ბრძოლისათვის საჭირო დიდი საფინანსო და ტექნიკური საშვა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლებათა ძებნას. მისმა პარტიამ არ გაიზიარა მისი ასეთი გეზი და ორგანიზაციას ჩამოაშორა. შ. ქარუმიძე არ შედავებია ასეთს გადაწყვეტილებას, არ ცდილა თავის ჯგუფის დაარსებას და ორგანიზაციაში ფრაქციულობის შეტანას. მას არ შეუწყვეტია მეგობრული ურთიერთობა თავის ძველ ამხანაგებთან და მუდამ გამოსთქვამდა იმედს, რომ რაც უნდა მოხდეს გადამწყვეტ მომენტში ჩვენ კვლავ ერთად ვიქნებითო. მისი ძველი მეგობრებიც ასე ჰფიქრობდენ, იმედოვნობდენ. შალვა ქარუმიძეზედ გაჯავრება ადვილი იყო, ხოლო ხანგრძლივად მასთან ყბრობა — მეტად ძნელი, ვინაიდან განსვენებული მეტად მიმზიდველი ბუნების იყო, კეთილი, ხელგაშლილი და გულშემატკივარი.

ულმობელმა მისმა ბედმა სხვაფერ გადაწყვიტა და ამ გადამწყვეტ ბრძოლაში მონაწილეობის ნაცვლად მას არგუნა განუკურნავ სენთან განწირული ბრძოლა მთელი ათი წლის მანძილზედ, ხანგრძლივი წამება და სიკვდილი ყველასაგან შორს და სრულს მარტოობაში. საუკუნო იყოს ხსენება მისი.

ალ. ასათიანი.

---

## ს ა ი თ მ ი დ ი ა ნ?

ყოველი ისტორიული ეპოქა თავისი განსაკუთრებული მთხოვნილებით აღინიშნება. სახელმწიფო მოღვაწეთა გონიერებაც მხოლოდ იმით განისაზღვრება, თუ რამდენად მისწვდებიან ახალ მოთხოვნილებათა საიდუმლოებას და სახელმწიფო ინტერესებს მას შეუფარდებენ. ამ შემთხვევაში სახელმწიფო ნორმალური ევოლიუციას განიცდის და ჯანმრთელი სხეული მისი მარადიულობის საწინდარია. ხოლო თუ ეს მოღვაწენი ვერ მისწვდენ და ვერ შეიგნეს თავისი ეპოქის მოთხოვნილებანი და მას ჩამორჩენ, ქვეყნის შემოქმედებითი ნიჭი იყინება, საზოგადოებრივი ცხოვრება ირევა, სუსტდება, და ხშირად, ფატალურად განწირული სრულიადაც იშლება და იღუპება.

ასე დაემარცხა პირველი მსოფლიო ომის შემდეგ, ავსტრია-უნგრეთს, დიდ ოტომანთა და რუსეთის იმპერიებს, სწორედ იმ ქვეყნებს, რომლებიც ვერ ამაღლდენ თანამედროვე პროგრესის გაგებამდე, და ვიწრო ნაციონალიზმით შეპყრობილნი, უხეში ძალმომრეობით ახშობდენ მათ იმპერიებში ძალით ჩაჭედილ ეროვნებათა მისწრაფებებს.

ამ შემთხვევაში ჩვენ გვაინტერესებს რუსეთის იმპერია, რომლის დასნეულებულმა ორგანიზმმა ვერ გაუძლო დიდ ისტორიულ მოვლენებს და ადვილად დაიმსხვრა, დაიშალა. მისი მემკვიდრე, კერენსკის სოციალისტური იმპერია, კიდევ უფრო უსუსური და უღღეურო გამოდგა. ერთ მხარეზე დარჩა აბობოქრებული, უდისციპლინო მასა, და მეორეზედ კი, სახელმწიფო მმართველობის უნარს მოკლებული, მიტინგების ოსტატი — დროებითი მთავრობა. ლენინმა მოხერხებულად ისარგებლა ამ გარემოებით და უმეთაუროდ დარჩენილ ბრბოს გადასძახა: „ძარცვე ნაძარცვი!“ მასამ ამ სიტყვებით იცნო თავისი ბუნებისა და

ეროვნული ბიბლიოთეკა

გემოვნების ბელადი და მას გაყვა, მას დაემორჩილა. ერთი მუჭა აქტიური და გაბედული კომუნისტური ბანდა დაეპატრონა ამ შეუგნებელ და გაუწვრთნელ მასებს და ადვილად დაამსხვრია ქვეშაზე აგებული თებერვლის რევოლიუციის მთავრობა და შემდეგ კი, კარგად შეიარაღებული „თეთრი“ გენერლების არმიები. ხოლო ერთმანეთის წინააღმდეგ მებრძოლნი, ყველა სოციალურ და პოლიტიკურ საკითხებში ერთმანეთს დაპირდაპირებულნი ეს ძალები ერთსულოვანი აღმოჩნდნენ — რუსეთის იმპერიის მიერ დაპყრობილ ერთა უფლების აღიარების და რუსეთის ულლისაგან განთავისუფლებისათვის ყველა მათი ცდების წინააღმდეგ ამხედრების საქმეში. კერენსკის მთავრობამ სულ მცირე რამ დაკმაყოფილებაც არ მისცა ამ ერებს, ხოლო თეთრი გენერლები, ბოლშევიკურ ძალების წინააღმდეგ მებრძოლნი, ზურგში ახალ ფრონტებს იჩენდნენ და ფაქტიურად ჩამოშორებულ კავკასიისა და უკრაინის კვლავ იარაღით დაპყრობაზედ ზრუნავდენ. თვით ბოლშევიკურმა რუსეთმა ზომ რომანოვების რუსეთსაც გადააჭარბა და ამ ქვეყნების კვლავ ცეცხლითა და მახვილით დაპყრობა თავის უპირველეს ამოცანად დაისახა. ბოლშევიზმის გაბატონებით სამშობლოდან განდევნილი რუსობაც ასეთი უხეში იმპერიალისტური სულის კვეთებით გავიდა უცხო ქვეყნებში და დღემდე ამ იდეების ერთგული დარჩა. მილიუკოვმა რომ გვანაცხადა: „კონსტიტუციასთან ერთად ვიბრძოლებ რუსეთის მთლიანობის დასაცავად“-ო, ეს იყო მთელი რუსეთის ემიგრაციის სულისკვეთების გამოსახვა.

დღეს მთელმა კულტურულმა კაცობრიობამ შეიგნო წითელი იმპერიალიზმის საფრთხე და მის დასანგრევად ირაზმება სამერიკის შტატების მეთაურობით. ამ ანტიბოლშევიკური მსოფლიო ამხედრების იდეაა ერთა და ადამიანთა თავისუფლება. რუსეთის ემიგრაცია ეხლა, რასაკვირველია, ვერ გამოვა ახლილად ძველი დროშით. ის იძულებულია გაიმიჯნოს კონსტიტუციასაგან, და რუსეთის იმპერიალიზმის დასაცავად სხვა გზები გამოძებნოს. ყველა მიმართულების მათი გამოცემები ასეთი ძიებით იყვენ გართული ამ უკანასკნელ წლებში, და ამასვე შეეწირა ეგრედ წოდებულ ვისბადენელ რუსულ და არა რუსულ მემარცხენე დაჯგუფებათა დაუსრულებელი თათბირები. მათ კიდეც გამონახეს ეს ახალი გზა. ეს არის სიტყვიერად აღიარება ერთა თვითგამორკვევის უფლების. რუსეთის სოციალ-დემოკრატების მეთაურმა, აბრამოვიჩმა საჯაროდ აღიარა: „რუსიანების მოვალეობაა მიღება ერთა თვითგამორკვევის უფლების, ხოლო „ნაციონალების“ მოვალეობაა მიღება დემოკრატიული დაკითხვის თავისუფალი მჯელობისა და თავისუფალი ხმის მიცემის საფუძველზედ“. შვარცი ამ დაკითხვის სხემას იძლევა. ის უნდა მოახდინოს დემოკრატიულმა ცენტრალურმა მთავრობამ. უკრაინაში, კავკასიაში და სხ. ბოლშევიკების მიერ ჩასახლებულ რუსებსაც მიეცემა ხმა ამ საკითხის გადაწყვეტაში, ხოლო ამ ქვეყნებიდან რუსეთში გადასახლებულ უკრაინელებს, ქართველებს და სხ. არა. გოლდენვაიზერი კიდევ სწერდა ვისბადენის თათბირობის დროს: „ნაციონალური თვითგამორკვევის უფლება არ შეიცავს გამო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყოფის და დამოუკიდებლობის უფლებას“. საბჭოების კონსტიტუცია სცნობს ამ უფლებას, მაგრამ ეს მხოლოდ ქაღალდზედ დაწერილი რჩება, რადგან ამ უფლების განაღდება ცენტრალური მთავრობის ხელშია. მეემარცხენე თუ მემარჯვენე რუსობა ამ ქაღალდზედ დაწერილ უფლებასაც არ ანიჭებენ ჩვენს ერებს. მაგრამ ამას უთუოდ არ ექნება დიდი მნიშვნელობა რუსეთის მიერ დაპყრობილ ერთა ბედის გადაწყვეტისათვის. მეტად დიდი დანაშაულია, როდესაც ზოგიერთი ქართველი სოციალისტები ამათთან თანთბირებით არიან გართულნი, და უკვე გაკოტრებული ვილსბადენის პროპაგანდას ეწევიან ქართულ და სხვა ერების ემიგრაციაში. მათი მოვალეობა კი ის იყო, რომ კარგათ გაერკვიათ და გაეგოთ დემოკრატიული მსოფლიოს მიერ აღებული გეზი და ის პოლიტიკა, რომელსაც აწარმოებს ის ძლიერი ამერიკის მეთაურობით. ეს ძალა იქნება ჩვენი ერების ბედის გადამწყვეტი და მომავალში მათი თავისუფლების მფარველი და დამცველი. ამერიკის გავლენიანმა წარმომადგენელმა დოკ. ბუნჩმა განაცხადა ოენუს კრებაზედ: ის შფოთი და მღელვარება, რომელიც ახასიათებს ეხლანდელ საერთაშორისო მდგომარეობას, შეუძლებლად გახდის მშვიდობიანობის დამყარებას, უკეთუ არ იქნება განხორციელებული მრავალ ტანჯულ ერთა ეროვნული მისწრაფება.

შეერთებული შტატების საგარეო მინისტრმა ბ-ნმა აჩესონმა განაცხადა ამერიკელ რედაქტორების ყრილობაზედ: „თავისუფალი მსოფლიოს მიზანია შექმნა ისეთი საზოგადოების, სადაც მისი ყოველი წევრი სახელმწიფო იქნება ეკონომიურად ძლიერი, პოლიტიკურად თავისუფალი და სადაც ხალხი იცხოვრებს ყოველგვარი შიშის გარეშე. აი ეს არის ჩვენთვის სანუკვარი მომავალი და ამიტომ ჩვენი ადგილი გარკვეულად და ურეზერვოდ სწორედ აქ არის“. გასულ აპრილს ოენუს შიერ აღსმიანთა უფლების კომიტეტის შექმნის დროს ქ-მა რუზველტმა ამოითხოვა, რომ მისი დეკლარაცია ყოფილიყო თავისუფალი მსოფლიოს მორალური მოვალეობის გამოსახულება, რომ ყველა ერებს დაეხმარებიან, ხელს შეეწყობენ და გაუადვილებენ თვითგამორკვევას და ეროვნული დამოუკიდებლობის მიღწევას. გასულ ივლისში უკრაინელების კონგრესზედ სიტყვა წარმოსთქვა შტატების საშინაო საქმეთა მინისტრმა ჩემპერმა. მან აღნიშნა, რომ უკრაინა დატყვევებული ჰყავს რუსეთს და ეს დღითი დღე აუტანელი ხდებაო. უკრაინა არ არის რუსეთია, ზაზგასმით განაცხადა მან. ხოლო თუ უკრაინა არ არის რუსეთი, ნათელია, რომ რუსეთი არ იქნება საქართველო, სომხეთი, აზერბაიჯანი და სხ.

ასეთია დიდი ამერიკის მეთაურთა აზრი და ამას ისინი საქვეყნოდ აღიარებენ. სულ სხვაა რუსის მოღვაწეთა და კერენსკის ამყოლ-დამყოლთა შეხედულება, მაგრამ რა გაეწყობა. ამას ისეთივე გავლენა ექნება მსოფლიოს პოლიტიკის მსვლელობაზედ, როგორც შარშანდელ თოვლს. კომუნისტური მოსკოვის ნინობაში მყოფ ერების განთავისუფლებისა და მათი დამოუკიდებლობის აღდგენის საქმეს ის ვერ შეცვლის და ვერც შეაფერხებს.

**მ. სინჯიკაშვილი.** ნიუ-იორკი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სად არის ჩვენი ადგილი?

ბედმა თუ უბედობამ საქართველო ორი კონტინენტის — ევროპის და აზიის მიჯნაზე მოათავსა. ქვეყნის გეო-პოლიტიკურმა მდგომარეობამ, ენის, რელიგიის, ჩვეულებების და მთელმა რიგმა სხვა მოვლენებმა განსაზღვრა საქართველოს მრავალ საუკუნოვანი ისტორია და განვითარებაც თავისებურად წარიმართა.

განვლილი ისტორიის მანძილზე საქართველო მუდამ ძიებაში იმყოფებოდა. ნებით თუ უნებლიეთ კავშირი გვქონდა ბერძნებთან, რომაელებთან, ბიზანტიელებთან, არაბ - მონღოლებთან, სპარს - ოსმალებთან, ევროპიელებთან და რუსებთან. მრავალი საუკუნის მანძილზე ჩვენი ბედის მართვაში საკუთარ ძალებს ვეყრდნობოდით, მაგრამ შემდეგ იძულებული გავხდით გარეშე დახმარებისათვის მიგვემართა. საქართველოს მთელი ისტორიის მანძილზე ცხადი იყო, რომ ქართველობას ხელთ ეპყრა ქრისტიანობის დროშა და მზათ იყო თავი გაეწირა მის დასაცავად. საქართველო იბრძოდა ქრისტიანობისათვის და ამით ავტომატურად ხდებოდა ქრისტიანული ცივილიზაციის დამცველი, ხოლო როდესაც ეს უკანასკნელი დასავლეთის კულტურის სინონიმად გადაიქცა, საქართველო გახდა დასავლეთის ცივილიზაციის დამცველი ქვეყანა!

საერთო მიზნისათვის ბრძოლამ, საქართველო სულიერად ევროპას დაუკავშირა. ქრისტიანობის მოსისხლე მტერი — აღმოსავლეთი, საქართველოს მტერსაც წარმოადგენდა. ქართველობამ ორი ერთხელ შეაჩერა ევროპის ასაოხრებლად ამხედრებული არაბების და მონღოლების ურიდოები. საქართველომ ზღვა სისხლი გაიღო საკუთარი და დასავლეთის ცივილიზაციის დაცვაში... ამ საერთო ბრძოლის გასაადვილებლად საქართველოს მოწინავე მოაზროვნენი ჯერ კიდევ მეცამეტე საუკუნეში მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ დასავლეთ ევროპის ქვეყნებთან მჭიდრო კავშირი აუცილებელია. ეს მისწრაფება მეხუთმეტე საუკუნეში, ოსმალეთის საშიშროების წარმოშობის გამო კიდევ უფრო გაიზარდა და ქართველი მეფეები — გიორგი მერვე, ლუარსაბ პირველი, თეიმურაზ პირველი, ვახტანგ მეექვსე და ერეკლე მეორე მოწადინებული იყვნენ დაკავშირებოდნენ დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებს. მაგრამ იმ დროინდელი დასავლეთი, ევროპიული განვითარების აკვანს არწევდა და არ ჰქონდა შეგნებული ერთიანობის იდეა, მისი მთლიანობის და ძლიერების აუცილებლობა. საუკუნეები იყო საჭირო, რომ ევროპიელებს შეეგნოთ თუ რა უდიდესი მნიშვნელობა აქვს ერთიანობას საერთო მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში.

ამ ხნის განმავლობაში მრავალმა უბედურებამ დადაიარა საქართველოს თავზე. განმარტოებულად მებრძოლი ქვეყანა რამოდენიმეჯერ აოხრეს და აწიოკეს დასავლეთის ცივილიზაციის მტრებმა. გამოუვალ მდგომარეობაში მყოფ ქართველთა წინაშე დაისვა საბედისწერო საკითხი; საქართველოს უნდა გადაეწყვიტა თუ სად იყო მისი ადგილი... არჩევანი ამჟამად რუსეთის ხვდა და ერთმორწმუნეობამ ქართვე-

ლობა ხახა-დალუბულ დათვის ბუნაგში შეიყვანა. რუსეთმა ბოროტად გამოიყენა ქართველთა ნდობა და 1801 წლის 12 სექტემბერს გააუქმა საქართველოს სახელმწიფოებრივობა, წარყვნა სიტყვა ქართული, გააუქმა მრავალსაუკუნოვანი ქართული ეკლესია, წაბილწა ძველი ადათები და ჩვეულებები და საქართველო ამყარა გარუსების ე. ი. ეროვნული მოსპობის ნიადაგზე დაყენა.

ასე გრძელდებოდა, ვიდრე, პირველმა მსოფლიო ომმა არ დაანგრია თვითმპყრობელური რუსეთი და ბოროტებაზე, ძალადობაზე და ცბიერებაზე აგებული იმპერია. ამ დროისთვის ქართველი ხალხის თვითშეგნება და სურვილი იმდენად იყო ჩამოყალიბებული, რომ დიდი ხანი არ დასჭირდა ქართველობას პასუხი გაეცა კითხვისათვის — სად არის ჩვენი ადგილი?... 1918 წლის 26 მაისს თავისუფალმა ხალხმა დაიბრუნა ისტორიული უფლებები, გამოაცხადა თავისი თავი და საქართველოს დამოუკიდებლობა გამოაცხადა, ცოტა უფრო გვიან კი გამოსთქვა სურვილი ევროპიულ ქვეყნებთან ერთად ეთანამშრომლა მსოფლიო ეროვნებათა კავშირში — ერთა ლიგაში! საქართველოს სურდა ევროპასთან ყოფნა, სურდა აღედგინა საუკუნეებში ჩამოყალიბებული სულიერი კავშირი. დამოუკიდებელმა საქართველომ არსებობის პირველ წელშივე გააგზავნა ევროპაში ასიოდე სტუდენტი, უნივერსიტეტებში სასწავლებლად! რუსეთში, პეტრე დიდის მიერ ევროპისაკენ გაღებული ფანჯარა დაიხურა, საქართველომ კი გააღო ალაყაფის კარები და დანარჩენ მსოფლიოს ეროვნული ლირსებით გადახედა.

მაგრამ მსოფლიო ომით მოქანცული ევროპა გზა-ჯვარედინზე იდგა და მსოფლიოს მესაჭენი ვერ ხედავდენ იმ საშიშროებას, რომელიც რუსეთის იმპერიის ნანგრევებში ჩაისახა. საბოლოოდ მსოფლიოს ემუქრებოდა. ბოლშევიკური რუსეთი განაგრძობდა ძველი რუსეთის იმპერიალისტური პოლიტიკას და რიგ-რიგობით ანადგურებდა მის მოსაზღვრე თავისუფალ ერებს. ევროპას ეძინა, ხოლო მსოფლიო პოლიტიკის ასპარეზზედ ახლად გამოსული ამერიკა ვერ ერკვეოდა ევროპიულ საკითხებში და მონროს დოქტრინით — „ამერიკა ამერიკელებისათვის“ კმაყოფილდებოდა.

1921 წლის 25 თებერვალს, ულეში ძალადობით და მოტყუებით, რუსეთმა ისევ დაიპყრო დამოუკიდებელი საქართველო და მას ადგილი საბჭოთა კავშირში მიუჩინა. მას შემდეგ 31 წელმა განვლო და დიდი ცვლილებები მოხდა როგორც საქართველოში ისე მის გარეთაც. ქართველი ერი ამჟამად ცდილობდა ჩამოეგდო მოძალადეთა ბატონობა. კომუნისტურ ტირანიას, სხვა დაპყრობილ ერებთან ერთად საქართველოც შეურიგებლად ებრძოდა, მაგრამ უშედეგოდ... ქართველთა ბრძოლა ადგილობრივი ხასიათის აღმოჩნდა და მოსკოვის ტირანებმა სისხლის ზღვაში აბანავეს თავისუფლებისათვის მებრძოლი ქართველობა. მაგრამ საბედნიეროდ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ მდგომარეობა საგრძნობლად შეიცვალა. დასავლეთის ქვეყნებმა შეიგნეს, რომ ბოლშევიზმი უბრალოდ ექსპერიმენტი კი არა, არამედ საკაცობრიო

ეროვნული ბიბლიოთეკა

ებედურება არის. დღეს ყველასათვის ნათელია ძველი და ახალი კრემლის მისწრაფებათა იგივეობა და ამიტომ არის, რომ თავისუფალი ქვეყნები კომუნიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად ემზადებიან. საბჭოთა კავშირის მთელი საზღვრის გასწვრივ იქმნება რეგიონალური უშიშროების კავშირები. სკანდინავიის, ჩრდილოეთ ატლანტიკის, ხმელთა შუა ზღვის და შორეულ აღმოსავლეთის ქვეყნებმა სასიკვდილო სარტყელი შემოავლეს ბოროტების ბუდეს — საბჭოთა კავშირს. ისტორიული პარადოქსია, მაგრამ ჩრდილოეთ ატლანტიკის კავშირში დავით კურო - პალატის საქართველოც, ტაო - კლარჯეთიც მონაწილეობს. თავისუფალი ქვეყნები იარაღდებიან არა მარტო ატომური ბომბებით, თვითმფრინავებით და ტანკებით, არამედ იდეურადაც. ომის წინა ფაზა — იდეოლოგიური ომი უკვე დაიწყო. თავისუფლება აშკარად დაუპირდაპირდა ტირანიას. ისტორიის განვითარებამ გლობალური ხასიათი მიიღო, იდეების და ტექნიკის განვითარებამ საკვლევი შესცვალა აზროვნების ძველი მასშტაბი და ახალი პერსპექტივები წარმოშვა. იწყება ბრძოლა ახალი ეპოქის სამეთაურიოდ... ერთის მხრივ დემოკრატიული იდეების მატარებელი თავისუფალი ქვეყნები და მეორეს მხრივ ძალადობაზე აგებული საბჭოთა იმპერია. აი, ასეთ რთულ მომენტში ქართველთა წინაშე ისევ ისმება კითხვა, თუ სად არის ჩვენი ადგილი?

ქართული პოლიტიკის საარბიელი დღეს საზღვარ - გარეთაა. ემიგრაციაში არ არსებობს არც ერთი ეროვნული პარტია ან ჯგუფი, ჟურნალი ან გაზეთი, რომელიც საქართველოს დამოუკიდებლობას უარყოფდეს. ჩვენ ყველას გვსურს, რომ ბოლშევიზმის ნანგრევებზე აღდგეს დამოუკიდებელი საქართველო და ქართველმა ხალხმა დიდი ხნის წამების შემდეგ თავისუფლად ამოისუნთქოს. უთანხმოება მხოლოდ ამ მიზნის მისაღწევად სავალი გზის გამონახვაშია. სანამ ამ უთანხმოებათა მიზეზებს განვიხილავდეთ, აუცილებელია აღინიშნოს, რომ დამოუკიდებლობის ძველი გაგება აღარ წარმოადგენს რეალობას არა მარტო საქართველოსათვის, არამედ ბევრად უფრო დიდი სახელმწიფოებისათვისაც. ახალი მსოფლიო, ყოველი სახელმწიფოსაგან სუვერენობის გარკვეული ნაწილის დათმობას მოითხოვს. მაგრამ ეს სრულიადაც არ ნიშნავს, რომ მომავალი მსოფლიო წყობა უარყოფდეს ერების დამოუკიდებლობას. პირიქით : ახალ მსოფლიოში ერები თავისუფალნი იქნებიან და ისინი მხოლოდ ნებაყოფლობით საფუძველზე დაუკავშირდებიან ერთმანეთს. ჩვენ გვწამს, რომ თავისუფალი საქართველო დამოუკიდებლად შევა იმ ევროპიული ერების ოჯახში, რომლის შექმნაში მან ისტორიულად დაუფასებელი ღვაწლი გაიღო. საქართველო დაუკავშირდება დასავლეთს და არნახული სისწრაფით დაიწყებს განვითარებას. წარმოუდგენელია ის პერსპექტივები, რომელიც ჩვენს წინაშე აიშლებიან. ბრმა უნდა იყო ადამიანი, რომ ვერ გაარჩიოს ოქსფორდის და კემბრიჯის უნივერსიტეტების უპირატესობა რიაზანის და ტამბოვის უნივერსიტეტებთან.

როგორც უკვე ვთქვით ქართული ეროვნული ემიგრაციის მიზანი საქართველოს დამოუკიდებლობის მიღწევაა. ემიგრაციის ის ჯგუფი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომელიც ტაქტიკური ან დიპლომატიური მოსაზრებით უარყოფს საქართველოს დამოუკიდებლობის უზენაესობას, ვერ ჩაითვლება ეროვნული ინტერესების მატარებლად. ყოველგვარი კომპრომისი საქართველოსათვის პლებისციტის ან თვითგამორკვევის უფლების მოსაპოებლად საქართველოს ისტორიის უკან დაბრუნებას ნიშნავს და ამიტომ ეროვნული თვალსაზრისით ღალატს წარმოადგენს.

**დონ - ჩინი.**

ნიუ - იორკი.

---

## ქ ა რ თ უ ლ ი ე მ ი გ რ ა ც ი ა

1921 წლის თებერვლის 11-ს რუსეთმა მზაკვრულად დაარღვია საქართველოსთან დადებული ხელშეკრულება და ომის გამოუცხადებლად თავს დაესხა მას. მტრის მრავალ - რიცხოვანმა ძალია ქართველებს და მისი ოფიციალური პოლიტიკური მეთაურობა და სარდლობა იძულებული იყო უცხოეთში გახიზნულიყო. ამ გვარად გაჩნდა პირველი ქართული ემიგრაცია, უცხო ძალის მიერ დამარცხებული და განდევნილი თავის სამშობლოდან. იქ დარჩენილმა ქართველმა ერმა იარაღი აიღო და დამპყრობელებს შეებრძოლა. შეურიგებელ საქართველოს მოეგლინა ახალი ხელმძღვანელობა, პარტიათა წარმომადგენლობის სახით. ჩნდებიან პარტიზანული რაზმები, ხდება ცალ - ცალკე კუთხური აჯანყებები და ირაზმება ერი, ახალი გადამწყვეტი ბრძოლისათვის, რაც 1924 წლის საყოველთაო ეროვნული აჯანყებით დაგვირგვინდა.

ყოველ ახდილ დაპირდაპირებას თან სდევდა ახალ - ახალი ჯგუფების გამოქცევა. მორბოდნენ აჯანყებებში დამარცხებულნი, პარტიზანული რაზმების ნაშთები, აქტიურ მებრძოლთა მფარველები, ეზარის დამჭერნი და ხელის შემწყობნი, რომელთა ვინაობა მოქმედებამ გამოამჟღავნა და მოელოდათ რეპრესიები. ამ მებრძოლთა ჯგუფებით შეივსო და გაიზარდა პირველი ემიგრაცია. ქართული ემიგრაცია არ არის რეჟიმის უკმაყოფილებით ან შინაგანი რევოლუციით წარმოშობილი; არაფერ უცხო, ძალის, რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობით. ამიტომ უპირველეს ყოვლისა იგი არის ეროვნული ემიგრაცია და მისი დანიშნულებაც აქედან უნდა წარმოშდინარეობდეს.

ქართველი ერი სცნობს და მზარს ღებულობს თავის ემიგრაციას განსაზღვრულ ფარგლებში, **რომ იგი არ არის წარმოგზავნილი ახალი იდეების ან სახელმწიფოებრივი მმართველობის ახალი ფორმის საძებნელად, არამედ საქართველოს განმათავისუფლებელი ბრძოლის საწარმოებლად.** ამას ემსახურებოდა 30 წლის განმავლობაში ქართული ემიგრაცია მთლიანად და ცალ - ცალკე ყოველი მისი ნაწილი. ამ მდგომარეობაში მოუსწრო მას მეორე მსოფლიო ომმა.

ომის დროს, ცხადია, ქართული ემიგრაცია გულხელ დაკრეფილი ვერ დარჩებოდა და თავისი ეროვნული მოვალეობის მაღალი შეგნე-

ბით, მან სათანადო პოზიცია დაიჭირა. ამ დროს ევროპანიაში ასეთსა-სობით გაჩნდნენ წითელი ჯარიდან განოქცეული სამხედრო ტყვეები, რომლებიც ნაციონალური სიმკაცრით, მოუვლელობით და უპატრონობით ეწყალოდ იტანჯებოდნენ. ქართული ემიგრაციის საღმთო მოვალეობა იყო, უპირველესად ყოველისა, ეზრუნა თავის თანამემამულეთა ფიზიკურ გადარჩენაზე.

ამ დროისათვის ქართულმა ემიგრაციამ გამოიყენა უკვე მზად მყოფი კადრები: პოლიტიკური, სამხედრო, სანიტარული და საპროპაგანდო.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, ქართული ემიგრაცია უფრო შეივსო და გაიზარდა. ძველი და ახალი ემიგრაციის სრული იდეური თანხმობა ზედმეტი საბუთია, რომ ემიგრაცია ნატეხია მთლიანი ქართველი ერის და არც იდეურად და არც ფსიხოლოგიურათ მას არ დაშორებია. მომავალ უფრო ხელსაყრელ მომენტისათვის, ქართული ემიგრაცია შეკვეთული და გაზრდილი ახალი ძალებით, უფრო ღირსეულად დაიცავს თავის ეროვნულ უფლებებს და პოზიციებს.

***

სამწუხაროდ ჩვენი პოლიტიკური წრეები, ყოფილი მთავრობისა თუ კვალიფიციური პოლიტიკური მოღვაწეები, ეტყობა ჯერ კიდევ ვერ განტვირთულან ემიგრანტული ფსიხოზისაგან და მიუხედავათ იმისა, რომ უკვე ყურთ მოისმის ზარბაზნების გრიალი და ჰაერი ასაფეთქებლათ დანალმულია, ისენი კვლავ ჩაკეტილან თავის ვიწრო იდეოლოგიურ ნაჭუჭებში და უნაყოფოდ სხვის ქირდვაში ხარჯავენ ენერგიას.

გარემოება იმპერატიულად გვიბრძანებს ქართული ემიგრაციის გაერთიანებას, ერთი ეროვნული ხელმძღვანელობის ყოლას და ერთი დროშის ქვეშ დარაზმას. ეს დროშა არ შეიძლება იყოს „თვით-გამორკვევის“ და „პლებისციტის“, **არამედ ეროვნულ უზენაესობის, 26 მაისის სამფერი დროშა.**

ომის შემდეგი დროის ყოველი ცდები, რომ ქართული ემიგრაცია გაერთიანებულიყო, რომ იგი ამაღლებულიყო სამშობლოს ინტერესების გაგებამდე და ერთი პასუხისმგებელი ხელმძღვანელობა შეექმნა, უშედეგოდ დასრულდა—და პარიზის საზოგადოების ერთი ნაწილი, ქართული ემიგრაციის მემარცხენე ფრთის ჯიუტობამ აიძულა ცალკე დარაზმულიყო. მემარცხენე ფრთამ ამას „ყრილობით“ უპასუხა.

მათი საინიციატივო ჯგუფის პირველი მიმართვა გვაფიქრებინებდა, რომ წამოწყება უფრო სერიოზული იქნებოდა. მაგრამ მისმა შემდეგმა განვითარებამ ეს ეკანასკნელი იმედებიც გააქრო.

„ეროვნულმა საბჭომ“, არავითარი ანგარიშში არ გაუწია ფართო ემიგრანტულ წრეების აზრს; პარიზის ემიგრაციის ერთმა ნაწილმა მთელი ემიგრაციის ხელმძღვანელად გამოაცხადა თავი და ნაჩქარევათ ვისბადენში დელეგატები გაგზავნა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შთაბეჭდილება დარჩა, თითქოს ყოველივე ეს „კონფერენცია და საბჭო“, ხხოლოდ იმიტომ მოხდა, რომ ვისბადენში მათი დელეგატებიც ყოფილიყვნენ. ამისთანა რთული და მეტად საპასუხისმგებლო გადაწყვეტილებისათვის საჭირო იყო, არა მარტო პარიზის კოლონიის ერთი ნაწილის, არამედ მთელი ქართული ემიგრაციის დაკითხვა.

ჩვენის ღრმა რწმენით, როგორიც არა უნდა ყოფილიყო ვისბადენის შედეგები, ქართული დელეგაციის იქ, იმ პირობებში გამოჩენა ნიშნავდა ქართული საკითხის საერთაშორისო ასპარეზიდან მოხსნას და მის რუსულ პოლიტიკის სფეროში გადატანას. ვისბადენში ბრძოლა და „ქართული“ დელეგაციის „მიწვევა“, რომ ექვს კაციან კომისიაში სამი „ნაროდნოსტებს“ დაეთმოს, არის ქართული საკითხის უდიდესი მარცხი. მეორე გარემოება, რომ სამოც კაციან აღმასრულებელ კომიტეტში 20 რუსი უნდა ყოფილიყო, 20 ე. წ. ეროვნებები და 20 სპეციალისტი, ნიშნავს სრულს რუსულ გეგემონიას. „მებრძოლი საქართველო“-ს 1-ლ ნომერში ბატონი ნ. ჟ. ბრძანებს: „ქართველთა მებრძოლი ნაწილი იღებდა მონაწილეობას რუსებთან ერთად საერთო ბრძოლაში მეფეთა რეჟიმის წინააღმდეგ“ და ასკვნის „ამიტომ ეხლა დაეკითხეთ იმაზე, მივიღოთ თუ არა მონაწილეობა რუსებთან ერთად საბჭოთა ტირანიის მოსპობაში — სრულიად ეადგილო და ზედმეტია. რასაკვირველია უნდა მივიღოთ“. ხოლო უფრო ქვექით იგივე ავტორი იტყველებს: „ვისბადენის რუს და არა რუს დელეგატების თათბირზე აღმოჩნდა ერთი საერთო ხაზი: აღიარება ერთა თვით-გამორკვევის უფლებისა. ამ საერთო დებულებიდან გამონაკლისი გაკეთეს ხუთი რუსული ორგანიზაციის წარმომადგენლებმა ხხოლოდ ერთი: მათ იცნეს საქართველოს დამოუკიდებლობა და მიემხრნენ მის ავტომატიურად აღდგენას საბჭოთა მმართველობის დაცემისთანავე“. თუ ბატონი ნ. ჟ. პირველ ნოსაზრევებს გავყვებით უნდა ვიფიქროთ, რომ 1917 წლის აქეთ ნომხდარი მოვლენები და მათში თვით საქართველოს დამოუკიდებლობის აკტი, ფაქტი და ამაოება ყოფილა. მისი მეორე მოსაზრება შეიძლება საინტერესოა, რომ მართალი იყოს. სამწუხაროდ, მიუხედავად ჩვენი დიდი სურვილისა, ვერც ერთ რუსული ორგანიზაციის პრესაში მზგავსი რამ ვერ ვიხილეთ. პირიქით და ამის საწინააღმდეგო კი ყველგან დაიბეჭდა და ძალიან ბევრიც. ბატონი ნ. ჟ.ის ამ მტკიცებით მოყვარის შეცდომაში შეყვანა შეიძლება, მაგრამ არასოდეს მტრის დამარცხება.

ბატონი ევ. გეგეჭკორი ცდილობს გაარჩიოს მდგომარეობა და ეძებს ქართული ე მ ი გ რ ა ც ი ი ს გაერთიანების გზებს. მწუხარებით უნდა აღვნიშნო, რომ ვისბადენთან დაკავშირებით გამოთქმულ პოზიციაზე ემიგრაციის გამრთელება ძნელი წარმოსადგენია. ბატონი ევ. გეგეჭკორი ბრძანებს: „რომ რუსული ემიგრაცია პოლიტიკურია და ჩვენი ეროვნული — ეს ჩვენთვის ხადა ორც ყოფილა და ორც არის. მაგრამ აქედან დასკვნის გაკეთება, რომ ჩვენი გზები არ ხიდებიან ერთმანეთს, არამც თუ სწორი არაა — მეტად მავნე ფორმულაცაა. არაა სწორი ვინაიდან რუსი პოლიტიკურ თავისუფლებას ვერ მი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ილებს, თუ ბოლშევიკური რეჟიმი არ დაეცა, საქართველოს განთავისუფლებისათვისაც ამ რეჟიმის დაცემა აუცილებელი პირობაა“. ამას რომ სწერს ბატონ ევ. გეგეჭკორის ავიწყდება, რომ თუ ბოლშევიზმის დაცემამდე ჩვენ რუსული ემიგრაციის ნაწილი გავხდით, როგორც ეს ვისბადენში განიზრახეს და მას შემდეგაც მთელი რუსული პრესა ამტკიცებს — ეს ჩვენი საკითხის რუსულ საკითხად ქცევა იქნება, რომლითაც მიზანთან საბოლოოდ დაშორება შეიძლება და არა მისი მიღწევა.

ჩვენ არ გვინდა ვიცოდეთ ეს არის წინდაწინ მოფიქრებული თუ გაუთვალისწინებელი შეცდომა. ჩვენი სურვილია პარიზის ორივე პოლიტიკური ძალის და მთელი ქართული საზოგადოების გაერთიანება. ჯერ შიგნით ქართველი ძალების დარაზმვა, ერთი კომპეტენტური ხელმძღვანელობის შექმნა. შემდეგ კავკასიურ, უკრაინული კავშირის აღდგენა და ყველა დაპყრობილ ერებთან თანამშრომლობა, ანტიბოლშევიკური თავისუფალ დემოკრატიის რიგებში ჩასადგომათ და იქ ღირსეული ადგილის დასაჭერად. თუ ამ ხნის განმავლობაში რუსული ემიგრაცია მოახერხებს თავისი თავის ორგანიზაციას, თუ იგი განიტვირთება იმ პირველყოფილი აზრისაგან, რომ რუსეთი არის „ვედუშჩაია ნაცია“ და აქედან გამომდინარე პრივილეგიებზე უარს იტყვის, თუ იგი მთლიანად, საჯაროდ აღიარებს ყოველ ერთა სუვერენობას და არა პლატონიურ „თვითგამორკვევას“ და მოისურვებს ანტიბოლშევიკურ ფრონტში ჩადგომას, რომელიც ბოლშევიზმისაგან დაზარალებული ერი, ამ შემთხვევაში, დაპყრობილ ერთა საერთო ხელმძღვანელობას ექნება კომპეტენცია, გონიერად გადასჭრას ეს საკითხი. წინააღმდეგ შემთხვევაში, თუ რუსებმა თავისი მადა არ გამიჯნეს და თავის „ვედუშჩაია ნაცია“-ობაზე ხელი არ აიღეს, დაპყრობილ ერთა ხელმძღვანელობას ექნება შესაძლებლობა, შეერთებული შტატების და დასავლეთის დემოკრატიას მოაგონოს, რომ საბჭოთა კავშირის ორასი მილიონიანი მოსახლეობიდან მხოლოდ ოთხმოცია ველიკო როსი.

**ტოროლა.**

ნიუ - იორკი.

---

## ეროვნულ - დემოკრატიული პარტიის იდეური გადახალისებისათვის

ილია ჭავჭავაძის მეთაურობით ასპარეზზე გამოსული მესამოცე-მეოთხმოციანთა წლების ეროვნულ მოღვაწეთა საერთო იდეები და აზრები გახდა მომავალი ეროვნულ - დემოკრატიული მიმართულების მთავარი იდეური საფუძველი და დაუშრეტელი წყარო.

ეს იდეები და აზრები იშლებოდა - ვითარდებოდა მიმდევნო ათეული წლების განმავლობაში ქართულ ჟურნალ-გაზეთებში: „ივერია“, „კლდე“, „საქართველო“, „სამშობლო“-ში, რომელთა ირგვლივ იმავე

ეროვნულ მიმართულების მოღვაწენი და მოაზროვნენი იკრიბებოდნენ. ამ გამოცემებში ისახებოდა, მუშავდებოდა და გარკვეულ პასუხი ეძლეოდა ქართულ ცხოვრების ყოველ საკითხს: ნაციონალურს, სოციალურს, პოლიტიკურს, ეკონომიურ—სამეურნეო-სამრეწველო და ფინანსიურს, სარწმუნეობრივსა და კულტურულს. ამ გამომცემებში თანამშრომლებთა დიდი უმრავლესობა სათავეში უდგნენ ქართულ ცხოვრების სამეურნეო-საფინანსო, კულტურულ თუ სარწმუნოებრივ დარგებს. ამით აიხსნება, რომ მათი მიდგომა საკითხებისადმი იყო რეალური - პრაქტიკული და საღი ყოველგვარი დოქტრინაობისაგან თავისუფალი.

1917 წლის რუსეთის რევოლიუციის დასაწყისში ხდება ამ ეროვნულად მოაზროვნე-მომქმედი წრეების დაახლოვება-შემჭიდროება— ათეული წლების განმავლობაში გამომუშავებულ ეროვნულ-პოლიტიკურ ასპარეზზედ.

ხთება დღემდე საერთოთ ნაქადაგები იდეებისა და აზრების სისტემატიური დალაგება-დაწყობა; მუშავდება და იქმნება სამოქმედო პროგრამა. არსდება და ოფიციალურათ ეროვნულ-პოლიტიკურ ასპარეზზედ გამოდის გარკვეულ - ჩამოყალიბებულ პროგრამით საქართველოს ეროვნულ - დემოკრატიული პარტია.

ძველი და ახალი თაობის საუკეთესო წარჩინებული წარმომადგენლებისაგან შერჩევით შექმნილი პარტიის ხელმძღვანელობა ზედმიწევნით იცნობს ქართველი ერის ხანგრძლივს წარსულს, აწმყოს, მის ნაციონალურს მისწრაფებებს; მსოფლიოს თანამედროვე პოლიტიკურ - ეკონომიურ ვითარებას, მის მორალსა და მატერიალურ საფუძვლებსა და სტრუქტურას, თანამედროვე ეპოქის პოლიტიკურ - სულიერ მისწრაფებებს. ეს უადვილებს მათ ახლად დაარსებულ პარტიისათვის საღი და რეალური პროგრამის, და სამოქმედო ასპარეზის გამომუშავებას, მოხაზვას.

„ჩვენი თავი ჩვენვე უნდა გვეყუდნოდეს“-ო. ამ მარტივი სიტყვებით მოკლეთ და ყველასათვის გასაგებათ გამოხატა ილიამ ის დიდი და დინამიური იდეა, დაპყრობილ ქართველ ერსა და მის ბედში მყოფ მცირე ერებს, რომ ასულდგმულებდა - აწოძრავებდა და მეცხრამეტე საუკუნის პოლიტიკურ მოძრაობას გარკვეულ მიმართულებას აძლევდა, ვით დედამიწის უფსკრულში დამწყვდეული ულკანი მსოფლიოს აზანზარებდა და გამოსავალს ეძებდა. ეს ეროვნული თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის იდეა იყო, რომლის ირგვლივ თანდათანობით შემოიკრიბა ქართული პატრიოტული ძალები. ეს იდეა დაედო მთავარ ფუძეთ ახლათ დაარსებულ ეროვნულ - დემოკრატიულ პარტიას, ეს იყო მისი სული და მამოძრავებელი.

ქართველი ერის სრული თავისუფლება - დამოუკიდებლობა, და მისი ისტორიულ საზღვრებში კვლავ ჩაყენება, ქართული სახელმწიფოს კვლავ აღდგენა. მისი დაფუძნება და აღშენება თანამედროვე პოლიტიკური და ეკონომიური ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს საფუძვლებზედ. აქედანვე ვანისაზღვრება ეროვ.-დემოკრატიული პარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტიის იდეური მიმართულების ხაზი, როგორც კონსერვატორული და იმავე დროს პროგრესიული. აღდგენა - შენახვა ყოველივესი, რაც ქართველი ერის შინა-ბუნებას ხანგრძლივი ისტორიის მანძილზედ შეეფისებია და მისი ცხოვრების თანდათანობითი გარდაქმნა თანამედროვე პროგრესის გზით.

117 წლის უცხოთა ბატონობისაგან, მსოფლიო და რევოლიუციონური მოვლენების წყალობით საქართველო განთავისუფლდა და ტომმობრივათ სრულიად გაერთიანებული აღმოჩნდა. საჭირო იყო ამ ერთობის განმტკიცება. ტომებისა და პროვინციების ურთი-ერთ შედუღება, მონოლიტური ერისა და ქვეყნის მეჭმნა და შენარჩუნება. ამ მიზანს ემსახურებოდა ეროვ.-დემოკრ. პარტიის პროგრამის ის ნაწილი, რომელიც ქართული სახელმწიფოს მმართველობასა და შინაურ წყობას შეეხებოდა.

საქართველო ჯერ არც ისე შორს იყო დრომოჭმული ფეოდალური წყობილებისაგან. წოდებრივი უთანასწორობის ნაშთები, თუმცა სუსტად, მაინც არსებობდა. საქართველო ჯერ კიდევ აგრარული ქვეყანა იყო; ახლათ შემოსულ კაპიტალისტურ წარმოებას ჯერ კიდევ ვერ მოესწრო ქართველი ხალხის ურთი-ერთისადმი დაპირისპირებულ კლასებათ დანაწილება და მათი ერთი - მეორისადმი მატერიალური ინტერესების მიხედვით დაპირისპირება. მატერიალისტური ფილოსოფიით და ფსიქოლოგიით ჯერ კიდევ საკმაოთ არ იყო მოწამლული ქართველი ხალხის სულიერი ერთობა. საჭირო იყო ამ მოსალოდნელი ეროვნული ცხოვრების მომაკვდინებულ ავადმყოფობის თავიდან აცილება. ეროვ.-დემოკ. პარტიამ სულის პრიმატი აღიარა. მატერიალურ ფილოსოფიას იდეალისტური ფილოსოფია დაუპირისპირა. საერთო ეროვნული ინტერესი აღიარა და გაიხადა შუქურვარსკვლავად. წოდებათა და კლასთა უფლებრივი თანასწორობა აღიარა და საერთო ეროვნულ უზენაესი ინტერესების პრიმატის ქვეშ, მათი სოლიდარულ თანამშრომლობის პრინციპი წამოაყენა. ამით განისაზღვრა პარტიის სახელმწიფოებრივობა, ეროვნულობა და ზეკლასიურობა. მისი პროგრამა არ უპასუხებდა არცერთი წოდებისა და კლასის განკერძოებულ - ეგოისტურ ინტერესებს, არამედ საერთო უზენაეს ეროვნულ ინტერესებს.

სუვერენული საქართველოს მმართველობის ფორმათ დემოკრატიულ - რესპუბლიკანური წყობილება იქმნა მიჩნეული. სამეფო ტახტის აღდგენის სულისკვეთება მეტად სუსტი იყო საუკუნის მანძილზე უცხო ბატონობის ქვეშ მყოფ ერში, და ეს კიდევ არ ეგუებოდა ჩვენი ქვეყნისა და კავკასიის პ ო ლ ი ტ ი კ ურ - ს ო ც ი ა ლ ურ მ დგ ო მ ა ო ბ ა ს და არც გარემოცულ მსოფლიოში შექმნილ პოლიტიკურს ვითარებას. ფარითოთ გაშლილი თავისუფლების დიადი დროშის ქვეშ დემოკრატიულ და რესპუბლიკანური იდეები ძლიერდებოდნენ და ხორცს-ისხამდნენ. საქართველო, როგორც მსოფლიოს ცოცხალი ნაწილი ვერ აცდებოდა ამ საერთო მიმდინარეობას. ეროვნული და პიროვნული თავისუფლებანი განუყრელნი არიან; ვერცერთი მათთგანი მარტოდ ვერ ხარობს. ეროვ.-დემოკრ. პარტიის პროგრამა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეტათ მნიშვნელოვან ადგილს უთმობს თავისუფლების იდეებს, საერთო ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ინტერესებისადმი დაქვემდებარებით. კანონიერი ფარგლებში ჩაყენებული პიროვნების თავისუფლება, ნიჩნეულია უდიდეს მორალურ ღირებულებათ. ადამიანი რწმენის, აზროვნების, სიტყვისა და საქმიანობის თავისუფლებით აღჭურვილი, სრულმყოფი და სამოქმედო ასპარეზ გახსნილი, მიჩნეულია და აღიარებული ეროვნული სახელმწიფოს ცოცხალდასაყრდენათ, მის წემომქმედათ და აღმშენებლათ. პიროვნება სახელმწიფოსათვის, სახელმწიფო პიროვნებისათვის, როგორც მისი მფარველი და კეთილიცხოვრების მომწყობი. ადამიანისათვის ასეთი როლის მიკუთვნება ბუნებრივად გამომდინარეობდა ქართული ისტორიული წარსულის სულიერ-თავისუფალი ატმოსფეროდან და შეეფერებოდა ქართველი კაცის ბუნებას, ღირსებას და მსოფლიოში ფრთა გაშლილ თავისუფლების იდეებს.

ადამიანის პიროვნებას ზრდის და სრულყოფს მისი ბუნებრივი შემოქმედების თუ ფიზიკური შრომის ნაყოფის კუთვნილება. მისი სულიერი თავისუფლების სრულყოფისა და უზრუნველყოფისათვის საუკეთესელი საჭიროა მისი მატერიალური ქონების მის კერძო ქონებათ აღიარება. საქართველო ისტორიულად ანასოდეს ყოფილა განსაზოგადოებული ქონების ქვეყანა. მისი ეკონომიური ცხოვრება უხსოვარ დროიდან, კერძოსაკუთრების პრინციპზე შენდებოდა. ეს ორი სხვა და სხვა კათეგორიის მდგომარეობა კარგად ესმოდათ და შეგნებული ჰქონდა ეროვ.-დემოკრ. პარტიის მეთაურობას. ამიტომ იყო რომ სახელმწიფოს აღმშენებლობას ადამიანის კერძო თავისნობასთან ერთად, კერძო საკუთრების პრინციპი დაუდვეს საფუძვლად. კერძო საკუთრება— ადამიანის შრომისა და მომჭირნეობა-დაზოგვის ნაყოფი—ხელშეუხებლად იქნა მიჩნეული და აღიარებული..

იმ დროინდელი საქართველო, სასოფლო-მეურნეობისა და მიწის მუშათა ქვეყანას წარმოადგენდა. დროგადასული ფეოდალური წყობილების მიერ დატოვებული უარყოფითი ხასიათის ნაშთები კიდევ შერჩენოდა ჩვენი ქვეყნის ცხოვრებას მიწათა-მფლობელობის სურათი აღარ უდგებოდა ჩვენი ხალხის იმდროინდელი რეალური სინამდვილეს, აღარ უპასუხებდა მის სასიცოცხლო ინტერესებს და აღარ შეეფერებოდა იმდროინდელ სოციალურ სამართლიანობას. წინასაუკუნეში ფეოდალური წყობილების დარღვევის დროს უმიწა-წყლოდ განთავისუფლებული მშრომელი გლეხობის ხელთ არ იყო, საკუთრების სახით, მისი ოჯახის გამოსაკვებად საჭირო მიწების რაოდენობა. გლეხობის დიდი უმრავლესობა იჯარით დაქირავებულ თუ ღალით აღებული მიწებს ამუშავებდა. ასეთსავე მდგომარეობაში იყო თვით თავად-აზნაურთა დიდი ნაწილი, რომელსაც უკვე აღარ გააჩნდა საკმაო მიწა-საკუთრებათ. ამათ თავიანთი მიწები დროთა განმავლობაში დაჰყიდეს ან დააგირავეს და სოფლის ცხოვრებას შერჩნენ თოხითა და კაკ-სახნისით ხელში. დასამუშავებელ მიწათა ერთი ნაწილი, ისევ, როგორც ტყე და მინდვრები ჯერ კიდევ მსხვილ მემამულეთა ხელში იმყოფებოდა, მათ კერძო საკუთრებათ მიჩნეული და დაკანონებული. ამ მიწების

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთი მნიშვნელოვანი ნაწილი, ჩვენდა საბედნიეროთ უცხოელებზედ გაყიდვისაგან გადარჩენილი და ეროვნულ ქონებათ დაცული, ქართულ საადგილ - მამულო ბანკების განკარგულებაში იმყოფებოდა, ყოფილ მემამულეთა მიერ დაგირავებული.

ასეთი იყო იმდროინდელი საქართველოს მიწათ-მფლობელობის მდგომარეობა. საჭირო იყო რადიკალური, იმავე დროის გონიერი და ზომიერი რეფორმების მოხთენა, სამართლიანობის დაცვით, დაინტერესებულ მხარეთა სასიცოცხლო ინტერესთა დაუზიანებლათ;ახლად აღდგენილი ეროვნული სახელმწიფოს საერთო სარგებლიანობისა და ინტერესის დაცვით, და ქართული წარსული და მომავალი ცხოვრების ერთ - ერთი დასაყრდენი — კერძო საკუთრების პრინციპის შეუბღალავათ. ამ მოსაზრებათაგან ბუნებრივად გამოდიოდა ეროვ.-დემოკრ. პარტიის პროგრამის ის მუხლები, გლეხობისა და სოფლის უმიწა-წყლო მუშათა მიერ, მემამულეთა და საადგილ-მამულო ბანკების ხელში მყოფ მიწების მინიმალური საფასურით, ვერძელვადიანი გამოსყიდვის წესებს რომ შეეხებოდა. ამ წესით შეიძლებოდა თავიდან აცილება, ცხოვრების ახალპირობებთან ჯერ კიდევ მეტგუებელი ქართული საზოგადოების ერთი წრის გაბოგანება - გაპროლეტარება და ამავე დროს კერძო საკუთრების გაუბზარავ პრინციპზედ ეროვნული სახელმწიფოს მეურნეობისა და ეკონომიკის დამყარება.

ეროვ.-დემოკრ. პარტიის პროგრამამ თავიდანვე უარჰყო „ლატიფუნდიები“ - მსხვილი მამულები. საქართველო სოფლის წვრილ - მეკუთრეთა ქვეყანად აღიარა. ოღონდ მიუღებლათ მიაჩნდა გლეხის მამულის 7-დესიატინით შემოფარგვლა და განსაზღვრა, რაც ეწინააღმდეგებოდა საქმეურნეო ცხოვრების ბუნებასა და ხასიათს, საზღვარს უდებდა ადამიანის თავისუფალ შემოქმედებას და მის წინსვლასა და ზრდას მეურნეობის დარგში. დიდი მამულები და ფერმები დასაშვებლად და საჭიროთ მიაჩნდა მეურნეობის ისეთი დარგისა და კულტურისათვის, რომელნიც დიდი სივრცითა და ზომით წარმოებას მოითხოვენ უკეთესი წყობილების მიზნით და იმავე დროს ეროვნულ და სახელმწიფოებრივ ინტერესს წარმოადგენენ.

თუ მხედველობაში არ მივიღებთ შავი ქვისა და ქვანახშირის წარმოებას, იმდროინდელი ჩვენი ქვეყნის ვაჭრობა - მრეწველობა მეტად ჩამორჩენილი და უმნიშვნელო რამეს წარმოადგენდა. თუ ძველი საქართველო გასული იყო ოსმალეთ - სპარსეთ - ინდოეთ - ჩინეთისა და ევროპის სავაჭრო ბაზრებზე და საამისო საექსპორტო საქონელს ამზადებდა, რუსეთის მიერ ერთი საუკუნით საზღვრებ-ჩაკეტილი და მის საერთო ეკონომიურ სფეროში მომწყვდეული საქართველო მეტად დაცემული და დასუსტებული ვაჭრობა - მრეწველობით ვამოვიდა რუსეთის ბატონობისაგან. საჭირო იყო ეროვნულ ცხოვრების სხვა დარგებთან ერთად ამ სფეროს აღდგენა - განვითარება.

კერძო საკუთრების პრინციპს, თავისუფალი პიროვნების კერძო ინიციატივასა და თაოსნობას, ქართული ცხოვრების ამ დარგშიდაც უპირველესი და მთავარი როლი მიაკუთვნა ეროვ.-დემოკრ. პარტიის

პროგრამამ. კერძო წარმოება და კერძო თავისუფალი ვაჭრობა, თავისუფალ კონკურენციის დაშვებით, სახელმწიფოს კანონმდებლობით ფარგლებში ჩაყენებული, იქმნა მიჩნეული ეროვნული ვაჭრობა-მრეწველობის აღორძინებისა და განვითარების საშუალებათ. იმ დროინდელი მსოფლიოს მოწინავე და მათი მიმდევნი ქვეყნების ვაჭრობა-მრეწველობის ეკონომიკისა და ფინანსიური წყობა კაპიტალისტური იყო და ლიბერალური. ცნობილი ფორმულა — «laisser passer—laisser faire» იმ ხანებში მეტად დროული იყო, ეკონომიური ცხოვრებისათვის ძლიერი და გარკვეული ლიბერალური ტონის მიმცემი. საქართველოს ეროვ.-დემოკრატიული პარტიის პროგრამის ის ნუხლები, რომელნიც ვაჭრობა - მრეწველობას შეეხებოდა, ქართული ცხოვრების სინამდვილიდან გამოდიოდა.

იმავე დროს კაპიტალისტურ მსოფლიოში ფეხმოდგმულ მეცნიერულ - ეკონომიური იდეების გავლენასაც გამოხატავდა, და აღდგენილი ეროვნული სახელმწიფოს ეკონომიური ცხოვრების კაპიტალისტური სისტემის დაცდილ საფუძვლებზედ დამყარებას ისახავდა მიზნათ. საჭიროდ მიაჩნდა ხელახლად ფეხზედ წამოდგარი და ჯერ კიდევ მეტად სუსტი ეროვნული ვაჭრობა - მრეწველობის უცხო კონკურენციისაგან მფარველობა - დაცვა. ასეთი გარკვეული რეალური პროგრამით ხელმძღვანელობდნენ ამ პარტიის თვალსაჩინო მეთაურები, რომელნიც ჩვენი ქვეყნის თითქმის ყველა სამეურნეო, სავაჭრო-სამრეწველო თუ ფინანსიურ დაწესებულებებს მეთაურობდნენ.

შრომისა და მუშახელის საკითხს ფრიად მნიშვნელოვანი აგდილი უჭირავს საზელმწიფო - კანონმდებლობის ფარგლებში. ყოველ სახელმწიფოში სათანადოთ მოწესრიგებული არ არის ეს საკითხი, რაიც იწვევს მუშათა ხშირ მოძრაობებს, მათი კლასიური ინტერესების დასაცავად, რომელთა შედეგები ხშირათ აზიანებს სახელმწიფოს სამეურნეო - ეკონომიურ ცხოვრებას. ფიზიკური შრომა, სხვა ელემენტებთან ერთად, მთავარი შემქმნელია ყოველივე მატერიალური ღირებულების. ყოველი ერის დიდზე-დიდ უმრავლესობას მშრომელთა და მუშათა წრეები წარმოადგენენ. სახელმწიფოს მოვალეობაა — საერთო ეროვნული ინტერესებისა და თვით მშრომელთა კლასის საარსებო ინტერესების დაცვითა და უზრუნველყოფით შრომის საკითხის კანონმდებლობით მოწესრიგება თანამედროვე სოციალური სამართლიანობის მიხედვით.

მუშათა და შრომის საკითხი არ წარმოადგენს მხოლოთ სოციალისტური პარტიების მონოპოლიას, როგორც ეს ზოგიერთსა ჰგონია. ის არის ზრუნვის საგანი ყოველი პროგრესიული პოლიტიკური პარტიის, რომელსაც ნათლად აქვს შეგნებული ერის სახელმწიფოებრივი რეალური ინტერესები. სრულიად ბუნებრივია, რომ ეროვ.-დემოკრატიულ პარტიას, როგორც სახელმწიფოებრივს, პროგრესიულსა და ზეკლასიურს, სათანადო ყურადღება მიექცია შრომის საკითხისათვის და მის მიერ წარმოდგენილ ეროვნულ - კონსტრუქტიული ხასიათის პროგრამაშიც სათანადო ადგილი დაეთმო. „რვა საათის სამუშაო დღე“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მშრომელ მცირე - წლოვანთა მფარველობა, შრომის ბირჟების დაფუძნება მუშებისათვის, მუშის სოციალური დაზღვევა, მათთვის პროფესიონალური კავშირების საჭიროებისა და პროფესიონალური ინტერესების დასაცავათ გაფიცვის უფლების ცნობა და აღიარება, და ყველა ამ ზომების განაღდება საერთო ეროვნულ-სახელმწიფოებრივ უზენაეს ინტერესების დაქვემდებარებით. ამაზედ შორს იმ ხანაში არსებული არც - ერთი სოციალისტური პარტიის პროგრამა არ მიდიოდა. იმ პარტიისაც კი, რომელიც ფაქტიურათ სახელმწიფოს ხელმძღვანელობდა, და საკუთარ დროშაზე „მუშათა პარტია“ იწერა. ახლად აღდგენილი ქართული სახელმწიფო სულიერი და მატერიალური აღმშენებლობისა და აღორძინების გზაზედ შესდგა. მისი საკუთარი ფინანსიური რესურსებით ის შორს ვერ წავიდოდა, საჭირო იყო უცხო კაპიტალისათვის მიმართვა. ეს მდგომარეობაც ავალდებულებდა ეროვ.-დემოკ. პარტიის მეთაურებს კაპიტალისა და შრომის შორის დასმულ საკითხებს მეტის სიფრთხილით მოპყრობოდნენ, კაპიტალისა და შრომის თანამშრომლობის პრინციპი წამოეყენებინათ დაეროვნული აღორძინებისათვის ერთ - ერთ საფუძვლათ დაედოთ.

---

ასეთი შინაარსისა და ხასიათის იყო ეროვნულ - დემოკრატიული პარტიის პირველი პროგრამა მომავალი საქართველოსათვის შესაფერი და რეალური. მის შემდეგ რამოდენიმე ათეული წლები გავიდა. ამ ხნის განმავლობაში მეცნიერებისა და ტეხნიკის სწრაფმა წინსვლამ, მსოფლიოში მოხდარმა პოლიტიკური და სოციალური ხასიათის დიდმა მოვლენებმა, მნიშვნელოვანათ გარდაქმნა ქვეყნიერების საერთო სახეობა. მსოფლიოს დაეტყო დიდი წინსვლა და პროგრესი სწრაფათ მავალმა ცხოვრებამ ძველ პროგრამებს გადააბიჯა და გაუსწრო.

საქართველოს ეროვნულ - სახელმწიფოებრივი დამოუკიდებელი ცხოვრებაც რომ გაგრძელებულიყო და ეროვ.-დემოკრ. პარტიას დაცლოდა მისი პროგრამის მიხედვით კონსტრუქტიური მუშაობა, ამ შემთხვევაშიდაც მოუხდებოდა მისი პირველი პროგრამის წინმსვლელი რეალური ცხოვრების კარნახით ხშირი გაკრდაქმნა - გადახალისება, როგორც ამას ადგილი ქონდა სხვა ერთა და სახელმწიფოთა რეალურ პოლიტიკის პარტიებში.

1921 წლიდან რუსული ისტორიული იმპერიალიზმის სამხედრო ძალით კვლავ შესწყდა ქართული სახელმწიფოს თავისუფალი არსებობა. 30 წელიწადია რუსული ბოლშევიზმი სისტემატიურათ და დაუზოგავად ანადგურებს იმ სულიერსა და მატერიალურს ისტორიულ საფუძვლებს, რომლებზედაც ეყრდნობოდა ქართველი ერის სახელმწიფოებრივი შენობა: ბუნებრივ საზღვრებ შენგრეულნ და შემცირებული ჩვენი ისტორიული ეროვნული ტერიტორია, რუსეთიდან და სხვა მისი მორჩილი ქვეყნებიდან სისტემატიური ჩვენში გადმოსახლებით შეერეულია ჩვენი ეროვნული ნაირახლეობა. საქართველო დანაწილებულია ხელოვნურად შექმნილ ავტონომიურ რესპუბლიკებად. საძირკველ წაქცეულია და განადგურებული ქართული ეკლესია; ჩვენი ერის

ს:ულიერი სიდიადის შემქმნელი. ფუძე მოშლილია და დანგრეული ქართული ოჯახი - კერა, ჩვენი ეროვნული ცხოვრების პირველი ქვაკუთხედი. ფეხ-ქვეშ აგდია ღირსება აყრილი და უფლებიდან გაძარცული ქართველი ადამიანის პიროვნება, მონათ და საწარმოო იარაღათ ქცეული. დათრგუნვილია პიროვნების თავისუფლება - თაოსნობა.

უარყოფილია და მოშლილი კ ე რ ძ ო საკუთრება სოფლათ და ქალაქათ. ეს მთავარი ისტორიული საფუძველი ჩვენი ეროვნული სამეურნეო და ეკონომიური ცხოვრების. შებღალულია და წაქცეული ქართველი ადამიანის ზნეობა და მორალი.

ისტორიულად შექმნილი და ჩამოყალიბებული საერთო ეროვნული ცხოვრება გადატრიალებულია და ყირაზედა სდგას.

ეროვ.-დემოკრ. პარტიის მიმართულებისა და პროგრამის მთავარი იდეები და პრინციპები ისევე საღია და დაუზიანებლათ გადარჩა ამ 30 წლის მსოფლიო ქარტეხილებს. ოღონდ უნდა ვაღიაროთ, რომ მისი პროგრამა მთლიანად ვეღარ უპასუხებს დღევანდელ და მომავალი განთავისუფლებულ საქართველოს საჭიროებას. ვეღარ იძლევა განთავისუფლებული საქართველოსთვის რეალურსა და კონსტრუქტიულ ელემენტებს, სახელმწიფოებრივი წყობისა და ცხოვრების კვლავ ქართულ ისტორიულ საფუძვლებზედ და კალაპოტში აღსადგენათ, ჩასაყენებლათ.

უცხოეთში მყოფ ჩვენი პარტიის ხელმძღვანელობა წინ სდგას გადაუდებელი საკითხი, პარტიის საპროგრამო საკითხების გადამუშავება - გადახალისების, მომავალი განთავისუფლებული და სახელმწიფოებრიობა აღდგენილი საქართველოსათვის რეალური, საღი და კონსტრუქტიული პროგრამის პროექტის შედგენის. ამისათვის, უპირველესყოვლისა, საჭიროა თანამედროვე საქართველოს ცხოვრების სრული და დაწვრილებითი გაცნობა, საერთო სურათის მოცემა. აქ დღეიდან „ივერიის“-ის რედაქცია მზათ არის მისი ორგანოს ფურცლებზედ ან დამატებითი გამოცემებში, ფართო ადგილი დაუთმოს, ამ მიმართულებით დაწერილ წერილებსა და მოხსენებებს, წინასწარი მასალის თუ საპროგრამო ხასიათის სახით, სადისკუსიოთ. ამ მიზნისათვის სამწერლო ასპარეზი თავისუფალია პარტიის წევრისა, თანამოაზრისა, და ყოველი ქართველისათვის, რომლის მსოფლმხედველობა, ეროვნული იდეის ნიშნის ქვეშ, ენათესავება ეროვ.-დემოკრატიული პარტიისა და მიმართულების მთავარ იდეურ წყაროსა და პრინციპებს.

პარიზი.

1952 წ. 18 ოქტომბერი.

ელ. პატარიძე.

---

## დემოკრატიული რეჟიმისათვის

ქართველი ერი იბრძვის ეროვნული თავისუფლების და დამოუკიდებელი სახელმწიფოს აღდგენისათვის. ის ამავე დროს იბრძვის არა მარტო დაპყრობილ რუსეთის ბოლშევიზმის წინააღმდეგ, არამედ სა-

ბეოთატოტალისტურ რეჟიმის დამხობის და დემოკრატიულ წყობილების აღდგენისათვის.

დემოკრატიული რეჟიმი კი გულისხმობს სწორედ გაგებულ პოლიტიკურ და ეკონომიურ ლიბერალიზმს, ინდივიდუალურ თავისუფლებას და სოციალურ სამართლიანობას. ამ იდეებზეა აღმოცენებული და დაფუძნებული თანამედროვე კულტურული საზოგადოება. ჩვენ მის გარეშე ვერ დავრჩებით.

მხოლოდ ჩვენი მოვალეობაა ახალი ხანის მოვლენებთან, რომელთაც ძირიანად შესცვალეს საზოგადოებრივი ცხოვრება და მისი ევოლიუციის პირობები, ზოგიერთი დასკვნები გავაკეთოდ: ახალი სოციალ-პოლიტიკური და ეკონომიური პრობლემების წინაშე, საკმარისი ალარ არის, ძველი, ტრადიციული ფორმულების ჩაბღაუჭება. დროებამ მათ წინ გაუსწრო და ის დროზმოუმულად უნდა ჩაითვალოს.

დემოკრატიის მთავარი მიზანია განავითაროს მორალური და პოლიტიკური შეგნება მთელი საზოგადოებისა და მისი ნივთიერი კეთილდღეობა საათანადო სიმაღლეზე აიყვანოს, განსაკუთრებით იმ კლასის, რომელიც ამას უფრო საჭიროებს. დემოკრატიულ ქვეყნებში ამ მხრივ ბევრი რამ გაკეთდა და დიდი მიღწევებიც არის. მართალია, ეხლა მუშათა კლასი ისე უმწეო მდგომარეობაში ალარ არის, როგორც წინათ, როცა მისი მატერიალური პირობები აუტანელი იყო და საკვებით დამოკიდებული მარტოოდენ მსხვილი მეწარმეთა კლასის ნებასურვილებზე. დღეს ეს შორეულ წარსულს ეკუთვნის და შრომა დაცულია დემოკრატიულ სახელმწიფოს სოციალური კანონმდებლობით. ამით მისი შრომის პირობები შედარებით გაუმჯობესებული და ნივთიერადაც უზრუნველყოფილია. ეს ხდება თანდათან რეფორმების გზით და არა რევოლუციონური აჩქარებით და ნახტომებით. ამასთანავე ტექნიკის უზომო წარმატებამ, მძიმე ფიზიკური მუშაობა მეტად შეამსუბუქა და მუშათა კლასის არსებობა ჰუმანიური გახადა. ასევე, მუშათა კლასმა ბრძოლით მოიპოვა უფლება თავისუფალ პროფესიონალური კავშირების ორგანიზაციისა, რომელიც მტკიცე გარანტიებს აძლევს პროფესიონალური ინტერესების დასაცავად.

ეს უპირატესობანი მუშათა კლასმა მოიპოვა უმთავრესად იმ ქვეყნებში, სადაც კაპიტალიზმი უალრესად დაწინაურებულია. კაპიტალიზმი კი, ისე როგორც მის წინათ არსებული სამეურნეო სისტემის, მუდამ შეუწყვეტელ ტრანსფორმაციას განიცდის; ჩვენ საჭიროდ მიგვაჩნია ეს გარდაქმნა მიმდინარეობდეს მშვიდობიანობის გზით, თუნდაც სახელმწიფოს მეშვეობით, და არა იძულების წესებით და უხეში ძალადატანებით.

პირიქით, ისტორია გვასწავლის, როცა ეს პერიოდი არეევ-დარეევისა, აჯანყებისა იწყება, რაც რევოლუციის სახით გვევლინება, მას თან ყვება წინააღმდეგობა, რეაქცია, სამოქალაქო ომი და დაქვეითება. კაცობრიობა, ამ ხანგრძლივ შრომით მონაპოვარ რეალურ პროგრესს, ადვილად ჰკარგავს და შემდეგ იძულებულია თავიდან წამოიწყოს და ისევ ძველ მდგომარეობას დაუბრუნდეს.

დემოკრატიას ყველაზე უფრო დიდი დაბრკოლება ელობება თვით სოციალური ცხოვრების სირთულიდან, საზოგადოებრივ სხვადასხვა ჯგუფის დაპირისპირებულ ინტერესების შეუთანხმლობით, ეგოიზმით და ხშირად მათი სიავით, რაც ადამიანის ბუნების დამახასიათებელია.

ბოლშევიზმს ეგონა ამ სირთულეს დასძლევდა კომუნისტურ პროპაგანდის სიცრუით, ან ძალმომრეობის გამოყენებით, ეკონომიურად ჩამორჩენილ და პოლიტიკურად მოუმზადებელ ქვეყნებში, ტოტალისტურ რეჟიმის დამყარებით, რომელიც ჯერო ცუდია, ვიდრე მათ მიერ დაგმობილი კაპიტალისტური რეჟიმი. მართლაც მოსპეს კერძო საკუთრებაზე აგებული საზოგადოებრივი ურთიერთობა, მაგრამ ამით მათ სრულებით არ მოუსპიათ შრომის ექსპლოატაცია, რასაც ახლა ეწევა კაპიტალისტების მაგივრად თვით სახელმწიფოს კომუნისტური ბიუროკრატია. ჩვენ ალარას ვიტყვით იძულებით შრომის შესახებ, რამაც მუშათა კლასის სოციალური და ეკონომიური მდგომარეობა უფრო დაბეჩავა,

დემოკრატიას არ სჯერა დიქტატურის სიკეთის, არც მისი სათნოების, რომელიც მათზე თავმოხვეულია ახალი პრივილეგიური კასტის — კომუნისტური პარტიის ბიუროკრატიის და პოლიციის მიერ, რომელმაც მთელი ხალხი აქცია ყოველგვარ უფლებას მოკლებულ მონებათ და მათზე ბატონობას ინარჩუნებს ძალით და ტერორით.

ცდება და ცდება ვინც ცდილობს გაამართლოს დიქტატურა იმ განზრახვით, რომ ერთ მშვენიერ დღეს, ამ ძალადობით და ხალხის გაწამებით წარმოიშვება ახალი და სამართლიანი საზოგადოება. არავის არ აქვს უფლება მომავლის საეჭვო დაპირებებით კვების ან და მსხვერპლად შესწიროს თანამედროვენი იმ იმედით, რომ ეს ბედნიერებას მოუტანს ნომავალ თაობას, მანამ კი ყველანი, უკეთესის მოლოდინში მუდამ სიღარიბესა და გაჭირვებაში ამყოფოს.

დემოკრატიის გაგებით, არც ერთი კლასი, არც ერთი ჯგუფი, მით უფრო ცალკე პიროვნება (რაც დიდი არ უნდა იყვეს, თუნდაც გენიალური) უფლება მოსილი არ არის უტოპიურ იდეების სახელით დაიმორჩილოს ვინმე და დაჩაგროს.

დემოკრატია უარყოფს კომუნისტურ საზოგადოებას, რომელიც სპობს პიროვნების თავისუფლებას, სიმდიდრე გადადის კოლექტივის ხელში, სახელმწიფო ასრულებს ეკონომიურ ფუნქციებს, სახელდახელოდ შექმნილ ბიუროკრატიის მეშვეობით, მთელი საზოგადოება მატერიალურად დამოკიდებულია ბიუროკრატიაზე და ადვილად მიყვება ყოველგვარ ტირანიას.

დემოკრატია იმყარება ხალხის სუვერენიტეტს, უმრავლესობა განაგებს უმცირესობას (ხოლო მარადვა - გამგეობის უფლება უნდა იყვეს მოვალეობის შეგნებით განზომილებული), ანგარიშს უწევს საზოგადოებრივ აზრს და აკმაყოფილებს უმცირესობის სამართლიან მოთხოვნილებას.

ნამდვილი სოციალური თანასწორობა სრულებით არ მოითხოვს პიროვნებათა უფლებრივ უბრალო გათანასწორებას, არამედ ისეთი

ეროვნული ბიბლიოთეკა

პიროვნების დამყარებას, რომელშიაც ყოველ ადამიანს, წარმოშობის და ნიჭიერ მდგომარეობის მიუხედავად შეეძლოს შექმნას სათანადო პირობები მისი გონებრივი და ფიზიკური უნარის მიხედვით. სრული სოციალური და ეკონომიური თანასწორობა „მეცნიერული ფანტაზიის“ ნაყოფია და ჩვენ ის არ გვეგულება. ანასოდეს ცხოვრების სინამდვილეს ის არ გაუმართლებია, ვერც მომავლისათვის ვხედავთ ჩვენ მის შესაძლებლობას.

ჩვენ ეხლაც ვფიქრობთ, რომ კერძო საკუთრება, რომელიც საფუძველია თანამედროვე ცივილიზაციისა, დაცულ უნდა იქნეს, რადგან ყოველი პიროვნების ძირითადი უფლება დამყარებულია მასზე და ისევე ანიჭებს მტკიცე გარანტიას ინდივიდუალური თავისუფლების შენარჩუნებისას. საუკეთეს განმავლობაში ფორმა კერძო საკუთრების იცვლებოდა, ხოლო თვით საკუთრების პრინციპი რჩებოდა მუდმივ გარდაუვალ საზოგადოებრივ კათეგორიათ.

კაპიტალიზმიც როგორც ფორმა კერძო საკუთრების ამ გზას ვერ აცდენია. მისი ევოლიუციაც აუცილებელია. მხოლოდ მისი სრული მოსპობა, როგორც ეს სოციალისტებს სურთ და მისი სოციალიზმით შეცვლა, შეუძლებლად მიგვაჩნია. კაპიტალისტური მეურნეობის სისტემის ზოგიერთი რადიკალური რეფორმა საჭიროც არის და სასარგებლოც. აჩქარებული რეფორმები ხშირად საკმაო ნიადაგს ვერ პოულობს სინამდვილეში და მარცხით მთავრდება, მაგალითათ როცა სახელმწიფო თვით იკუთვნებს ეკონომიურ ფუნქციებს, ახდენს ზოგიერთ წარმოებათა ნაციონალიზაციას, გეგმავს ეროვნულ მეურნეობას, ზღუდავს კერძო თაოსნობას და მრავალ დაბრკოლებას უქმნის კერძო წარმოებას გააძლიერის პროდუქცია, რაც იმავე დროს საჭიროა საზოგადოებრივი სარგებლობისათვის.

მხოლოდ აქედან სრულიებით არ გამომდინარეობს, რომ ყოველთვის დასაგმობი იყოს დიდი წარმოებათა ნაციონალიზაცია, რომლის მნიშვნელობა და უპირატესობა განუზომელია, ერის ცხოვრების და მისი დამოუკიდებლობის ასრულებისათვის.

თვით მუშათა კლასს არ ძალუძს დამოუკიდებლათ გაუძღვეს თანმედროვე კაპიტალისტურ სამყაროში რაიმე დიდ წარმოებას, ისე რომ შრომის ნაყოფიერება არ დასცეს. მათთვის უმჯობესია და ხელსაყრელი ყოველგვარ რისკის გარეშე, კერძო წარმოების წესების რეფორმებით მოიპოვოს სამართლიანი ხელფასის დაწესება, მოგებაში ხვედრითი წილის მიღებით. ასწიოს მატერიალური და კულტურული დონე თავის ცხოვრების.

დემოკრატია სცდილობს შექმნას ჰუმანიური და იმავე დროს ჰარმონიული საზოგადოება, მაგრამ ის უარს ამბობს, მზგავსათ სოციალისტებისა, წინასწარ განსაზღვროს დეტალები მისი სტრუქტურისა; საკმარისია ვიცოდეთ, რომ ის იქნება შედეგი თანდათანობითი და შეუწყვეტელი შემოქმედების, რის შესაძლებლობანი უკვე მოცემულია თანამედროვე საზოგადოებაში. ხოლო ამის განსახორციელებლად საჭიროა იქნება თავისუფლება, მშვიდობიანი მყარი ცხოვრება და არა ხე-

ლოვნური სოციალური ანტაგონიზმის და სიძულვილის გაღვივება.

დემოკრატიაში, რომლის იდეალია თავისუფლება და სოციალური სამართლიანობა, ყოველმა საზოგადოებრივმა ფენამ თანაბარი მონაწილეობა უნდა მიიღოს საერთო ეროვნული კულტურის დაცვაში. სამშობლოს სიყვარულით სულიერი და ნივთიერი ინტერესით, უნდა მივისწრაფოდეთ — ავმაღლდეთ საკაცობრიო იდეალამდის.

ს. ჭირაქაძე

სოშო.

---

## გ ა ბ ზ ა რ უ ლ ი „ გ უ ლ ი“

ყოველი რევოლიუცია თავის მიზნად ისახავს დამონავებულ ადამიანის განთავისუფლებას. ისინი ვინც რევოლიუციებს ამზადებდენ რაინდები იყვნენ, ყოველ დროში და პირობებში შეუპოვარნი, თავგანწირულნი და თავდადებულნი იდეისათვის. მაგრამ რევოლიუციის გამარჯვების მეორე დღეს მათ ავიწყდებათ ეს დიადი, კეთილშობილი მიზნები. ერთი და იგივე რევოლიუციონერი რევოლიუციამდე და რევოლიუციის შემდეგ სხვადასხვა ადამიანებია, წარმოიდგინეთ სახეც კი ეცვლება მას. თავისუფლების დამცველი, თავისუფლებას სპობს და მის ასასტიკეს და შეუბრალებლობას არა აქვს საზღვარი. ტრაგედია ამ ამბისა სრულიადაც არ უნდა ვეძიოთ თავისუფლების და სამართლიანობის იდეალებში. ტრაგედია საშუალებებში მარხია. რევოლიუცია ეძიებს გამარჯვებას. გამარჯვებას ის აღწევს ძალით,, ეს უკანასკნელი კი თავისი ლოგიკური აუცილებლობით გადადის ძალადობანებაში. უდიდესი ზეცდომა რევოლიუციის მოღვაწეებისა „დროს“ გაგებაშია. მათთვის აწმყო არსებობს, როგორც საშუალება, მომავალი კი როგორც მიზანი. ამიტომ ამწყოში შეიძლება ხვრიტო ურიცხვი ხალხი, ტერორის საშუალებით ჩაახუბო მილიონები, აუცრძალო, არა თუ ხმის ამოღება, არამედ თავისუფლად ფიქრიც და უყოყმანოთ ასრულებინო ოფიციალური დირექტივები. მაგრამ უდიდესი საიდუმლოება იმალება სწორედ იმაში, რომ საშუალება უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე მიზანი. სწორედ საშუალებანი, გზები გვამცნობენ რევოლიუციის მესვეურთა სულიერ სტრუქტურას, მათ მორალურ პორტრეტს, საესის ღვარძლით, შურისძიებით, გაუტანლობით. განა ამეებს კარგი რამ რიდის უშვია?! ბოროტების თესვითა და სოციალ-ელემენტების ერთმანეთზე გადაკიდებით წინსვლა და წარმატება რანაირად შესაძლებელია?

ძალადობანება არასოდეს გადადის თავისუფლებაში, შურისძიება — სამართლიანობაში. დასაწყისში რევოლიუცია წმინდანის როლში გამოდის, შემდეგ კი, მასში ჩაქსოვილი საბედისწერო დიალექტიკისა, ამ როლის შესრულება მას ავიწყდება, თავისუფლება ქრება და საშინელი ტერორი მეფდება. ტერორს კი შიში ბადებს. შიშს კი არასოდეს ამ ქვეყნად სიკეთე არ მოუტანია და ვერც მოიტანს. შიში და ტერორი

კი შობს დიქტატორს და ტირანს. ეს არის რევოლიუციის პარადოქსი. ასეთია საზოგადოთ რევოლიუციის ბუნება, რომლის საუკეთესო გამოსახულებაა კომუნისტური რუსეთი. როგორც ყოველ რევოლიუციას, ისე რუსეთისაც აქვს პრეტენზია „ახალი ადამიანი“-ს შექმნისა. „ახალი ადამიანი“-ს შექმნა უფრო რადიკალური ამბავია, ვიდრე ახალი საზოგადოების წარმოქმნობა. ახალი საზოგადოება რევოლიუციის შემდეგ აღმოცენდება, „ახალი ადამიანი“ კი მაინც არ გვეცლინება. ამაში კიდევ ტრაგედია რევოლიუციისა და მისი ბოლომდე მოუფიქრებლობისა. „ახალი ადამიანი“ არ არის ფაბრიკაციის საგანი. ეს სრულიად არ ნიშნავს იმას, თითქოს არ იყოს საჭირო სოციალური სტრუქტურის შეცვლა, ჩვენ მხოლოდ ვამბობთ, რომ სოციალური სტრუქტურის შეცვლა ავტომატიურად არ ბადებს „ახალ ადამიანს“. საბჭოთა ხელისუფლების, ამ თანამედროვე სოციალური ბოროტების საშინელება როდი უნდა ვეძიოთ ე. წ. კოლექტივიზაციაში, რომელსაც ის ცხოვრებაში ატარებს, არამედ იმ გაუგონარ ღალატში, რომელიც მან ჩაიდინა ადამიანის მიმართ. საბჭოთა სოციალ-ღირებულებათა სიაში ადამიანის პიროვნება, ეს უმაღლესი ღირებულება სხვა ღირებულებათა შორის არა სჩანს, დაკარგა რა თავისი ყოფის სულიერი წყარო, ადამიანი ეფლება, რაღაც არაადამიანურს. საშუალო საუკუნეების სქოლასტიკაში ადრევე შეიძლება ვიპოვოთ ადამიანი, ვიდრე თანამედროვე კომუნისტურ ნეო-სქოლასტიკაში. აქ ყველაფერი პარტიაა, პარტიული შეგნება. ადამიანი მთელი თავისი ბუნებით, ინტიმური ცხოვრებითაც პარტიული არსებაა. პარტია — ნოუმენია, საგანი თავის-თავად, ადამიანის პიროვნება კი ფენომენი. კომუნიზმი თანასწორობის იდეას ქადაგებს და ბევრი ამაში ხედავს მის მორალურ სიძლიერეს. სინამდვილეში კი, არსებითად თანასწორობის პათოსი არის სხვისი ყოფისადმი შურის პათოსი, რომელიც თავს იჩენს მაშინ, როცა ირკვევა საკუთარი ყოფნის დაცვა-დამაგრების შეუძლებლობა. მაგრამ გაქრის დრო, კომუნიზმის უტოპიური ანთებითი გატაცება ნელდება, რევოლიუციონური ალმაფრენა სუსტდება, ყველაფერი ლაგდება და იწყება ახალი ცხოვრების შენება; მაგრამ ეხლა homo sovietieus-ს (საბჭოთა ადამიანს) არ აინტერესებს იდეებით და თეორიებით ჯამბაზობა. მასში გაიღვიძა „ბურჟუაზიულ“-მა სულმა. მას აინტერესებს პრაქტიკული საქმიანობა, კარიერა,, წინ-წაწევა, ძალა-უფლება, ის აღზრდილია სასტიკ და შუბრალებელ ბრძოლის ატმოსფერაში, მან არ იცის ვინმეს დანდობა. ის შეჩვეულია კარიერის გასაკეთებლად არავინ დაზოგოს და არაფრის წინაშე შესდგეს. ამ ნიადაგზე ე. ი. წმინდა პრაქტიკულ სფეროში საბჭოთა ხელის--უფლებას და მის მიერ აღზრდილ თაობას შორის კონფლიქტი აუცილებელი იყო. ეს „კონფლიქტი“ დღეს ფაქტია. ამის მჭერმეტყველური საბუთი თვით საბჭოთა პრესის საბედისწერო კივილია. კომ. პარტიის ცენტრალური კომიტეტის ე. წ. თეორეტიული ორგანო „ბოლშევიკ“-ი გაბრაზებული სწერს: გატაცებულნი სამეურნეო საქმიანობით პარტიის პასუხისმგებელ პირებს დააკარგვინეთ პარტიულ-პოლიტიკური მუშაობა“-ო. ამასვე იმეორებს „პრავდა“ 19 და 23 აგ-

ვისტოსი, რომ „გოლოკომები და რაიკომები დღითი-დღე შორდებიან პარტიულ ცხოვრებას და მთელი მათი გულის-ყური მიპყრობილია სამეურნეო საქმიანობისაკენ“. ასეთია ამბავი ცენტრში. უარესი მდგომარეობაა უკრაინაში, საქართველოში და სხვაგან. მაგრამ უფრო ნათელ სურათს პარტიაში გამეფებულ წესისა და ზნისა იძლევა ვინმე ნიკოლოზ ხრუშჩევი („პრავდა“ 26 აგვისტო): „გამოცდილებამ დაგვანახა პარტიულის წესდების სილატაკე, რომ საჭიროა წესდებაში აღნიშნული იყოს პარტიის წევრის მოვალეობანი“ და განაგრძობს „რომ არიან და ძალიან ბევრი პარტიული წევრნი, რომელნიც ძალიან პასიურად და გულგრილად არიან განწყობილნი პარტიულ დადგენილებებისადმი. არიან ბევრი პარტიულები (ჩვენ ვიტყვით: უმრავლესობა), რომელნიც დღე და ღამ პარტიისადმი ერთგულებაზე გაყვირიან, სინამდვილეში კი, თავიანთი პირადი საქმეების მოწყობით უფრო არიან დაინტერესებულნი“.

ასეთსავე სურათს აქვს ადგილი ე. წ. კულტურულ ფრონტზე. დღეს არაუსათვის საიდუმლოებაა, არ შეადგენს, რომ **homo sovieticus** გატაცებულია კლასიკური ლიტერატურით. ლუნაჩარსკის და მაიაკოვსკის ეშმაკისეულ პიესებს ხალხი არ ესწრება. საბჭოთა ლიტერატურის სიყალბე და მზაკვრობა მათ სულსა და გულს უკვე არ უდგება. თუ გავიხსენებთ ცნობილი მწერალ ი. ბაბელის ნაწარმოებს „პისმო“, რომელსაც საბჭოთა კრიტიკა აღტაცებით შეხვდა, რომ კომუნისტი შვილი ჰკლავს თავის საკუთარ მამას, რომ „ტრენგვი“-ს პიესაში „ლიუბოვ იაროვაია“-ში ქმრის გამცემს და მოღალატეს გმირის სახელი ენიჭება, რომ ცნობილ საბჭოთა ფილმში „ამბა“ ძმის მკლელი წასაბაძ ნიმუშად არის გამოყვანილი და ბოლოს თუ არ დავიწყებთ „პავლიკ მოროზოვ“-ს, რომელმაც წარბშეუხებლად გასცა მამა, დედა და მთელი მისი ოჯახი, ჩვენთვის ადვილი გასაგები იქნება საბჭოთა ადამიანის ასე ხარბათ დაინტერესება კლასიკურ ლიტერატურით.

სწორედ ამის წინააღმდეგ ყალზე დგება საბჭოთა პრესა. თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ ამაზე არის კიდევ ლაპარაკი 1952 წ. 30 წლის კომუნისტური პროპაგანდის ჭაპან-წყვეტის შემდეგ ჩვენთვის გასაგები უნდა იყოს საბჭოთა პრესის ისტორიული კვალი. ყველაფერი ეს კი იმაზე ლაპარაკობს, რომ კომუნისტური პარტიის გული გაიბზარა. ის ხრღნას და შლას იწყებს. ამ ხრღნის შეჩერებას ლამობენ და გაბზარულ გულის გამთელებას ცდილობენ. ეს შეუძლებელია. ცხოვრება მისი მოთხოვნილებით და ლოგიკით უფრო ძლიერია, ვიდრე კომპარტიის ბრძანებები, ან ფაფარ-აყრილ საბჭოთა პრესის ჭიხვინი.

**შ. კალანდაძე.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საბჭოების აგრარული სოციალიზმი

კომუნისტებმა ძირიანფესვიანად დაანგრიეს არსებული წესი და წყობა ხალხური ცხოვრების ყოველ დარგში და მის ნაცვლად დაამყარეს ახალი, ბოლშევიკური წყობა — სოციალიზმად წოდებული.

ასევე მოიქცევენ, რასაკვირველია სოფლადაც. გლეხებსაც გაუნაღდეს ბოლშევიკურად თავის დიდი დაპირებები. — დიდ მესაკუთრეებისაგან მიწის ჩამორთმევა, მისი მშრომელ გლეხობისათვის გადაცემა და მით მისი გაბედნიერება. ბუნებრივია, რომ მათი ასეთი დაპირება დიდს იმედებს ჰბადებდა ღარიბს გლეხობაში. ამიერიდან გლეხობა ნათლად ხედავს, რომ ბოლშევიკებმა პირუკუღმა გაუნაღდეს მას ეს მათი დიდი დაპირება. სადაც **მას მიწის მიკუთნებას** ჰპირდებოდენ, იქ ეხლა თითონ გლეხები არიან ამ მიწისადმი მიკუთვნებული და მიჯაჭვული. კომუნისტების მიწის რეფორმა ორი ეტაპისაგან შესდგებოდა: პირველი, მიწების გლეხებისათვის დანაწილება, რომელსაც ბალეთან მოსდევდა მეორე ეტაპი: არა მარტო მიცემული მიწების წართმევა, არამედ მასთან ერთად იმისაც, რაც გლეხობას წინეთ ჰქონდა სრულს საკუთრებად და ყველა ამ მიწების ძალდატანებითი კოლექტივიზაცია. კოლექტივიზაციით გლეხებმა დაჰკარგეს არა მხოლოდ რეფორმის პირველი ეტაპით მიღებული, არამედ მთელი ის ქონებაც და თავისუფლებაც, რაც მათ რევოლიუციამდე გააჩნდათ. საბჭოთა სახელმწიფომ, შეუბრალებლათ გაანადგურა მემამულეები და თითონ გადაიქცა მსოფლიოში უდიდეს მიწის მესაკუთრეთ და გლეხების გაუმაძღარ ექსპლოატატორად. ამიტომ არის, რომ დღეს, არსად ისეთი რადიკალური მიწის რეფორმა არ არის საჭირო, როგორც საბჭოთა ქვეყნებში. იქ აუცილებელია ისეთი მიწის რეფორმა, უფრო სწორად მთელი აგრარული რევოლიუცია, რომელიც გლეხებს თავისუფლებას და მიწას დაუბრუნებს; აღადგენს თავისუფალ წვრილ კერძო მესაკუთრეობას, აღადგენს გლეხების თავისუფალ ინიციატივას და პოლიციურ მოისხანებით შექმნილ კოლექტივიზაციას, ნებაყოფლობითი ურთიერთ თანამშრომლობით შესცვლის. საბჭოთა მეურნეობის სისტემა გლეხს აყენებს მონურ მდგომარეობაში. ის მხოლოდ აღმასრულებელი მანქანაა სახელმწიფოს ხელში და აღსპობს მშესაძლებლობას, რომ გლეხმა თავისი მამული გაზარდოს, გაანოყიეროს და მით მისი ნაყოფიერებაც გაზარდოს.

ეს კი რადიკალურად ეწინააღმდეგება მიწის რეფორმის დემოკრატიულ გაგებას, რომელიც მიზნათ ისახავს გლეხების განთავისუფლებას დიდი მემამულეებისა და მიწის აბსოლუტურად მფლობელ სახელმწიფოს დამოკიდებულებისაგან. დემოკრატიული გაგებით საკმაოა სიდიდის მიწა უნდა ეკუთვნოდეს გლეხს და მას უნდა ჰქონდეს უფლება საკუთარი შრომით გაიხაროს. მხოლოდ კერძო მფლობელობის დროს გაიზრდება ხალისი მიწის მოვლა-პატრონობისა და ეს გაზრდის მიწის ნაყოფიერებას და შემოსავალსაც.

მიწის რეფორმის დემოკრატიული კონცეპციის მიზანი დამოუკი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დებელი ფერმერების შექმნაა, რომელზედაც დაეყრდნობა თავისუფალი საზოგადოება. ეს იდეა ნათლად გამოსთქვა ამერიკის წარმომადგენელმა გაერთიანებულ ერებში ბატონმა ტობიასმა. მან განაცხადა: „როდესაც გლეხებს ძალას ატანენ გაუმაძღარი მემამულეები თუ პოლიციური სახელმწიფოები გადაიხადონ ზედმეტი მარცვლეული, გლეხებს ეკარგებათ თავიანთი მოსავლის გადიდების ყოველგვარი ინტერესი. მოსავლის გადიდების ერთად-ერთი გზა, სოფლის წვრილი საკუთრების განმტკიცებაა. მხოლოდ ამ გზით შეიძლება ხელი შეეწყოს გლეხების ინიციატივის და შრომის ნაყოფიერების განვითარებას“.

კოლექტიური მეურნეობა კი პირიქით გლეხების გაყვლეფის უდიდესი იარაღია საბჭოთა სახელმწიფოს ხელში. საბჭოთა კავშირს, გლეხების სასტიკი ექსპლოატაციისათვის, მათი შრომის ანაზღაურების მეტად მოხერხებული სისტემა აქვს შემოღებული. ანაზღაურების სიდიდე სრულებით არ არის დამოკიდებული იმაზე თუ რა გამოიმუშავა გლეხმა. კოლექტივში გლეხებს იმას უნაწილებენ, რაც ხარბ სახელმწიფოს გადარჩება. ამგვარად, საბჭოთა კავშირში სახელმწიფო მთლიანად გლეხობას აწევს კისერზედ. საბჭოთა კოლექტივების ყმობა გაცილებით უარესია, ვიდრე იყო სოფლის ბატრაკების მდგომარეობა. ბატრაკებს გარდა საშმელისა რაღაც მინიმალურ ჯამაგირსაც აძლევდნენ. კოლექტივის წევრებს კი, მითი უმეტეს ცუდ მოსავლიან წელს, იმდენსაც არ აძლევენ, რომ ოჯახი გამოკვებონ.

საბჭოთა გლეხების ექსპლოატაცია უფრო უარესდება, რადგან გლეხები იძულებული არიან მთელი თავისი ნაწარმოები ხელისუფლებას ჩააბარონ, მის მიერ დადგენილ მტკიცე ფასებში, და თითონ კი ათჯერ და ხშირად ოცჯერ ზეტი გადაიხადონ იმავე საქონელში, სახელმწიფოს სავაჭროებში. ასევე მაღალ ფასებს ადებს სახელმწიფო თავისი ინდუსტრიის ნაწარმს რომელიც გლეხებისათვის თითქმის მიუწვდენელი ხდება.

ბოლშევიკური სახელმწიფო, რასაკვირველია, სხვა მომხმარებლებსაც ასევე გაათკეცებულ ფასებში აწვდის, გლეხებისაგან წართმეულ ნაწარმოებს. ამის გამო ბოლშევიკური კომერცია, მოგების ისეთ პროცენტს აღწევს, რომელიც კაპიტალისტურ სახელმწიფოში არც კი დაესიზმრებათ. მაგალითად, ომის წინა წლებში საბჭოთა კავშირი გლეხს კილო ხორბალში რვა კაპეიკს აძლევდა. თითონ მომხმარებელს ამავე კილო ხორბალს მანეთად და 92 კაპეიკათ აწვდიდა ე. ი. ოცდათხუთჯერ უფრო ძვირათ: კილო ხორცში 17 კაპეიკს უხდიდა გლეხებს, ხოლო მომხმარებელს 19 მანეთად აწვდიდა ე. ი. ასთორმეტჯერ უფრო ძვირათ. კილო კარაქს გლეხებს ცხრა აბაზათ აბარებინებდა, თითონ კი მომხმარებელზედ 38 მანეთად ყიდდა ანუ 2100 პროცენტის მოგებით. ასეთი დიდი მოგებით ვაჭრობა მხოლოდ საბჭოთა კავშირშია შესაძლებელი, სადაც ორივე, როგორც მომხმარებელი ისე მწარმოებელი სახელმწიფოს მ ო ნ ა ა. ამგვარათ კოლექტიური მეურნეობა სახელმწიფოს მიერ მიერ ხალხის ექსპლოატაციის ს ა შ ი ნ ე ლ ი იარაღია და არა სოფლის მეურნეობის განვითარების ერთ-ერთი საფეხური,

როგორც კომუნისტები ატყუებენ ქვეყნიერებას. ამიტომ არის რომ კოლექტიური მეურნეობის შემოღება შეუძლებელია საშინელი ტერორის გარეშე.

ამიტომ არის რომ გლეხობა განუწყვეტლად ებრძვის კოლექტიურ სისტემას და ანასთან ერთად თვით საბჭოების წყობილებას, და ალტაცებით მოელის მათი სამშვიდობოთ დამხობით, ამ საშინელი მონობიდან განთავისუფლებას.

ნიუ-იორკი. **აბდული.**

---

## ამერიკული კომიტეტი

3 დეკემბერს ამერიკულმა კომიტეტმა გამოაქვეყნა დეკლარაცია, რომელშიაც ის აშკარად თავის პოზიციას და სამოქმედო გეზს. „ამერიკული კომიტეტის პოზიცია, ამბობს დეკლარაცია, გარკვეულად ნაჩვენებია მის ოფიციალურ დეკლარაციებში, და აგრეთვე მისი თავმჯდომარეების სიტყვებსა და განცხადებებში. კომიტეტი აცხადებს, რომ მისი პოზიცია არ შეცვლილა, და თუ ზოგიერთები მას შემცდარად აშუქებენ, კომიტეტი ვერ გახდება ამის პასუხისმგებელი.

ამერიკული კომიტეტი არის კერძო ამერიკული ორგანიზაცია, როგორც ასეთი, ის დაინტერესებულია უმთავრესად ისეთ სფეროში, სადაც საბჭოთა და ამერიკის ხალხთა ინტერესები ერთმანეთს ეთანხმებიან, ხოლო იგი არ არის ამერიკის მთავრობის პოლიტიკით შეზღუდული.

კომიტეტი არ დაუჭერს მხარს რომელიმე მიმდინარეობას, თუ ემიგრაციის დაჯგუფებას, სხვების წინააღმდეგ. ის მისდევს ფართე დაჯგუფებების დახმარების პოლიტიკას, ისეთი დაჯგუფებების, რომელთაც საერთო, საბოლოვო მიზანი აქვთ დასახული. მას არ აქვს ემიგრაციის შინაურ საქმეებში ჩარევის განზრახვა, და არ უკარნახებს მოქმედების გეზს არც ერთ ემიგრანტულ დაჯგუფებას.

... კომიტეტის უმთავრესი მიზანია საბჭოთა დიქტატურის დამხობა საბჭოების ეხლანდელს ტერიტორიაზედ. ამ მიზნით კომიტეტი მზადაა მნიშვნელოვანი დახმარება გაუწიოს იმ წრეებს, რომელთაც მოეპოვებათ სურვილი და ენერგია სტალინის ტირანიის წინააღმდეგ აქტიური ბრძოლისათვის. ადმირალ კერკმა მრავალჯერ განაცხადა, რომ კომიტეტს არ აქვს განზრახვა უპირატესობა მიანიჭოს თავის მუშაობაში „შემარჯვენე“, ან „მემარცხენე“ დაჯგუფებებს.

კომიტეტის დეკლარაცია და აგრეთვე ადმირალ კერკისა და ადმირალ სტევენსის სიტყვები და მიმართვანი მუდამ გამოითქვამდენ იმ აზრს, რომ საბჭოთა დიქტატურის უზარმაზარი მანქანის წინააღმდეგ ნაყოფიერი ბრძოლის წარმოება მოითხოვს მთელი აქტიური ემიგრაციის გაერთიანებულ მოქმედებას და ამ მიზნით ემიგრაციის ძალები უნდა შეუერთდენ თავისუფალი მოსოფლიოს ანტიკომუნისტურ ფრონტს.

... ადმირალ კერკმა განაცხადა 7 მაისს 1952 წ. პრესის კონგრეს-

ზედ: „ჩვენთვის ნათელი უნდა იყოს, რომ ჩვენს ამოცანას არ შეეცავს საბჭოთა კავშირის ერების ჭკუის სწავლება იმის შესახებ, თუ როგორი ურთიერთობა უნდა დაამყარონ მათ ერთმანეთთან. ეს მათი საქმეა და არა ჩვენი. ამ საქმეში ჩარევა საუკეთესო გზაა ამ ერებში ჩვენ მიმართ ალშფოთების გამოსაწვევად, და არა სიმპატიისა“. ამის მიხედვით ამერ. კომიტეტის წინაალმდეგ მიმართული ბრალდებანი შესახებ იმის ტენდენციებისა „რუსეთის დანაწილებისა“, თუ რუსეთის „იმპერიალიზმის“ გამაგრებისა, ყოველგვარ საფუძველსაა მოკლებული. ასეთი ტენდენციები ეწინააღმდეგებიან მის პრინციპებს და მათ არავითარი ადგილი არ აქვთ კომიტეტის მოღვაწეობაში. ხოლო ისინი, ვინც ასეთ ბრალდებებს გამოთქვამენ, ივიწყებენ იმას, რომ ამერ. კომ. მიზანი არ არის წინასწარ გათვალისწინება იმისა, თუ რა მოხდება საბჭოთა ტერიტორიაზედ კომუნიზმის დამხობის შემდეგ, არამედ ასეთი გამარჯვების მისაღწევად გზების გაგნებვა.

კომიტეტის დეკლარაცია დაასკვნის: ბოლშევიკების წინააღმდეგ წარმოებულ ბრძოლის გულწრფელი ზრახვების საკითხს ფრიად დიდი მნიშვნელობა აქვს ამ ბრძოლის ორგანიზაციისათვის. ულმისოდ შეუძლებელია ნაყოფიერი ბრძოლა. კომიტეტმა მრავალი ღონისძიება მიიღო თავის პოზიციის ჯეროვანად გასაგებად. კომიტეტი ნდობით უყურებს თავის მეგობრებს ემიგრაციაში და იმათგანაც ამასვე მოელის. მოსამზადებელ მუშაობამ დიდი დრო შეიწირა, მაგრამ ეს დრო უქმად არ იქნა დახარჯული. კომიტეტი ჰფიქრობს, რომ ნამდვილი მუშაობის საფუძველი უკვე ჩაყრილია, და ამიერიდან დარჩენილია მხოლოდ მუშაობა გამარჯვებისათვის“.

ემიგრაციის ფართე წრეებიუთუოდ დიდის კმაყოფილებით შეხვდებიან ამერ. კომიტეტის ასეთს დეკლარაციას. ხოლო კომიტეტს არ უნდა აკვირებდეს, რომ მისი მიზანი და მოქმედება არ იყო სწორედ გაგებული და დაფასებული ემიგრაციის მიერ. ემიგრაცია ამას ეცნობოდა იმ პირთა ინტერპრეტაციით, რომელთაც მონოპოლიად გაიხადეს ამერ. კომიტეტთან ურთიერთობა. ესენი კი, თითქოს საგანგებოდ მთელი ემიგრაციიდან ამოკრებული სნობები და მანიაკები, ორი წელიწადი კამათობდენ იმის შესახებ, თუ როგორ უნდა მოეწყოს ბოლშევიკური ტირანიისაგან განთავისუფლებული ერთა პოლიტიკური და სოციალური ცხოვრება. ამით იქმნებოდა ემიგრაციაში ისეთი შთაბეჭდილება, თითქოს ამერიკული კომიტეტის უმთავრესი მიზანი სწორედ ესაა, და არა ბოლშევიზმის წინააღმდეგ მებრძოლ ძალების დარაზმვა და დახმარება. მაგრამ, რასაკვირველია, ყველანი არ აკეთებდენ ასეთ მარტივ დასკვნებს და დარწმუნებული იყვენ, რომ ამერიკულ კომიტეტს საღი და რეალური მიზნები აქვს დასახული, მისი ზოგიერთ თანამშრომელ ემიგრანტების მიერ ყალბად გაგებული, თუ ყალბად გასაღებული. ემიგრაციის მიერ ამ საკითხების შემცდარად გაგებას უთუოდ ხელს უწყობდა აგრეთვე კომიტეტის ნაკლებად შესაფერისი სახელწოდება — რუსეთის ხალხთა განთავისუფლების ამერიკული კომიტეტი. რუსეთის იმპერიის დანხობის შემდეგ აღარ არსებობენ „რუსეთის

ხალხები“, არამედ საბჭოთა კავშირის ერები. იმპერიალისტური რუსეთის რესტავრაციის მომხრენი, რასაკვირველია ისეთს გამუქებას აძლევდენ კომიტეტის ასეთ სახელწოდებას, თითქოს ამერიკული კომიტეტის განზრახვაა ამ რუსეთის იმპერიის რესტავრაცია და ამის შემდეგ, კერენსკის გეგმით, მისი ხალხების ცხოვრების დალაგება. აქტიური და ჯანსახლი ემიგრაცია უთუოდ დიდად მოხარული იქნება იმის გამო, რომ ამერიკული კომიტეტის ობიექტური მოთმინება დასრულდა, და ამიერიდან ის ალარ დაჰკარგავს დროს რუსეთის მომავალზედ მარჩიელობით გატაცებული პირების ფანტასტიურ გეგმების მოსმენითა და განხილვით, არამედ შეუდგება მის მიერ დასახულ რეალური ბრძოლისა და მოქმედების განხორციელებას.

---

## სრულიათ საქართველოს კათალიკოზ - პატრიარქი მელხისედეკი

1952 წ. 3 თებერვალს გარდაიცვალა მისი უწმინდესობა კათალიკოზი კალისტრატე. 5 აპრილს ძველს სიონის ტაძარში შეიკრიბა საგანგებოდ არჩეულ სამღვდელობისა და მრევლების წარმომადგენელთა ყრილობა—მე-9 საეკლესიო კრება, საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის შემდეგ (1917 წ. მარტის 12). საეკლესიო ყრილობამ კათალიკოზ - პატრიარქად ერთხმად აირჩია ურბნისის მიტროპოლიტი მელხისედეკი.

მისი უწმინდესობის კურთხევა დასაკათალიკოზო ტახტზე აყვანა შესრულდა 25 აპრილს, მეხუთე საუკუნეში აგებულ მცხეთის ტაძარში. ამ საგანგებო ბრწყინვალე მღვდელმსახურებას ხელმძღვანელობდენ ქუთათელი მიტროპოლიტი ეფრემი, ალავერდის ეპისკოპოსი გაბრიელი და ცხუმისა და აფხაზეთის ეპისკოპოსი ანტონი.

მისი უწმინდესობა მელხისედეკი, ერობაში მიხეილ ფხალაძე დაბადა 1876 წელს. მედავითნის შვილი, 11 წლის ჰასაკში დამბლებული და სრულიად უმწეოდ დარჩენილი ახერხებს სასულიერო სასწავლებლის დასრულებას და შემდეგ, სემინარიას ათავებს პირველ მოწაფედ და უმაღლეს სასულიერო აკადემიას მეცნიერული, ღვთის - მეტყველების კანდიდატის ხარისხით.

15 წლის განმავლობაში მასწავლებლობს სასულიერო სასწავლებელში და სემინარიაში, ხოლო დაქვრივების შემდეგ ბერად აღიკვეცა და აყვანილ იქმნა არქიმანდრიტის ხარისხში 1925 წელს, ამავე წელს ეკურთხა ეპისკოპოსად და განწესებულ იქმნა ალავერდის ეპარქიაში. 1935 წელს ეპისკოპოსი მელხისედეკი აყვანილ იქმნა მიტროპოლიტის ხარისხში და დაინიშნა ცხუმ - აფხაზეთისა და შემდეგ ურბნისის სამიტროპოლიტო კათედრაზედ. მის უწმინდესობას საყურადღებო შრომები აქვს გამოცემული ღვთის - მეტყველებაზედ და თარგმანები ბერძნულიდან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს ეკლესიის ახალი მესაჭე ასორმოცდა მესამე მეთაურია ძველი ივერიის ეკლესიისა, მას შემდეგ რაც, 365 წელს, მას პირველი მეთაური ეპისკოპოსი მოევლინა. 15 საუკუნის მანძილზედ გაუძლო ჩვენმა ეკლესიამ ულამრავ შემოსევებს და ეკლესიისა და ერის განუწყვეტელ ნგრევასა და რბევას. ეს შეუძლებელი გახადა ქართველ სამღვდელოებისა და მისი მეთაურების განსაცვიფრებელმა სიმტკიცემ და თავგანწირულობამ. ხოლო მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში მეგობრად და მფარველად მოვლინებულმა რუსეთმა დაამხო საქართველოს სამეფო და მასთან ერთად მისი ეკლესიის დამოუკიდებლობა. 1917 წელს საქართველოს ეკლესია კვლავ აღსდგა, როგორც წინამორბედი საქართველოს სახელმწიფოებრივი აღდგენისა.

1921 წელს, საქართველოში ცეცხლითა და მახვილით შემოჭრილმა კომუნისტურ რუსეთმა კვლავ გაანადგურა საქართველოს დამოუკიდებლობა და მასთან ერთად დაანგრია და დახურა ცხრა მეათედი მისი ეკლესიებისა. ყოველ უბედურობათა მხილველ ქართულ ეკლესიას ორასოდეს განუცდია ასეთი ნგრევა და რბევა. ნეტარხსენებულ კათალიკოზებმა ამბროსიმ და კალისტრატემ უაღრესი თავგანწირულებით ილვაწეს დანგრეულ ეკლესიის გასამაგრებლად, სრულიად დანგრევისაგან გადასარჩენად. საქართველოს ეკლესიის ახალ მეთაურს მეტად მძიმე და საპასუხისმგებლო მემკვიდრეობა აქვს მიღებული და ღვთის წყალობით ის მას ღირსულად დაიცავს და მოუვლის.

---

## აჯანყებებში დაღუპულთა ხსოვნის დღე

5 ოქტომბერს პარიზის ქართველობამ გამართა საქართველოს განმათავისუფლებელ ბრძოლებში დაღუპულთა ხსოვნის სამგლოვიარო კრება. სამწუხაროდ ეს კრება ვერ ჩატარდა ისე, როგორც მის დანიშნულებას შეეფერებოდა. ის გაიმართა ისეთ დროს, როდესაც „ეროვნული საბჭოს“ საგანგებო სესია აფუძნებდა ვისბადენის პოლიტიკას, და ეს მეტად ნერვიულ მდგომარეობას ჰქმნიდა ქართულ საზოგადოებაში. გ. ყიფიანის სიტყვის უკანასკნელ ფრაზებში მკაცრად იქნა დაგმობილი ვისბადენის ამბავი, რამაც მეტად ცალელვა კრების ერთი ნაწილი და დაიწყო აყარ-ზაყარი, რომლის დაცხრომა მეტად გაუძნელდა კრების თავმჯდომარეს ბ. შ. აბდუშელს. ყველა ორატორების სიტყვაში, გარდა ორისა,, ვისბადენის პოლიტიკამ მოიპოვა ამა თუ იმ სახით თავისი გამოძახილი. სიტყვები წარმოსთქვეს: ვ. ჩუბინიძემ, კ. ქავთარაძემ, გ. ყიფიანმა, ნ. ჩუბინიძემ, ალ. ასათიანმა, ბლიაძემ, ალ. შათირიშვილმა. „ეროვნულ საბჭოს“ თავისი წარმომადგენელი გამოეგზავნა ამ კრების მისასალმებლად საბჭოს სესიის სახელით. სანამ საბჭოს ეს დელეგატი, ა. შათირიშვილი, თავისი პარტიის შესახებ ლაპარაკობდა, კრება ყურადღებით უსმენდა. ხოლო როდესაც მან განაცხადა, რომ ეხლა მე ვლაპარაკობ საბჭოს სახელითო, კრებამ აღარ მოი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სურვა მისი მოსმენა და სიტყვა შეუწყვიტა. უადგილობის გამო აქ მხოლოდ ორი სიტყვას ვბეჭდავთ.

### ალ. ასათიანის სიტყვა

ქართველი ერის თავგანწირული ბრძოლა საბჭოთა კავშირის მონობისაგან განთავისუფლებისათვის, ეს პირველი, სვანეთის აჯანყება 1921 წ., ესმეორე — კახეთისა და ფშავ - ხევსურეთის 1922 წ. და მესამე, საერთო აჯანყება 1924 წ., აჯანყება ლეჩხუმში 1928 წ., აჯანყება 1930 წ., ქალების აჯანყებად წოდებული წარმოადგენს დიდ ეპოპეას, მსალალი ერთიანული იდეალისთვის მებრძოლ საქართველოს შვილთა განუსაზღვრელი გმირობისა, თავგანწირვისა და წამების ეპოპეას.

ამ ბრძოლებმა გააცოცხლეს ჩვენი მრავალსაუკუნოვანი მატიანეს საუკეთესო ფურცლები, იქ აღბეჭდილი მრავალი დიდი გმირობა და თავდადება, ჩვენ რომ აღარ გვეჯეროდა ამ ჩვენს, ზნეობრივად დაძაბუნებულს ეპოქაში და ლეგენდებად გვეჩვენებოდა. ამ ბრძოლებში ჩაბმული იყო ჩვენი ერის ყველა წრე, ყველა ნაწილი, გლეხები და მუშები, სოფლელნი თუ მოქალაქენი, სამღვდელონი და ერისკაცები, მეცნიერნი, მხედარნი, მწერალნი და ხელოვანნი, ყველა რწმენისა და პოლიტიკის მიმდევარნი. ჩვენმა ერმა დიდი მსხვერპლი გაიღო ამ ბრძოლებში. ამის გამო მრავალი იყვენ ისეთი ქართველები, კარგი მამულიშვილები, რომელნიც არ იზიარებდენ ამ ზომად აქტიური ბრძოლის გეზს; ეს ჩვენგან მეტად დიდ მსხვერპლს მოითხოვდა, ჩვენი წინაპრები მეტს მოთმინებას იჩენდენ, შემოსულ მტერს დროებით დაემორჩილებოდენ, მის დასუსტებას დაუცდიდენ, ან დამხმარესა და მოკავშირეს მოძებნიდენო, ამბობდენ ისინი, ასეთს აზრს, რასაკვირველია, დიდი წონა ჰქონდა საზოგადოთ, ხოლო ამ ჩვენი დროისათვის ასეთი შეხედულების ძალა სავსებით გააბათილა ბოლშევიკურმა პოლიტიკამ. საბჭოთა კავშირში მრავალია ისეთი კუთხე, სადაც ადგილი არ ჰქონია არავითარ აჯანყებას, მასსიურ შეიარაღებულ ბრძოლას, ხოლო კომუნისტური მთავრობა ამ კუთხეებშიდაც ისევე მასსიურად ჟლეტდა ხალხს, როგორც იქ, სადაც მის წინააღმდეგ აჯანყებები იმართებოდა. ჩვენს აჯანყებებში რომ დაიღუპენ, ათჯერ, თუ კიდევ მეტია იმათი რიცხვი, რომელთაც არავითარი კავშირი არ ქონია ამ აჯანყებებთან, ხოლო დახოცილ იქნენ თუ მოსპობილი დასასჯელ ბანაკებში, როგორც კულაკები, როგორც ყოფილი კაპიტალისტები, მხედრები თუ სხ., როგორც ბოლშევიკური რეჟიმისათვის არა საიმედონი, თუ საეჭვონი. აჯანყებებში დაღუპულთაგან იშვიათად თუ ვინმე გადარჩებოდა ამ მუდმივ სისხლიან წმენდებს. ხოლო, მიუხედავად ამისა, შედარებით მაინც უფრო დიდია ქართველების მსხვერპლი. ეს აიხსნება ბოლშევიზმის განსაკუთრებული ბუნებითა და ასევე ჩვენი ერის განსაკუთრებული თვისებებით. წარსულში ის ურიგდებოდა დროებით განაცად დაპყრობას, პოლიტიკური თავისუფლების შეზღუდვას, ხარკსა და ბე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გარეს, ხოლო დროებითაც ვერ აიტანა ბოლშევიზმის მიერ მისი ეროვნული და პიროვნული ცხოვრების ყველა ღირებულების დანგრევა, მონად და პირუტყვად გადაქცევა.

დღეს, ჩვენს აჯანყებებში დაღუპულთა ხსოვნის დღეს, ჩვენ უნდა მოვიგონოთ აგრეთვე ჩვენი მეზობლებისა და სხვა ერების საერთო მტრის წინააღმდეგ წარმოებულ ბრძოლაში დაღუპულნი. მოვიგონოთ აგრედვე ისინი ვინც ჩვენთვის, აქ უცხოეთში დახმარება და თანაგრძნობა გაუწევიათ და მით გაუადვილებიათ არსებობა და ჩვენი ეროვნული მიზნებისათვის ბრძოლა და მუშაობა. პოლონეთი, საქართველოს ძველი მეგობარი, ჩვენი დიდი დამხმარე და თანამგრძნობი, დღეს ჩვენსავე მდგომარეობაში ჩავარდნილი და თავის განთავისუფლებისათვის გმირულად მებრძოლი. საფრანგეთი, ეს მუდმივი დამცველი და მებაირალტრე ადამიანისა და ეროვნების უფლებისა, სადაც ქართული ემიგრაციის უმრავლესობამ მოიპოვა მეორე საბინადრო; ინგლისი, რომელიც მუდამ თანაუგრძნობდა წაქცეულ საქართველოს სახელმწიფოებრივად აღდგენას; გერმანია და იტალია, სადაც ჩვენ მუდამ ბლომად გვყავდა მეგობრები და თანამგრძნობნი. და კიდევ უფრო შორს — ამერიკა, რომელიც უკანასკნელ დროამდე განკერძოებული იყო მსოფლიო პოლიტიკიდან, ხოლო ამერიკიდან ნისი მეთაური და ხელმძღვანელი გახდა. აჩესონის სიტყვა ქართველებზედ ყოველ ქართველს ჩასწვდა გულის სიღრმეში. მაგრამ კიდევ ადრე, 26 წლის წინეთ, ამერიკის სენატის საგარეო კომისიამ დააყენა საქართველოს საკითხი, ბეჯითად გაეცნო მას და თავის შრომა დიდ წიგნად გამოსცა. გთხოვთ ფეხზედ ადგომით პატივი სცეთ ამ საქმეში მომუშავე, გარდაცვალებული ამერიკელებისა და ჩვენი თანამემამულის ვასილ დუმბაძის ხსოვნას (მთელი კრება ფეხზედ დგება). ამერიკიდან არა მარტო საბჭოთა კავშირის მიერ დაპყრობილი ერები, არამედ მთელი კაცობრიობა ირაზმება ბოლშევიკური მოსკოვის წინააღმდეგ, ვინაიდან დემოკრატიულმა მსოფლიომ შეიგნო, რომ ეს ბოლშევიკური საფრთხე წარმოადგენს მრისხანე საშიშროებას ყველა ერებისათვის, მთელი ნსოფლიოსათვის. აქ არის ჩვენი იმედი და მტკიცე რწმენა, რომ საქართველოს განთავისუფლებისა და აღდგენის საათი მოახლოვებულია.

დღეს ჩვენ მოკრძალებით ვიგონებთ საქართველოს დამოუკიდებლობისათვის თავგანწირულთა და წამებულთ. მათი გმირული თავდადება საამარადისოთ გადაეჯაჭვა საქართველოს ეროვნულ თავისუფლების დროშას და მისთვის მრავალ საუკუნეთა მანძილზე წარმოებულ ბრძოლებს. ამიტომ არ უნდა გვაკვირვებდეს, თუ დღეს, ამ დროშის ქვეშ დაღუპულთა ხსოვნის დღეს, ქართული ემიგრაცია ასე მტკვინეულად განიცდის ქართ. ემიგრაციის ერთი ნაწილის მიერ ჩვენი ეროვნული ბრძოლის გეზის შეცვლასა და საქართველოს დამოუკიდებლობის იდეისათვის მიუღებელ პოზიციებზედ გადასვლას. ეს არის ვისბადენის პოლიტიკა და ის უნდა შეწყდეს, გათავდეს, დაუყონებლივ, ახდილად და საბოლოოდ. ჩვენ აქამომდეც გვქონია უთანხმოებები და განხეთქილებანი, მაგრამ ყოველთვის მეორე ხარისხოვან, შინაურულ საკით-

ხელის გარშემო. ჩვენი ბრძოლის პოზიცია და დროშა ყოველთვის ერთი იყო და უდავო. ამიერიდან ჩვენი განხეთქილება აქაც შეიქრა, და ის ვერ ნოისპობა, და კიდევ უფრო გაღრმავდება, უკეთუ ეს ვისბადენის ხაზი არ მიატოვა იმ წრემ, რომელიც ამ გზას დაადგა. საშინელი სურათია, როდესაც ჩვენი განმათავისუფლებელი ბრძოლის მნიშვნელოვანი მოღვაწენი ამ ვისბადენისაკენ მიერეკებიან ქართულ და ჩვენი მეზობლების ემიგრაციებს, სასროლი ბაწრით დადიან და თუ ვინმეს სუსტსა და განმარტოებულად მდგარს დაინახავენ ამ ბაწარს გადაავლებენ თავზედ და ვისბადენში მიათრევენ. ეს უნდა გათავდეს, გათავდეს დაუყონებლივ, რომ კვლავ შევიკრიბოთ ბტკიცედ ჩვენი განმათავისუფლებელ ბრძოლის პოზიციებზედ და საერთო ძალით აღუდგინოთ ქართულ დროშას ის მაღალი დაფასება და ავტორიტეტი, რომელიც მოპოვებული ჰქონდა მას მახლობელთა, თუ შორეულთ თვალში თავგანწირულ ბრძოლებითა და უამრავი წმინდა მსხვერპლით.

ალ. ასათიანის სიტყვა რამოდენიმეჯერ იქმნა შეწყვეტილი კრების ერთსულოვანი ტაშით, მაგრამ სიტყვის უკანასკნელმა ნაწილმა კრების ერთს ნაწილში პროტესტები და რეპლიკები გამოიწვია.

### ბ. ბლიაძის სიტყვა

ოცი და რვა წლის წინეთ, ოცსა და რვა აგვისტოს ღამით, იმ კუთხეში საიდანაც მე ვლაპარაკობ, ყველა პარტიულმა არა-ლეგალურმა ორგანიზაციებმა ბუნებრივად სპანტანურად მიიჩნიეს თავი გაუქმებულად და მთლიანად დადგენ ეროვნული მოძრაობის საბჭოდრო ხელმძღვანელის, კოწია ჩაჩანიძის სრულს განკარგულებაში.

მის წინ ვამწკრივებულ რიგებში, წვიმიან ბნელეთში, მხოლოდ ადგილობრივი და განოცდილი თვალი თუ გაარჩევდა ქართველი სოციალ-დემოკრატების, ქართველი ეროვნულ-დემოკრატების, ქართველი ფედერალისტების, ქართველი ესერების და თქვენ წარმოიდგინეთ ნუ გაგიკვირდებათ, ორიოდ ქართველი კომუნისტების ფერებს და სახეებს.

განთიადისას, ქუჩის უწესრიგო და ხელჩართულ ბრძოლაში, ამოშავალი მზის შუქზე, ეს ფერები სულ გაქრენ. აქ თქვენ დაინახავდით მხოლოდ, რომ ჩოხა შეკალთულ, დინჯათ და ფრთხილათ მოძრავ ქართველ ბლეხს წინ ულსწრებდა სიცოცხლის ეშხითა და ბრძოლის ენერგიით აცახცახებული შავბლუზიანი გიმნაზიელი; შავათ შემურულ მალაროს შუშას მხარი-მხარ ედგა ფერდაკარგული მასწავლებელი; ზორბა, ახოვან ყოფილ ოფიცრებს კვალში მისდევდენ სუსტი ქალებიც. რამოდენიმე საათის შემდეგ, ვანთავისუფლებული ქალაქი, აზღვავებული ხალხით გამარჯვების, ეროვნული ენტუზიაზმის ტალღებში ლაღობდა. არც ერთ ჩვენთაგანს არ მოუვიდოდა იმ ჟამათ უხეში და თავხედური აზრი ეთქვა ან ეფიქრა, რომ ეს ხალხი მე, ან ჩემ პარტიას ეკუთვნისო. (საერთო ტაში). პირიქით, თვითოეულ ჩვენთაგანს ჰქონდა ნათელი შეგნება, წმინდა რწმენა იმისა, რომ ჩვენც და ჩვენი პარტი-

ებიც ამ ხალხს ვეკუთნოდით. (ტაში). ჩვენი გული ივსებოდა უსაზღვრო კმაყოფილების და სიამაყის ვრძნობით იმ სურათის ხილვაზე, რომ პატარა საქართველომ მარტოდ-მარტო აღგა მსოფლიოს ტატნობზე, მსოფლიოს წინაშე და მაჟისტრალური სილა გააწნა ჩრდილოეთის მოლოხს, რუსეთის იმპერიალიზმს და მის საზიზღარ რეჟიმს; საბჭოების და ალმასკომების უზურპატორულ ხელისუფლებას! (საერთო და ხანგრძლივი ტაში).

მას შემდეგ ოცდარვაჯერ თორმეტმა თვემ განვლო, მაგრამ ამ დღეს წლების ობი და ბეტერი ვერ ეკარება. აგვისტოს აჯანყება ისევ ცოცხლათ ისევ ცინცხლათ გვიდგია თვალწინ. ნუთუ ეს ისტორიული დემანტი არ არის მათთვის, ვისაც ის თავიდანვე ავანტიურათ ეჩვენებოდა (ტაში).

28 აგვისტო იყო ეროვნული საჭიროება, ისტორიული მოთხოვნილება, ისტორიული აუცილებლობა. ის აკლდა და საჭიროდა 26 მაისის აქტს. მისმა მდუღარე სისხლმა სამუდამოთ გაათბო და გაანოყიერა ნოე ჟორდანიას აკანკალებულის ხმით სასახლიდან გადმოსროლილი, ქართველის სიბრძნითა და ნებისყოფით ნაკვეთი სიტყვები: „ამიერიდან საქართველო დამოუკიდებელი სახელმწიფოა“. (ტაში). აგვისტოს გმირებმა თავდადებით, სიკვდილით დათრგუნვეს ეროვნული სიკვდილის საშიშროება. მათი თავგანწირვით დაამტკიცეს ქართველი ერის ცხოველმყოფელობა და სამუდამოთ მოჰკლეს ბოლოტი იმ ვი, ვისაც საქართველოს დამოუკიდებლობა შემთხვევითი ამბავი ან ტაქტიკის საკითი ეგონათ. (ხანგრძლივი ტაში).

28 აგვისტოს ისტორიული მნიშვნელობა არ ამოიწურება მარტო წარსულის შესწორებით, დანაკლისის შევსებით. მისი ცეცხლი უფრო მაღლა, უფრო შორს ანათებს მომავლისკენ სავალ გზებს. მისი ფიზიკური დამარცხებაც სავსეა საბოლოო გამარჯვების გაკვეთილებით: 1) რაკი მარტოდ-მარტო სუსტი ვართ ასჯერ და ათასჯერ ძლიერ მტერთან, საჭიროა და აუცილებელია მოკავშირეთა ძებნა. ჩვენი ბუნებრივი მოკავშირეა ყველა ჩვენს ბედში ბყოფნი, რუსის ხიშტით დაპყრობილი, რუსის ჩექმის ქვეშ მგმინავი ერები: ათმხები, უკრაინა, მთა, აზერბეიჯანი, თურქესტანი და სხვა. 2) ტყვეთ ქმნილი და ხელ-ფეხ შეკრული ერები მაინც თავს ვერ დაიხსნიან ურიცხვ და კბილებამდე შეიარაღებულ რუსის ჯარის და პოლიციისგან. საჭიროა და აუცილებელი კავშირი იმ ვარეშე ძალებთან, ვინც საკუთარი თუ საკაცობრიო ინტერესები შეგნებით, ადრე თუ გვიან, დღეს თუ არა ხვალ, ხვალ თუ არა ზეგ, იძულებული გახდებიან წინააღუდგენ რუსეთის იმპერიალიზმის ალვირ-ახსნილ ექსპანსიას. აგვისტოს დღეების მოგონება ავალებს ყველა ქართველს, სადაც არა უნდა იყოს ემზადოს ამ დღისათვის, რომ გადამწყვეტ ჟამს იმოქმედოს ისე, რაც დააჩქარებს და გაადვილებს მისი და მოკავშირე ქვეყნების გადარჩენას და განთავისუფლებას. ამ დღემდე კი მისი ვალია არ ჩაიდინოს არაფერი, რაც გაძლიერებს რეპრესიებს და მისცემს მტერს საბაბს ქართველი ხალხის ფიზიკურათ ვანადგურების.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ სალი და განმანთავისუფლებელი ეროვნული პოლიტიკის ქვაკუთხედს კი იძლევა ისევ 28 აგვისტოს აჯანყებულთა სულიერი და ორგანიული ერთობა. ერთობა, რომელიც ზვიადმა და გამხეცებულმა მტერმა აგვისტო-სექტემბრის ჯვარედინზე სამარადისოთ ჩაკირა და ჩააცემენტა ქართველის სისხლით. რაც დრო გადის მით ძნელი, რაც დრო გავა მით უფრო შეუძლებელი გახდება ჩვენი დამოუკიდებლობის საწინდრების პარტიული ეტიკეტებით განცალკევება. აბა ვისა შეეძლება გაჰკვეთოს ორათა კოტე აბხაზის რაინდული სიბრძნისა და ვალიკო ჟულელის, სულსა და ხორცში წამებული ვალიკოს რაინდული მამაცობის შარავანდედი?

აბა და ვის ექნება გული დააშოროს ნოე ხომერიკის ლეგიონის სისხლით ნაღები დაფლეთილი ჩვენი დროშა, მიტროპოლიტ ნაზარისა და ჩვენი წმინდა მამების, ტყვიით დაცხრილულ ვაზის ჯვრისაგან?

ვის ექნება გამბედაობა, სცადოს გარიგება - განაწილება დაკარგულ, ძმათა საფლავებში, საერთო ორმოებში ერთმანეთზე დამცხვარი საყვარელი ძვლების, ეროვნული საუნჯის, რომელმაც ჩვენი ერის უმაღლეს მორალურ ავტორიტეტს ათქმევინა და დააწერინა შემდეგი საანდერძო, საშვილიშვილოთ გადასაცემი სიტყვები: „ათი ათაზე მეტი პირია საფლავები ჩვენ შემოგვყურებენ და მოგვიწოდებენ ერთგულებისკენ. (ტაში). საჭიროა დაცულ და განმეორებულ იქნას ფიცი განიბალისა!“ (ხანგრძლივი ტაში).

აგვისტოს აჯანყებულები არავის არ აპატიებენ ამ ერთგულობის დარღვევას და ამ ფიცის გატეხას! (ტაში). მათი აჩრდილნი არავის ნებას არ მისცემენ დამოუკიდებლობის საკითხში, ყოფნა არ ყოფნის, პრინციპის საკითხში რაიმე გახრას ან გადახვევას (ტაში). ეს იმდენათ მართალია, რომ ნტერმაც, მოაისხლე მტერმაც კი შეიგნო, მისი ხელი აკანკალდა და ნომინალური დამოუკიდებლობა თვალთმაქცურათ, მაგრამ მაინც დაგვიტოვა საჯაროთ და საქვეყნოთ. ლარუსში დღესაც კი სწერია: „ლა ეორეი რეპუბლიკ სოვეტიკ, ტეორიკმან ენდეპანდანტ, კაპიტალ ტბილისი“. და ჩვენც მათთან ერთად არავის ნებას არ მივცემთ, რომ ეს თეორიული დამოუკიდებლობა წაიღოს და რალაც უფრო თეორიულ, უფრო პრობლემატურ, მახინჯ პლებისციტებზე გადაგვიყიდოს. (მჭეხარი ტაში).

---

## ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲘᲡ ᲔᲠᲗᲐ ᲙᲝᲜᲤᲔᲠᲔᲜᲪᲘᲐ

ხანგრძლივი სამზადისის შემდეგ, ამა წლის ქრისტეშობისთვის 11-ს, მიუნხენში, «Haris» hötel-ის მარტივად მორთულ დარბაზში, გაიხსნა კავკასიის ერების კონფერენცია, რომლის სხდომები ხუთი დღე გაგრძელდა. კოფერენციას დაესწრენ: ანგორა-ისტამბულიდან ჩამოსული და ცენტრალური ევროპიდან აზერბეიჯანელთა ნაციონალური ცენტრის, 5 რწმუნებული; პარიზიდან და მიუნხენიდან ქართული ერ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოვნულ - პოლიტიკური ცენტრის დელეგატები: ბ.ბ. რ. გაბაშვილი, ელ. პატარიძე, დავ. ვაჩნაძე, ლ. ზურაბიშვილი.

ლონდონიდან ჩამოსულნი და გერმანიაში მყოფნი ჩრდილო-კავკასიის ეროვნული კომიტეტის 5 წარმომადგენელი. პირველი სხდომა გახსნა, მომწვევი კომისიის სახელით ბატონ მაგომამ, რომელმაც აღნიშნა კონფერენციის მიზანი, დანიშნულება და კონფერენციის უსურვა ნაყოფიერი მუშაობა. პრეზიდიუმში არჩეულ იქმნენ თავმჯდომარეებათ ბბ-ნი მამედ - რასულ - ზადე, რ. გაბაშვილი და მაგომა; მდივნებათ სელიმ აგასიბეი, ბაი - ტუგანი და ლ. ზურაბიშვილი. კონფერენცია ირჩევს ხუთ პირისაგან შემდგარ სამანდატო კომისიას, რომელსაც დელეგატები აბარებენ მათი ეროვნული ცენტრიდან მიღებულ მანდატებს. ამის შემდეგ წაკითხულ იქმნა მიღებული მისასალმებელი დეპეშები და წერილები. კონფერენცია ფეხზედგომით და სარწმუნოებრივი სიჩუმით იგონებს კავკასიის ეროვნული სახელმწიფოებრივი აღდგენისათვის უსწორო ბრძოლებში თავგანწირულთ. ამის შემდეგ კონფერენცია ამტკიცებს თავის მუშაობის წეს - რიგს.

შემდეგ სხდომებზედ კონფერენციამ მოისმინა, ჩრდილო - კავკასიის ნაციონალური კომიტეტის თავმჯდომარე მაგომას საინფორმაციო ხასიათის მოხსენება, ადერბეიჯანის ეროვნულ ცენტრის თავმჯდომარე რასულ - ზადეს პოლიტიკური ხასიათის ვრცელი და დასაბუთებული მოხსენება და ქართველი ეროვნულ - პოლიტიკური ცენტრის თავმჯდომარე რ. გაბაშვილის მოხსენება — კავკასიის პრობლემათა შესახებ. მომხსენებელნი ვრცლათ და ამომწურავათ შეეხენ კავკასიის და საერთაშორისო მდგომარეობას და პრობლემებს. შემდეგ მოსმენილი იქმნა რამოდენიმე მოკლე მოხსენება, კავკასიის ერებისა და ხალხების შინაური ძალებისა და მათი ერთი - ერთობის შესახებ.

მოხსენებათა შესახებ აზრთა გაცვლა - გამოცვლის დროს მონაწილეობა მიიღო კონფერენციაზე დამსწრე თითქმის ყოველმა წევრმა. სისწორითა და ობიექტიურათ შეფასებულ იქმნა კონფერენციაზე მონაწილე ეროვნული ცენტრების ძალები და შესაძლებლობანი; ხაზგასმული და დაფასებულ იქმნა კავკასიის ერების განმანთავისუფლებელი ბრძოლის საერთო პოზიცია, რომელზედაც ემყარებიან ამ კონფერენციის მონაწილე ორგანიზაციები. მოხდა მათი საერთო სულიერი და პოლიტიკური ერთობის გამოაშკარავება. ობიექტიურათ შეფასებულ იქმნა ამ კონფერენციის გარეთ, დროებით დარჩენილი ძალები, როგორც ამავე პოლიტიკურ პლატფორმაზე მდგომნი, ისევე სხვა მოწინააღმდეგე პოლიტიკურ პოზიციებზე, შეცდომით შემდგარნი. გამოითქვა სურვილი და რწმენა ახლომომავალში, ყველა კავკასიური პოლიტიკური წრეების, კონფერენციის მიერ არჩეულ საერთო ეროვნულ-პოლიტიკურ სარბიელზედ გაერთიანებისათვის.

მიუხედავათ მეორეხარისხოვან საკითხებისადმი აზრთა და შეხედულებათა სხ. და სხვაობისა, კონფერენციაზე არც ერთი წუთით არ დარღვეულა დასაწყისიდანვე დამყარებული სულიერ - პოლიტიკურ ერთობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოხსენებათა და მათ შესახებ აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ მოსმენილ შემდეგ, კონფერენცია ერთხმათ აირჩევს არჩეულ იქმნას კავკასიის დამოუკიდებლობის კომიტეტი.

დასწრეთა სექციების მიერ წარმოდგენილი დეკლარაციებისა და რეზოლიუციების წინასწარ განსახილველათ კრება ირჩევს სამი წევრისაგან შემდგარ საარედაქციო კომისიას.

ზეექვსე სხდომაზე მოსმენილ იქმნა, კომისიის მიერ წინასწარ განხილული, ქართ. ეროვნულ-პოლიტიკური ცენტრის სექციის მიერ წარდგენილი პროექტი, კონფერენციის საერთო დეკლარაციისა, რომელსაც მოახსენებს ბ. ლ. ზურაბიშვილი. ცოტა შესწორებისა და დამატებების შემდეგ, კონფერენცია ერთხმათ ამტკიცებს მას. ადერბეიჯანის სექციის სახელით ბ-ნ რასულ-ზადე კითხულობს კომისიის მიერ წინასწარ განხილულ, „ამერიკული კომიტეტისა“ და „მიუნხენის საკოორდინაციო ცენტრის“-სადმი კონფერენციის დამოკიდებულების შესახებ რეზოლიუციის პროექტს, რაც მიღებულ იქმნა ცოტაოდენი შესწორებით. კონფერენცია ერთხმათ იღებს ჩრდილო-კავკასიელთა სექციის სახელით, კომისიაში განხილულს, „გაერთიანებულ ერთა ლიგისადმი“ გასაგზავნ, მიმართვის პროექტს, ჩრდილო-კავკასიელთა რამოდენიმე ტომის სრულიათ განადგურებისა და გადასახლების შესახებ.

არჩეულ იქმნა საარედაქციო კომისია, მიღებული დეკლარაციისა და რეზოლიუციების საბოლოოთ რედაქციისა და მათი უცხო ენებზედ სათარგმნელათა და დასაბეჭდათ.

მეშვიდე სხდომაზედ განხილული და მიღებული იქმნა კავკასიის დამოუკიდებლობის კომიტეტის წესდების ძირითადი მუხლები. და დადგენილი იქმნა დაარსდეს კომიტეტი 15 კაცისაგან, რომელთა დაუყოვნებლივ დასახელება ეთხოვოს ეროვნულ ცენტრებს. ამ პლენუმიდან გამოყოფილ იქმნა პრეზიდიუმი 6 წევრის შემადგენლობით. კომიტეტის შეკრებამდე მისი მოვალეობის აღსრულება დაეკისრა კონფერენციის თავმჯდომარეებს. კავკასიის დამოუკიდებლობის კომიტეტს ექნეს საკუთარი ბეჭდვითი ორგანო, კავკასიური და უცხო ენებზედ „გაერთიანებული კავკასია“.

დადგენილი იქმნა მეორე დღისათვის მოეწყოს „პრეს-კონფერენცია“, კავკასიის კონფერენციის მუშაობის შედეგების გასაცნობათ.

კონფერენციის თავმჯდომარე ბ-ნი რასულ-ზადე მოკლე პოლიტიკური და ფრიქნობიარე სიტყვით აღნიშნავს კონფერენციის მუშაობის შედეგებს და დადგენილებათა რეალიზაციისათვის მოუწოდებს კავკასიის ერთა ყველა ცოცხალ ძალებს.

ამით დაიხურა კონფერენციის ოფიციალური სხდომები.

## კავკასიური კონფერენციის დეკლარაცია

1952 წლის 11 დეკემბრიდან 16 დეკემბრამდე მიუნხენში შეიკრიბნენ: **ადერბეიჯანულ ეროვნულ ცენტრის, ჩრდილო-კავკასიერ ეროვნულ კომიტეტის და ქართულ ეროვნულ-პოლიტიკური ცენტრის**

ეროვნული ბიბლიოთეკა

სრულუფლებიანი წარმომადგენლები, რათა დაემუშავებინათ და განეხილათ, 1920 - 21 წლებში საბჭოთა რუსეთის (R.S.S,R.) მიერ დაპყრობილ და მას შემდგომ სამხედრო ოკუპაციის ქვეშ მყოფ **კავკასიურ** რესპუბლიკათა დამოუკიდებლობის აღსადგენად წარმოებული ბრძოლის საერთო საქმიანი პროგრამა.

კონფერენციამ სრულ შეთანხმებას მიაღწია და შემდეგი დეკლარაციის გამოქვეყნება დაადგინა:

1) საერთაშორისო კონიუნქტურის ყურადღებით განხილვის შემდეგ, კონფერენციამ ხაზი გაუსვა იმ ფაქტებს, რომ მოსკოვის იმპერიალისტური ულელი, რომელიც კავკასიის ერთა გარუსებას ცდილობს, თან და თან და შეუჩერებლივ მძიმდება და ეს მოვლენა იწვევს ოკუპანტთა მიმართ, ამ ერების ბრძოლის პროგრესიულ გაძლიერებას.

ამის გამო, კონფერენციას აუცილებლად მიაჩნია, ეროვნულ ცენტრების მოქმედებათა მთლიანობის დაუყონებლივი განხორციელება, კავკასიის რესპუბლიკათა (ადერბეიჯანი, სომხეთი, ჩრდილო კავკასია და საქართველო) უპირობოთ სუვერენიტეტის აღსადგენად და ამისათვის წარმოებულ ბრძოლის გასაძლიერებლად.

2) კონფერენცია სთვლის რომ კავკასიელ ერთა თავისუ-ლებისათვის ბრძოლის გამარჯვებით დაგვირგვინების შემდეგ, ამავე ხალხთა სასიცოცხლო ინტერესია, კონფედერატიულ საფუძვლებზე დაყრდნობით, მათი ურთიერთ კავშირის გაძლიერება. ამ მიზნით კონფერენცია რჩევას იძლევა, კავკასიელთა შორის ერთობის იდეის განსამტკიცებლად ენერგიული მუშაობა გაიწიოს და ხელი შეუწყოს მის გავრცელებას გარეშე წრეებშიც.

3) კონფერენცია, თავისუფალ მსოფლიოს ყურადღებას აპყრობს იმ ფაქტისაკენ, რომ კავკასიური პრობლემა ინტერნაციონალური რიგის საკითხს წარმოადგენა და მოაგონებს მას, რომ საბჭოთა რუსეთის აგრესიული პოლიტიკა 1939 წლიდან კი არ დაწყებულა, პოლონეთისა და ბალტიის ქვეყნების დაპყრობით, არამედ სინამდვილეში 1919 წლიდან, უკრაინისა და შემდეგ კავკასიელ ერების დაპყრობით, რომელნიც აგრეთვე ცნობილნი იყვნენ უცხო სახელმწიფოების მიერ.

4) კონფერენცია აცხადებს, რომ კავკასიის ერები სოლიდარულნი არიან ცივილიზებულ მსოფლიოსთან და ემყარებიან ადამიანის უფლებათა უნივერსალურ იდეალს და ატლანტიკის ქარტიაში გამოსახულ ერთა თავისუფლების პრინციპს.

5) კონფერენცია მოწოდებით მიმართავს ერთა ორგანიზაციას (ONU) და სთხოვს მას სასწრაფო ზომების მიღებას, იმ აღმოფხვრისა და ამოწყვეტის (Génocide) აღსაკვეთად, რომელსაც განიცდიან განსაკუთრებით, კავკასიის ერები.

6) ზემოდ მოყვანილ შეხედულებებზე დაყრდნობით, კონფერენცია აარსებს კავკასიურ პოლიტიკურ ცენტრს, **„კავკასიის დამოუკიდებლობის კომიტეტი“**-ს სახელწოდებით და მას ანდობს:

ა) უცხოელთა წინაშე წარმომადგენლობას და კავკასიელ ერთა თავისუფლებისათვის ბრძოლის ხელმძღვანელობას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ) კავკასიელ ერთა სულში ღრმად გამჯდარ თავისუფლების მოყვარეობის გავლენით, კონფერენცია, ბუნებრივად, მხარში უდგება თავისუფალ მსოფლიოს, რომელსაც ამერიკა შეერთებულ შტატების და დასავლეთ ევროპის დიდი დემოკრატები ხელმძღვანელობენ, და ავალებს კავკასიის დამოუკიდებლობის კომიტეტს, აქტიური თანამშრომლობას ამ ანტიბოლშევიკურ ბრძოლაში, რომელსაც აწარმოებენ საბჭოლმწიფოები და ინტერნაციონალური ორგანიზაციები, რომელთა სიმპატიას და დახმარებაზედ დაპყრობილი ერები დიდ იმედებს ამყარებენ.

გ) იმავე მოსაზრებებით და ანტიბოლშევიკური ფრონტის გაძლიერების მიზნით, კონფერენცია ავალებს კავკასიის დამოუკიდებლობის კომიტეტს, რათა შეუთანხმოს თავისი მოქმედება ალმოსავლეთ ევროპის, თურქესტანის და სხვათა განმათავისუფლებელ მოძრაობებს, რომელნიც მსგავსსავე პირობებში ცდილობენ თავიანთი დამოუკიდებლობის მოპოვებას. ამ ერთა თავისუფლების აღდგენა, მნიშვნელოვნათ ხელს შეუწყობს მთელს მსოფლიოში დემოკრატიულ წეს-რიგის დამყარებას.

დ) კონფერენციას საჭიროდ მიაჩნია განსაკუთრებით აღნიშნოს, რომ კავკასიელ ერებს არავითარი მტრობა არ აქვთ რუსის ერისადმი, და რომ ისინი იბრძვიან რუსული იმპერიალიზმისა და ბოლშევიზმის წინააღმდეგ, იმ რწმენით, რომ დესპოტიური რეჟიმის დამხობა მოიტანს, არა მხოლოდ კავკასიის ერთა თავისუფლებას, არამედ თვით რუსის ერისაც.

კონფერენცია, კავკასიელ ერთა ფიზიკურ და მორალურ წამების ღრმა განცდით, ძმურად ნიესალმება კავკასიის მშვილებს, რომელნიც 32 წლის განმავლობაში საბჭოების ძალმომრეობას ებრძვიან მშობლიურ მიწაზე. კონფერენცია მოკრძალებით მუხლს იყრის მათი ტანჯვა-წამების წინაშე და დიდებას მიუძღვნის ბრძოლაში დაცემულ გმირებს, რომელთა სისხლი ჩვენი ერების თავისუფლების აღდგენის საწინდარია.

მიუნხენი, 15 ქრისტეშობისთვე 1952 წელი.

კონფერენციის პრეზიდიუმი:

**მ. ე. რასულ-ზადე** ადერბეიჯანის ეროვნული ცენტრის თავმჯდომარე.
**ა. მაგომა** ჩრდილოეთ კავკასიური ეროვნული კომიტეტის თავმჯდომარე.
**რ. გაბაშვილი** ქართული ეროვნულ პოლიტიკ. ცენტრის თავმჯდომარე.

**კონფერენციის დამოკიდებულება ანტიბოლშევიკური ბრძოლის საკოორდინაციო ცენტრისადმი.**

კონფერენცია, აღფრთოვანებულია კავკასიური ორგანიზაციების მტკიცე გადაწყვეტილებას, საბჭოთა ტირანიის დასამხობად წარმოებულ გადამწყვეტი ბრძოლისათვის, მიესალმება ამ მიზნით თანამშრომლობას ყველა ეროვნულ და ინტერნაციონალურ ორგანიზაციებთან, რომელნიც ცნობენ კავკასიის რესპუბლიკების დამოუკიდებლობის აღდგენის

ეროვნული ბიბლიოთეკა

უფლებას და აგრეთვე სხვა, ყოფილ რუსეთის იმპერიის ტერიტორიაზედ დაარსებულ სახელმწიფოებისას.

ამის მიხედვით კონფერენცია მწუხარებით აღნიშნავს თანამშრომლობის შეუძლებლობას ანტიბოლშევიკურ საკოორდინაციო ცენტრთან, რომელიც დაარსდა მიუნხენში, ამა წლის 16 ოქტომბერს, და რომელიც ისე, როგორც ვისბადენის შეთანხმება (1951 წ. ნოემბრის 7), უარყოფს კავკასიის რესპუბლიკელების დამოუკიდებლობის აღდგენის უდავო უფლებას.

ა. ბ. ბ. საკოორდინაციო ცენტრი (კა-ცა-ბი), რომელიც მხოლოდ ბალტიის ქვეყნებზედ ავრცელებს ასეთს უფლებას, იმყოფება ახლილ წინააღმდეგობაში ისტორიულ ფაქტებთან და 1918 წ. დამოუკიდებლობის აქტით აღბეჭდილი კავკასიის ხალხთა ნებისყოფასთან.

კონფერენცია ჰგმობს იმ კავკასიელების მოქმედებას, რომლებმაც უცნობი და ad-hoc შექმნილი ორგანიზაციების სახელით ხელი მოაწერეს ვისბადენში და მიუნხენში შეთანხმებებს ისეთ ორგანიზაციებთან, რომელნიც არ ცნობენ კავკასიის რესპუბლიკების დამოუკიდებლობის აღდგენის უდავო უფლებებს და მით ის რუსეთის შინაური საკითხად გახადეს.

კონფერენცია გამოსთქვამს იმედს, რომ საბჭოთა კავშირის ეროვნულ პრობლემათა გარშემო მოღვაწე წარმომადგენელნი სახელმწიფოებისა და ორგანიზაციების, და მათ შორის ამერიკული კომიტეტი, იხელმძღვანელებენ თავის მოღვაწეობაში ამერიკული დემოკრატიის კეთილშობილი პრინციპებით, შესახებ ერთა თვითგამორკვევის უფლებისა, რამაც ატლანტიკურ ხარტიაში მოიპოვა თავისი გამოსახულება.

## ტ ე ლ ე გ რ ა მ ა

### ბატონ გენერალურ სეკრეტარს გაერთიანებულ ერთა ორგანიზაციისა, ნიუ - იორკში

კავკასიის ერთა ხელმძღვანელ პოლიტიკურ ორგანიზაციების წარმომადგენელთა კონფერენცია, მოწვეული მიუნხენში საერთო კავკასიურ პოლიტიკურ ორგანოს შექმნის მიზნით, მოგმართავთ თქვენ, ბ. გენერალურო სეკრეტარო, თხოვნით, რათა დასვათ გაერთიანებულ ერთა გენერალურ ასამბლეის წინაშე საკითხი შესახებ ხალხის ამოწყვეტისა და მოსპობის, რაც საბჭოთა მთავრობამ მოახდინა 1944 წელს კავკასიაში, ჩეჩენთ - ინგუშეთისა და ბალკარეთ - ყარაჩაის მცხოვრებთა მიმართ.

ამასთან ერთად კონფერენცია მოგახსენებს ცნობათ, რომ ტერორი კავკასიაში ამ არა ადამიანური ბოროტ - მოქმედებათა შემდეგაც არ შეწყვეტილა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ც ნ ო ბ ა პ რ ე ს ი ს თ ვ ი ს

აზერბაიჯანის, საქართველოს და ჩრდილო კავკასიის პასუხისმგებელ ორგანიზაციების სრულუფლებიანი წარმომადგენელნი შეიკრიბენ 11 - 16 დეკემბერს მიუნხენში, კონფერენციაზედ, კავკასიის რესპუბლიკების განთავისუფლებისა და მათი დამოუკიდებლობის აღდგენის საკითხების განსახილველად. კავკასიის რესპუბლიკების ოკუპაცია მოახდინა საბჭოთა კავშირმა 1920 - 21 წ.წ., მიუხედავათ იმისა, რომ მათ მოპოვებული ჰქონდათ საერთაშორისო ცნობა და თვით საბჭოთა კავშირის ცნობაც.

კონფერენციაზე მიღწეულ იქმნა სრული შეთანხმება ყველა, მის წინაშე დასმულ საკითხებზედ. კონფერენციამ დაადგინა დაარსება კავკასიის განმათავისუფლებელი კომიტეტისა, რომელსაც დაეკვალა საგარეო წარმომადგენლობა და კავკასიის ერთა განმათავისუფლებელი ბრძოლის საერთო ხელმძღვანელობა.

კონფერენცია, ადასტურებს რა კავკასიის ორგანიზაციების მტკიცე გადაწყვეტილებას საბჭოთა ტირანიის დამხობისათვის აქტიურ, გადაწყვეტ ბრძოლის წარმოების შესახებ, მიესალმება თანამშრომლობას ყველა ძალებთან, რომლებიც ირაზმებიან ამ მსოფლიო ბოროტების წინააღმდეგ.

რაც შეეხება კონფერენციის დამოკიდებულებას საკოორდინაციო ცენტრთან, რომელიც დაარსდა მიუნხენში 16 ოქტომბერს 1952 წელს, კონფერენცია მწუხარებით აღნიშნავს, რომ მისთვის შეუძლებელია თანამშრომლობა ამ ორგანოსთან, რომელიც უარყოფს კავკასიელების უდავო უფლებას აღადგინოს თავისი დამოუკიდებელი რესპუბლიკები — აზერბაიჯანი, სომხეთი, საქართველო და ჩრდილო კავკასია. ამავე დროს კონფერენცია უაღრესად საჭიროდ რაცხს თანამშრომლობას აღმოსავლეთ ევროპის, თურქესტანისა და სხ. ხალხთა ეროვნულ ორგანიზაციებთან.

### პრეს - კონფერენცია

კავკასიის ერების კონფერენციის ოფიციალური სხდომის დამთავრების შემდეგ, ამავ წლის ქრისტეშობისთვის 16-ს საღამოს 6 საათზე მიუნხენში ოტელი **Bayerische Hof**-ის საზეიმო დარბაზში, გაიმართა პრეს - კონფერენცია, რომელსაც დაესწრო 100 კაცამდე ამერიკული, ინგლისური, გერმანული, ფრანგული და სხ. უცხო ქვეყნების, პრესისა და რადიოს სადგურების წარმომადგენელნი. დაესწრენ ჩვენს ბედში მყოფი დაჩაგრული ერების — უკრაინელების, ბალტიის ქვეყნების, პოლონელების, ჩეხების, რუმინელების, იუგოსლაველების, ყაზახების, თურქესტანელებისა და სხვათა ჟურნალისტები და მოლვაწენი. მათ შორის ამერიკიდან ჩამოსული უკრაინელი კონგრესმანები.

დარბაზი მორთული იყო კავკასიის ნაციონალური დროშებით. რომლის ქვეშ საგანგებო მაგიდაზე ისხდნენ კავკასიის კონფერენციის წევრნი. პატარა დროშებითა და ყვავილებით მორთული მაგიდების

ეროვნული ბიბლიოთეკა

ირგვლივ მოპატიჟებული სტუმრები. კონფერენციის თავმჯდომარე ბ. რასულ-ზადემ მოკლეთ ამცნო პრესისა და პოლიტიკური წრეების წარმომადგენლებს კავკასიის ერების კონფერენციის მთავარი მიზანი, მისი მუშაობის შედეგები და კავკასიის კომიტეტის დაარსება. წაკითხულ იქმნა გერმანულ და ფრანგულ ენებზედ კონფერენციის მიერ მიღებულ დეკლარაცია და რეზოლიუციები, რომელთა ტექსტები გერმანულ, ფრანგულ და ინგლისურ ენებზედ დაურიგდათ დამსწრეთ. ინფორმაციის მიზნით დაინტერესებულმა ჟურნალისტებმა, მრავალი შეკითხვები მისცეს კონფერენციის პრეზიდიუმს, რომლის წევრებმა გარკვეული პასუხით დააკმაყოფილეს მათი ცნობისმოყვარეობა. გამასპინძლების შემდეგ პრეს-კონფერენცია საერთო კმაყოფილებით დაიშალა. მეორე დღითვე საკუთარი კომენტარიები უძღვნეს კავკასიის ერების მიმართვის კონფერენციას გერმანიისა, ინგლისისა და იტალიის რადმოს სადგურებმა. კონფერენციის შესახებ ცნობები მოათავსეს და წერილები უძღვნეს გერმანულმა და სხვა ქვეყნების პრესამ.

---

## ქართული ევროპიული მოძრაობა

ევროპის გაერთიანებისათვის მუშაობა სწრაფად იზრდება. თეორიებისა და გეგმების ხანა უკვე განვლილია, და ამ პოლიტიკურ და ეკონომიურ გაერთიანების ზოგიერთი ელემენტების განხორციელება იწყება. ამ დიდს საქმეში ჩაბმულნი არიან ევროპიელ ხალხების მმართველი ძალები, ხოლო მათთან ერთად მნიშვნელოვან მუშაობას ეწევიან საზოგადოების ფართე წრეებიც, რომელნიც ამისთვის საგანგებოდ საზოგადოებებს აარსებენ.

ტყვეობაში მყოფი ქართველი ერი მოკლებულია ამ დიდს საქმეში მონაწილეობის საშვალებას, ხოლო უცხოეთში გაფანტულ მის ემიგრაციას აქვს ამის შესაძლებლობა და მისი მოვალეობაა სათანადო ყურადღებით მოეპყრას საქართველოს მომავლისათვის ამ ფრიად მნიშვნელოვან წამოწყებას.

დასავლეთთან დაახლოვება და დაკავშირება საქართველოს ტრადიციული გეზია, ხოლო წარსულ საუკუნეთა განძილზე მრავალი გარდაუვალი დაბრკოლებები გეიკეტავდენ დასავლეთთან დაახლოვების გზებს. ასეთი ვითარება საფუძვლიანად შეიცვალა მსოფლიოში მომხდარ დიდ გარდატეხათა მეოხებით. დღეს თვით დასავლეთი ჰქმნის ასეთ პოლიტიკურ და ეკონომიურ გაერთიანებებს, რომლშიდაც უკვე მოექცენ ჩვენი მეზობელი ოსმალეთი და საბერძნეთი, და მით საქართველოსა და კავკასიის საზღვრებს მიუახლოვდენ.

ქართველ მეცნიერთა თაოსნობით არსდება ქართულ ევროპიული მოძრაობა, რომელიც ისახავს მიზნათ, ამ დიდს საქმეში მონაწილეობის მიღებას. ეს საქმე არ უნდა იქცეს რაიმე ჯგუფურ და პარტიულ უთან-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხმობათა საგნათ, ის ამის გარეშე და ამაზედ მაღლა დგას. ამის გამო სრული იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ის მიიზიდავს უცხოეთში მყოფ ქართველების ფერთე წრეებს და მათს ყოველგვარ დახმარებას.

თაოსანთა წრემ უკვე გამოსცა წიგნაკი, რომელიც მეტად ნათლად გამოხატავს ამ მოძრაობის მიზანსა და მისი განაღდების უდიდეს მნიშვნელობას ქართველი ერისათვის. საჭიროა მისი გულდასმითა და მრავალჯერ გადაკითხვა. ჩვენ აქ მოგვყავს მისი შესავალი.

## რა ხდება ჩვენს ირგვლივ?

მეორე მსოფლიო ომმა სრულიად ახალი პოლიტიკური მდგომარეობა წარმოშვა. მან ძირითადათ შესცვალა ერთა პოლიტიკური სტრუქტურა, გამოაცალა ამ ძალთა განაწილება და განწყობილება, რომელიც ბევრთა შეუმჩნეველად პირველი ომის წინ და შემდეგ იყო წარმოშობილი და ჩამოყალიბებული. მან ცხადჰყო ის, რომ საქართველოს მომავლის შექმნისათვისაც ახალი ფაქტორები იწყებენ როლის აღსრულებას: 1) პოლიტიკური კონცეპცია გაერთიანებულ ევროპისა და 2) მსოფლიო — ახალი ისტორიული ფაქტორი ამერიკის შეერთებული შტატების სახით. ორივე ეხება საქართველოს უშუალოდ და ახლოს. აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს ამ მდგომარეობის განჭვრეტა და შეფასება, მისი ღირებულებისა და წონის გამორკვევა, და ქართული საქმიანობის ამ ახალ ფაქტორებთან შეფარდება.

**
*

მეორე მსოფლიო ომი ამერიკამ მონროეს დოქტრინით დაიწყო: ხელუხლებლობა დასავლეთ ჰემისფერისა. ომის დროს იგი იძულებული ხდება შესცვალოს ის ჩრდილო ატლანტიკის კონცეპციით (ერთობა ჩრდილო ატლანტიკის ირგვლივ მცხოვრებ ერებისა). დღეს კი ამ ატლანტიკის ირგვლივ მცხოვრებ ერების საერთო ორგანიზაციაში ისეთი ერებიც არიან შეყვანილი, რომლებიც არა მდებარეობენ ატლანტიკურ ოკეანეს ნაპირებზე: იტალია, საბერძნეთი, ოსმალეთი. ატლანტიკის პოლიტიკური იდეის რეალური განსახიერება მჭიდროდ მოეპყრო საქართველოს სამხრეთ საზღვრებსაც.

**
*

უდიდესი აზრი, რომელიც მე-20 საუკუნეში იქმნა წამოყენებული, არის ევროპის გაერთიანების იდეა, იდეა ზოგ საკითხებში უკვე სინამდვილეთ ქცეული: ვის შეუძლია განჭვრიტოს მთელი საამისოთ საჭირო სიღრმით, თუ რა ისტორიულ - პოლიტიკური შესაძლებლობანი აქვს თან დაყოლილი მარშალის ევროპიულ გეგმას, შუმანის გეგმას, ევროპიულ ჯარის შექმნას, ევროპის საბჭოს სტრასბურგში და სხვას?! ეს მხოლოდ მკრთალი დასაწყისია, მხოლოდ პირველი ნაბიჯი. მას მე-

ტი და უფრო დიდი ამბები მოყვება. თვით ლოდიკა მსვლელობისა მოიტანს ამას. შეიძლება ვიწამოთ, რომ ეს ჯერ კიდე სუსტი ნაკადი სასწრაფოთ გაიზრდება და ჩვენ მალე მოვესწრებით იმ დროს, როცა ნაკადი ზღვად იქცევა და საქართველოს ზღვასაც შემოიერთებს.

საქართველო მუდამ იყო ამ დიდი ევროპიული ოჯახის წევრი, ამ ოჯახის **შემძენი** და ამ ოჯახით **მოსარგებლე**. ჩვენ გვწამს, რომ **დამოუკიდებელი საქართველო** თავის ადგილს დაიკავებს გაერთიანებულ ევროპაში: ეს ადგილი მას დამსახურებული აქვს. ჩვენ გვწამს, რომ თავისუფალი ქართველი ერი ძველებურად გაშლის თავის ბუნებას და ნიჭს თავმოყრილ და მთლიან ევროპაში.

## ჩვენ მარტო არა ვართ.

ქართველი ერის თავისუფლება და მისი სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა გახდა მსხვერპლი 1921 წელს იმ პოლიტიკურ მოვლენათა, რომელნიც მხოლოდ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ყველასათვის ნათელ იქმნენ. კაცობრიობა ორ ბანაკად გაიყო: დასავლეთის დემოკრატია და ტოტალიტარული კომუნიზმი პირის - პირ დადგენ.

საქართველოში ამ დაპირისპირების სფეროში წარმოებს ბრძოლა უკვე ოცდაათ წელიწადზე მეტია მისი ეროვნული არსებობისათვის.

ჩვენი ბრძოლის გზა და მიზანი თავიდანვე გარკვეული იყო. ჩვენი ადგილი დასავლეთთან არის. დიდი ხნის განმავლობაში ჩვენ და საბჭოთა რუსეთის მიერ დამონებული ერების ბრძოლაში მარტო ვიყავით. მეორე მსოფლიო ომის პროცესში კომუნისტების მიერ ცენტრალური ევროპისა და ბალკანეთის ერების დაპყრობის შემდეგ, საზღვარი ჩვენი უშუალო თანამებრძოლთა ევროპაში მდინარე ვეზერამდის გაფართოვდა.

დიდი და პატარა ერები დღეს კრემლის მონობის უღელში გაბმულნი, ყველანი იბრძვიან თავისუფლებისათვის: გერმანელები, ჩეხოსლოვაკები, პოლონელები, რუსები, ესტონელები, ლიტოველები, ლატვიელები, ფინები, უნგრელები, ბოლგარელები, რუმინელები, უკრაინელები, ქართველები, სომხები, აზერბეიჯანელები, ჩრდილო - კავკასიელები, რუთენები, თურქესტანელები და ყაზახები ცალ - ცალკე, მაგრამ ერთი მიზნით, შეგნებით, განცდით და იმედით იბრძვიან. და ეს ბრძოლა ამ ერებისა არის ბრძოლა არა მხოლოდ მათი განთავისუფლებისა და თავდახსნისათვის. მათი თავდახსნით ისინი იხსნიან ადამიანობას, ერს, ევროპას და კაცობრიობას. ეს არის მთელი დევიზი მათსავე დროშაზე აღბეჭდილი, აღბეჭდილი მთელი მათი განცდით, გრძნობით, მთელი მათი შეგნებით.

ამნაირად ჩვენ მარტო არა ვართ. დასავლეთის თავისუფალმა კაცობრიობამ შეიგნო საშიშროება და დაინახა თუ რა საფრთხეშია მრავალ ათასეულ წელთა განმავლობაში ჩვენ მიერ ვე შექმნილი სულიერ - გონებრივი განძი. მან დაინახა თუ რა საფრთხეშია თვითონ და იწამა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ ნებით თუ უნებლიეთ ჩვენთან ერთად არის შებმული საერთო ბედის უღელში.

## საქართველო მსოფლიო - ისტორიულ გარდატეხის ხანაში

მეორე მსოფლიო ომმა ცხადჰყო, რომ ჩვენ ვიმყოფებით დიდ გარდატეხის ხანაში. ერებმა უნდა ნათლად დაინახონ თვისი ახალი მდგომარეობა, ახლად განიხილონ მათი გარემოება, ახლად მოიფიქრონ და გამოარკვიონ, თუ რა გზით უნდა იარონ.

ამ ამოცანის წინაშე დგას ყოველი ერი, და საქართველოც. თუ მას მომავალშიც სურს არ იყოს მხოლოდ საგანი სხვისი ისტორიისა, არამედ თვითონ ჰქმნიდეს თავის ისტორიას, თვითონ იყოს თავის-უფალი და ამ გზით წილი შეიტანოს მსოფლიოს ახალ მოწესრიგებაში და განამტკიცოს თვისი მომავალი, საჭიროა ქართველმა ერმა ნათლად შეიგნოს მისი მდგომარეობა, შეიარაღდეს გონებრივად და სულიერად, და შეხვდეს ახალ ისტორიულ გარემოებას ახალი საშვალებით, ახალი გზებით, ახალი ხერხით და ახალი აზროვნებით და პოლიტიკური სტრატეგიით. ქართველ ერს ვერავინ ამ ამოცანიდან ვერ გაანთავისუფლებს; ვერავინ სხვა მის მაგიერ ვერ განსჭვრეტს, თუ როგორ უნდა იყოს აგებული მისი მომავლის მონუმენტალური წენობა. მან უნდა ჩაჰბერონ მის მშენებლობას თავისი სული, მისცეს მას მზიურობა და მაჯის ცემა ქართველობის მოდგმის გულითგან. მხოლოდ ასეთ მისწრაფებას ექმნება ძალა ააღვივოს ერის გულში და სულში ახალი მზიური ცეცხლი, გაანთავისუფლოს ტყვეობაში მყოფი ძალები და გამოიწვიოს შეურყეველი ნდობა, ნდობა შუქმოფენილი და მალალი მომავლისადმი.

თუ საქართველოში ქართველი ერი ტყვეობაშია და მას საშვალება წართმეული აქვს თავისუფლად იაზროვნოს და იმოქმედოს, ჩვენ, აქ თავისუფლებაში მყოფთ უფრო მეტად გვეევალება მივიღოთ ეს მსოფლიო ისტორიული მსველელობით მონიჭებული ამოცანა ჩვენ თავზე.

---

## „ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ ᲮᲛᲐ“

მეორე მსოფლიო ომის წინა პერიოდში, ევროპის ერთ ნაწილში გაბატონდა ტოტალიტარული რეჟიმები. თვით ომის პერიოდში კი ტირანებმა თავის ქვეყნებს ისეთი ჯებირები შემოავლეს და ხალხი იმ გვარად ჩაჰკეტეს შიგ, რომ მათი აბსოლუტური იზოლაცია მოხდა. ტოტალიტარული რეჟიმების ტყვედ ქმნილ ხალხისათვის შეუძლებელი იყო სცოდნოდათ თუ რა ხდებოდა მათ გარშემო და იძულებულნი იყვნენ, შოვლენები ისე მიეღოთ და ისე წარმოედგინათ, როგორც ამას ხელისუფლება აწვდიდათ. ცხადია საზოგადოების დიდი ნაწილი გრძნობდა, რომ ყველაფერი ისე არ შეიძლება ყოფილიყო, როგორც ამას ტირანები სახავდნენ, მაგრამ ყოველგვარ საინფორმაციო წყაროებს მოკლებულნი, იძულებულნი იყვნენ თავისი ორეოფობა იდუმალებით დაეფა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოდ. დროის კი თავისი მიჰქონდა და ახალი თაობა შეეჩვეოდა მოვლენების ყალბ შეფასებას და აზროვნებას ყალბი მიმართულებით განავითარებდა, რაც მომავლისათვის საუკეთესო მასალა იქნებოდა ყოველი დემაგოგიური ხელისუფლებისათვის.

ეს მომენტი ზედმიწევნითი სისწორით გაითვალისწინა თავისუფლებაში დავაჟკაცებულმა ამერიკის ხალხმა და ადამიანის და ერის მაღალი უფლებების დაცვისათვის, სადაც ეს შელახული იყო, საჭიროდ მიიჩნია ქვეყნიერებისათვის მართალი სიტყვა ეთქვა და მოვლენების სწორი გაშუქება მიეცა. ამერიკის ხალხის წარმომადგენლებმა— კონგრესმა — ამ საშიშროების სწორი გაგებით და პასუხისმგებლობის სრული შეგნებით თავის მთავრობას დაავალა, ირადიკალური ზომები მიეღო რათა ტოტალიტარული ქვეყნების მოსახლეობას სიმართლე სცოდნოდა.

„ჩვენ უნდა გვიცნობდნენ ისე, როგორიცა ვართ სინამდვილეში, ამბობდა შეერთებული შტატების კონგრესი. ჩვენი მოვალეობა არის თავისუფლებას მოკლებულ ხალხს, რომელსაც თავისი მმართველები ტენდენციური ინფორმაციებით ჰკვებავენ, მივაწვდინოთ სიმართლე და მოვლენების სწორი შეფასება, ყოველ ცილისწამებას პატიოსნება უნდა დაუპირდაპიროდ, ყოველ დამახინჯებას ფაქტები, ყოველ ტყუილს სიმართლე“. ეს ამ მიზნით შეერთებული შტატების ხელისუფლებამ მიიღო გადაწყვეტილება და 1942 წლის თებერვლის 25-ს გაიხსნა „ამერიკის ხმა“. ჩვენი მიზანია თავისუფლება და ვებრძვით მონობას, ამ ჩვენი მუშაობით გვინდა შევქმნათ ისეთი მსოფლიო, სადაც ყველა იცხოვრებს არა როგორც მტრები, არამედ როგორც ძმები“.

ეს იყო პირველი სინათლის ნაპერწკალი წყვდიადად უკუნეთში.

მას შემდეგ და განსაკუთრებით მეორე მსოფლიო ომის შემდეგ პერიოდში უფრო მძიმე მომენტები წარმოიშვა. ევროპის ორი ტოტალიტარული სახელმწიფოს დანგრევა არ აღმოჩნდა საკმარისი მსოფლიოში თავისუფლებისა და მშვიდობიანობის დასამყარებლად. საბჭოთა კავშირმა დაიპყრო და მონობის მძიმე უღელი დაადგა თითქმის მთელ აღმოსავლეთ ევროპას და მას მძიმე რკინის ფარდაჩამოფარა. „ამერიკის ხმამ“, მოვალედ მიიჩნია თავისი - თავი ამ წამებულ ხალხსაც მართალი სიტყვა უთხრას და ნუგეში სცეს. ამ დროიდან იწყება „ამერიკის ხმის“ გაზრდა და გაფართოება. მას მიემატა საბჭოების მიერ დაპყრობილი ერების ვანყოფილებები და მათ შორის 1951 წლის მაისის 26-ს, ქა ოულიც.

იქნება შემთხვევით არ იყო რომ სწორედ საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს გაიხსნა ეს განყოფილება. იქნება შემთხვევით არც შეერთებული შტატების საგარეო საქმეთა მინისტრის ბ-ნი აჩესონის სიტყვები იყო, ვანყოფილების გახსნის დროს ქართველ ხალხს რომ მიმართა და სთქვა: „ბევრი რამ გამიგონია თქვენს მშვენიერ ქვეყანაზე, მის დიდებულ მთებზე და მდიდარ ველებზე, წარსულის ძვირფას ნაშტებზე; ხალხის მშვენიერ ბუნებაზე და მის ბაღალ სულზე... გამიგონია როგორ მეოდგრად იცავდით თქვენი ათას წლოვანი ისტორი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ის მანძილზე თქვენს ძველ კულტურას და ქრისტიანულ ცივილიზაციას... თქვენ შესძელით საუკუნეთა მანძილზე შეგენახათ თქვენი ეროვნული თავისუფლება... ჩვენ ამერიკელები, თაყვანს გცემთ ასეთი შეუდრეკელობისათვის... დღეიდან „ამერიკის ხმა“ თქვენ მოგაწოდებთ მშობლიურ ენაზე სიმართლეს, რომლისაც კომუნისტებს ეშინიათ და ცდილობენ დაგიმალონ... ამერიკის ხალხის და მთავრობის საბოლოო მიზანია, შეიქმნას მშვიდობიანი მსოფლიო, სადაც ალარ იქნება მძლავრი და სუსტი და ადამიანებს შეეძლებათ იცხოვრონ და იმუშაონ თავისუფლად და ბედნიერად... და ჰქონდეთ უფლება თაყვანი სცენ ღმერთს თავისი სურვილისამებრ“.

ასეთი არის „ამერიკის ხმის“ დიდი როლი და დანიშნულება

დღეს ქართული განყოფილების წლის თავზე, ქვეყნიერებაზე სიმართლის მიმოფრქვევის საქმეში მისი დამსახურება უკვე ნათელია და მისი არსებობაც ამით გამართლებული.

„ამერიკის ხმა“ განაგრძობს თავის მოქმედებას, დიდი მოვალეობის მაღალი შეგნებით და ამიერიდანაც ეცდება არ მოაკლოს თავის მეგობრებს, „რკინის ფარდის“ იქით თუ აქეთ, მართალი სიტყვა და მოვლენების სწორი შეფასება.

---

## უცნაური დემოკრატია, უცნაური პარლამენტი, უცნაური ჯანმრთელობა ცით მანანა და ოქროს საქმე

ვისბადენის უკულმართობამ დიდი აურზაური გამოიწვია ქართულ ემიგრაციაში. ბუნებრივად იგი პრესაშიც ალიბეჭდა და მეტად მწვავედაც. ვფიქრობდით მის განელებას, და ეს ჩვენი გადაწყვეტილება ჩვენ არ დაგვიფარავს ვისბადენის გმირებისათვის. ვისბადენმა რაც ზიანი მიაყენა ქართულ საქმეს, ამას ვერ გამოასწორებდა მწვავე კამათი და შეხლა - შემოხლა. გვინდოდა დაგვემყარებია ქართულ საზოგადოებაში დინჯი და დამშვიდებული აზრთა გაცვლა-გამოცვლა, რათა ამით გაგვეადვილებინა შემცდარ და მავნე გზაზედ დამდგარ წრისათვის ასეთი გეზის დატოვება და ჩვენი ეროვნული ბრძოლის ძველ პოზიციებზედ დაბრუნება. ჩვენის მხრივ ეს იმითი დაიწყო, რომ ქართულ პოლიტიკურმა ცენტრმა გამოსცა ამ ვისბადენის ბიოგრაფია და თავიდან ბოლომდე მისი ნაბოქმედარის დახასიათება. იქ მხოლოდ ფაქტები აღნიშნული და მათი დაფასება, არავითარი ლანძღვა - გინება, არავითარი პიროვნული თავდასხმა. მიუხედავათ ამისა „მებრძოლი საქართველო“ მაინც თავის ჩვეული გზით მიდის, და მასაც საკინკლაოს ლაზღანდარობის საგნად ხდის. ის დასცინის თავის მოწინააღმდეგეებს. იმის გამო, რომ მათ არ აქვთ მდიდარი სტამბა და იძულებული ხდებიან ბანჭანაზედ დაბეჭდონ თავისი აზრი და შეხედულება. იძულებული ვხდებით დავაკმაყოფილოთ ეს მათი კაპრიზი და „ხელნაწერ განმარტებას“ სტამბაში ალბეჭდილათ ვაწოდებთ მათ ყურადღებას. იმედია ეხლა მაინც გასცემენ პასუხს ყოველივე იმას, რაც ვისბადენს შეეხება და არა მხო-

ლოდ მერვე მუხლს, რომელიც სავარაუდო ამბებზედ მეტყველობს. ეს მუხლიც ისე მრუდეთ არის განმარტებული, რომ ასეთის სიყალბეს მხოლოდ ერეგვენი ვერ შეამჩნევს. არც ამ მუხლში და არც სხვა მუხლებში არსად არის თქმული, რომ ჩვენ კერენსკისა და მელგუნოვის ამალასთან კოორდინაცია არ გვინდა იმიტომ, რომ ესენი დემოკრატები არიან და სოციალისტები. ჩვენ იმიტომ ვართ ვისბადენის წინააღმდეგ, რომ ის ჩვენგან მოითხოვს ჩვენი ეროვნული პოზიციების დატოვებას და მთლიანი რუსეთის პოლიტიკაში თავის შერგვას; ხოლო ვინც ამას არ მოგვთხოვს, ამათში ჩვენ უთუოდ ვარჩევთ იმათ, ვისაც უბრძოლიათ და იბრძვიან ბოლშევიზმის წინააღმდეგ, ვიდრე თებერვლის რევოლიუციის უსულო და უსხეულო ნაშთებს. 412 რუსულ ორგანიზაციაში უთუოდ მემარჯვენეებიც მოიპოვებიან და რეაქციონერებიც, მაგრამ ასევე დემოკრატებიცა და სოციალისტებიც. ამათში უთუოდ ბევრი არაა უფრო მემარჯვენე, ვიდრე ის ერთად ერთი მასსიური პარტია სოლიდარისტებისა, რომელიც თავიდანვე მონაწილეობდა ვისბადენის საქმეში. მაშინ ეს პარტია დემოკრატიულად მიიჩნიეს რუს და ქართველ ვისბადენელებმა. შემდეგ ამ პარტიამ დასტოვა ვისბადენი, და ის, რასაკვირველია, ფაშისტურად იქნა გამოცხადებული ვისბადენელების პრესაში. ამის შემდეგ ვისბადენელებმა კვლავ შეუდგენ მასთან მოლაპარაკების და დღემდე ცდილობენ მის უკან დაბრუნებას. თუ ეს მოახერხეს მას, რასაკვირველია, დაუბრუნდება ეს დემოკრატიული წოდება. განა შეიძლება ამაზედ კიდევ შეტად გამასხარავება დემოკრატიული იდეისა და პოლიტიკის?

თქვენ არ მოგწონთ რუსეთის თებერვლის რევოლიუცია, ხოლო მან ჩვენ მოგვიტანა თავისუფლება, 26 მაისი, დამოუკიდებლობაო. საიდან საადაო, ჩვენ რომ დამოუკიდებლობა გამოვაცხადეთ, ეს უმსგავსო რევოლიუცია უკვე რვა თვით ადრე იყო ჩაბარებული პატრონს. თუ მაინც და მაინც რუსეთის რევოლიუციის საჩუქრად გინდათ გამოაცხადოთ ეს 26 მაისი, მაშინ ის ბოლშევიკური რევოლიუციის საჩუქრად უნდა მიიჩნიოთ. თებერვლის რევოლიუციაში თქვენ მხოლოდ ბოლშევიკების გაბატონება დაგინახავთო. ეს ბოლშევიზმი არც ისე პატარა რამ არის, რომ არ ეიკმაროთ და კიდევ ბევრი სხვა მოვთხოვოთ თქვენ საყვარელ თებერვლის რევოლიუციას. ხოლო ჩვენ ვიცით, რომ თქვენ, ჯგუფურად და პარტიულად, ბევრი რამ კეთილი გახსოვთ მისგან: ძალა - უფლება რომ ჩაგაბარათ, მისი ადმინისტრაციით, ხაზინით და რუსული ჯარით. ტკბილად იგონებთ ალბათ თქვენ მაშინდელ დემოკრატიას, თებერვლის რევოლიუციის „პოსლედოვატელნოე ნაროდოვლასტიეს“, ამ რუსის სალდათებს რომ მიუსევდით „შოვინისტურ“ პარტიებს და არბევინებდით მათ რედაქციებსა და პოლიტიკურ კლუბებს. სხვაფერ როგორ გავიგოთ თქვენ მიერ ასე თავით ფეხებიანთ ჩამოკიდება ან კერენსკიზედ და მის თებერვლის რევოლიუციაზედ? როგორ წარმოვიდგინოთ, რომ თქვენთან მრავალი თათბირების დროს, კერენსკიმ არ მოგაგონათ ეს მისი თქვენდამი დიდი დამსახურება, და გადაკრულად თუ ახდილად არ დაგპირდათ, რომ მას კვლავ შეუძლია

ეროვნული ბიბლიოთეკა

თქვენთვის ასეთი სამსახურის გაწევა—ეხლა არა რუსული, არამედ ამერიკული ხაზინისა და ჯარების შემწეობით? უთუოდ იფიქრეთ—იქნებ გამართლდეს, ყოველივე შესაძლებელია ასე არეულ ქვეყნიერებაში. ხოლო თუ ეს არ გამართლდებოდა მომავალში, აწმყოში ხომ გამართლებული იქნებოდა თქვენი შესვლა კერენსკის პლანში, ამ რუსულ მარშალის პლანში. თქვენგანაც ეს მხოლოდ მოარიგი ტაქტიკის გაკეთებას მოითხოვდა — ტაქტიკით მიღებულ საქართველოს სუვერენობის ტაქტიკითვე უარყოფას და გადაგდებას!

თებერვლის რევოლიუციის იდეები თქვენ არ მოგწონთ, ხოლო ამერიკელ სენატორებმა მოიწონესო. ეს იდეები ჩვენც მოგვწონს, ხოლო რამდენად უნდა დამონებული იყო ადამიანი სულიერად და მორალურად ამ რუსეთით, რომ ეს იდეები ესათუოდ ამ ცუდი რუსული ფაბრიკაციით და მარკით მიიღო? ეს იდეები მითა ჟამს არსებობდენ ყველა კარგ და ცუდ რევოლიუციებში, და რევოლიუციების გარეშეც, ხალხთა ცხოვრებაში და აზროვნებაში. განა ჩვენ არ მოგვეპოვებოდა ეს იდეები კერენსკის რევოლიუციამდე? რასაკვირველია, ამერიკელ სენატორებმა მოიწონეს ეს იდეები, და რუსის ხალხს რომ მიჰმართეს, ეს თებერვლის რევოლიუციას დაუკავშირეს და არა სტენკა რაზინის და პუგაჩოვის ბუნტებს, თუ ბოლშევიკურ რევოლიუციას. მათს ადგილზედ ჩვენც ასე მოვიქცეოდით, ხოლო აქედან ის დასკვნა უნდა გამოვიტანოთ, რომ ამერიკელი სენატორები, თუ ჩვენ, ამ რევოლიუციას და მის განალდებას კერენშჩინას, თავის იდეალად დაავისახავთ, როგორც ეს ჩაიდინეთ თქვენ მიუნხენის პაქტის მიღებით? მაგრამ როდიდან გახდით თქვენ ამერიკელებზედ უფრო ამერიკელები? ამერიკელი მოქალაქე სრულებით არ არის ვალდებული თავისი სენატორების აზრი უსათუოდ მიიღოს და მოიწონოს. მას იმის უფლებაც აქვს, რომ ის შემცდარად მიიჩნიოს და მის წინააღმდეგ წავიდეს. თქვენ კი ვისბადენის ამბების დასაცავად უმთავრეს საბუთად ის გაქვთ, რომ ასეთი იყო ამერიკული კომიტეტის სურვილიო, და ეხლა კიდევ თებერვლის რევოლიუციის გ ა ღ მ ე რ თ ე ბ ა ს ამერიკულ სენატორებს ახვევთ თავზედ. თქვენ სიგლახეა ჩვენ მათ არ ვაწერთ, ჩვენ ვარჩევთ თვით ჩვენ მივიღოთ ის ჩვენს თავზედ, როგორც ქართველებმა. ხოლო მომავალში თუ დავინახავთ, რომ ამერიკელების პოლიტიკა მიმართულია ჩვენი ეროვნული ინტერესების წინააღმდეგ, დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, რომ ჩვენ გავბედავთ მის ახდილად დაგმობას, როგორც ჩვენ ეს გაგვიბედნია სხვა სახელმწიფოების მიმართ.

ხოლო თუ თქვენ ყველგან და ყოველთვის გინდათ ხელმძღვანელოთ არა ქართული, არამედ ამერიკული საზომით, მაშინ თქვენ მთლად უნდა დასტოვოთ ქართული პოლიტიკის ხელმძღვანელობის პრეტენზიები, რადგან ამერიკაში არაფის უხილავს მარქსისტები სენატორებად და სახელმწიფოს მეთაურებად.

„მებრძოლი საქართველო“ მეორე წერილსაც ათავსებს „იშლება და მრავლდება“-ს სათაურით. ეს რასაკვირველია ვისბადენის მოწინააღმდეგენი იშლებიან და მათი ჯგუფები მრავლდებიანო. ამის გამო

ისინი უკავშირდებიან საქართველოს მტრების „კავკაზის“ მიმდევრებს, „რომელთაც ისე უყვართ საქართველო, როგორც ძაღლს პური“. ძაღლს რომ ასე შეაძულოთ პური, ეს თქვენი საქმეა, ხოლო რა საბუთით აცხადებთ საქართველოს მტრებად ყველა იმათ, ვინც ჰგმობს თქვენ მიერ ვისბადენზედ აკიდებას და საქართველოს მეგობრებად—კერენსკისა და მის ამალას, რომლებსაც თქვენ კისერზედ ჩამოეკიდეთ? პოლიტიკურ ცენტრში ნაციონალ-დემოკრატების მხოლოდ ერთი ნაწილია. ერთი გვიბრძანეთ სად არის ეს დანარჩენი ნაწილი? წერილები რომ დაუგზავნეთ და თქვენი პარლამენტის დეპუტატებათ მიიწვიეთ, ამათგან ერთმა მაინც თუ ისურვა ვისბადენის პარლამენტის დეპუტატობა? პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ი ცენტრი იშლება, თუ თქვენი „აბლასტნოი პრედ-პარლამენტი? ამას ჩვენ გვგონია კარგათ ხედავთ, ხოლო თუ ჯერ კიდევ ვერ ხედავთ, მალე დაინახავთ. ჩვენ ფრიად მნიშვნელოვან საკითხებზედ შეეკითხეთ თქვენ „დეპუტატებსა“ და პარტიის წევრებს. პასუხს უცდით და როდესაც მას მივიღებთ, მაშინ ვავაკეთებთ ჩვენ საბოლოო დასკვნას იმის შესახებ თუ თქვენი წრიდან ვინ ჩაბარდა საბოლოოთ კერენსკისა და მელგუნოვს და ვინ დარჩა თავის ერისა და თავის პარტიის ძველ პოზიციებზედ. მართალია მარქსისტული პარტიები ისე წვრთნიან თავის წევრებს, რომ პარტიული დისციპლინის სახელით, მათზედ ნამდვილ მონობას ამყარებენ, მაგრამ ამისაც თავისი საზღვარი აქვს. ვინც არ არის დაბადებული სავსებით მონური ბუნებით, ან მეტად ასუსტი ხასიათის, თავისუფალი პიროვნების სახის შენარჩუნებას ახერხებს. როდესაც მცირე ჯგუფი შეატრიალებს უკულმა მთელი პარტიის გეზს და მით უმეტეს მთელი ერისა და ყველა მისი ხელმძღვანელ ორგანოებისა, ამის მიღება და დამორჩილება არ არის პარტიული დისციპლინა, არამედ მონური მორჩილება. ჩვენ გვინდა გამოვარკვიოთ რამდენი გყავთ ამ თქვენს ბანაკში ასეთი მონა და რამდენი თავისუფალი ადამიანი.

ვისბადენის ერთი ლიდერი, და ამავე დროს ერთ-ერთი ლიდერი ს.-დ. პარტიისა, გ. ურატაძე აცხადებს „საბჭოში“: „ვისბადენი არის ის მიჯნა, სადაც დამთავრდა ის პოლიტიკა, რომელსაც ვაწარმოებდით ათეულ წლების განმავლობაში და დაიწყო **სრულიად ახალი.** მოხდა სრული გარდატეხა და ასეთი რადიკალური გარდატეხა ყოველგან და ყოველთვის იწვევს აზრთა აღრევას, აურა-ზაურს, ერთი მეორის დაპირდაპირებას“. ვინ გაატარა ეს მიჯნა, ვინ დაიწყო ეს სრულიად ახალი პოლიტიკა, ვინ მოახდინა ასეთი რადიკალური გარდატეხა ს.-დ. პარტიისა და მთელი ერის ცხოვრებაში, რომელი დემოკრატიული უფლებით, რომელი დემოკრატიული საშვალებით? აი ამ კითხვაზედ უნდა გასცეს პასუხი ყველამ, ვინც ამ „სრულიად ახალ“ გზას დაადგა. და სწორედ აქ გატარდება მიჯნა თავისუფალ ადამიანებისა და მონების შორის.

დისციპლინა თავისუფალი ადამიანის საქმეა. ის აზრისა და ნებისყოფის თავისუფალი წვრთნისა და ვარჯიშის ნაყოფია. მონის ბუნებაში აზრი უმოქმედოა და პასიური და ნებისყოფაც დახშული და დაჩ-

ლუნგებული. ამიტომ ის სხვისი აზრის და ნებისყოფის მასალაა, მისი ბრძა იარაღი. როგორ შეიძლება რომ ნორმალური გონების მქონე თავისუფალმა ადამიანმა დაიჯეროს, რომ ვინმეს აქვს აქ ემიგრაციაში ისეთი ძალა და უფლება, რომ შეუძლია გაუქმებულად და წამალილად გამოაცხადოს საქართველოს მთელი ეპოქა, საქართველოს საუკუნეობის ალდგენა, მისი დაკარგვა და ამის შემდეგ მის კვლავ ალდგენისათვის წარმოებული სისხლიანი ბრძოლები, რომელსაც შეეწირენ უამრავი ქართველი მამულიშვილები, ყველა წრის, ყველა წოდების, ყველა მიმართულების, და მათ შორის მრავალი თქვენი პარტიული ამხანაგები? ისად ხილული, სად გაგონილა ასეთი დემოკრატია, ასეთი დემოკრატიული მეთაურობა? ეს „ვისბადენის“ მიჯნა და მისი „ახალი პოლიტიკა ახალი გზა, მართლაც სასწაულებრივ ცვლილებებს იწვევს იმ წრეში, რომელიც მას მისდევს. 35 წლის ეპოქა რომ გააუქმეს ამით თავი იგრძნეს დიდათ გაახალგაზდებულად. ჩვენ კი ვფიქრობთ, რომ ამათგან ბევრი ბავშობაშიდაც ჩავარდა. შეიძლება მართლაც გამოუგზავნა მათ კერენსკიმ რამე ჯადო და მათ თებერვლის რევოლიუციის ფსიხოლოგია და აზროვნება დაუბრუნა. ეს მათი ახალი გზა, მათი ნაწერი და ნაბეჭდი, ეს მათი პარლამენტი, და მისი ალმასკომი ყოველ შემთხვევაში ჩვენი ეპოქის, ჩვენი დროის ამბავი არ არის. სრულიად არ არის დაფუძნებული იმაზედ, რაც გვქონდა და გვაქვს ამ 30 წლის მანძილზედ. არც სხეულებრივად და არც სულიერად არ არის გაგრძელება და განვითარება ჩვენი ერისა და მისი ემიგრაციის რეალური ყოფის, ავისა და კარგის. რა არის აქ სიყმაწვილიდან შერჩენილი და რა არის კიდევ ჩვენი ემიგრანტულ ცხოვრების სნეულობათა ნაყოფი, ამის გარკვევა არც ისე ადვილი საქმეა, და ეს ფსიხო პატოლოგიის საგანი უფროა, ვიდრე პოლიტიკის. ქართველ ვისბადენელთა უცნაური პარლამენტის წინაშე მისი ალმასკომის თავმჯდომარე ბ. ნოე ცინცაძე, ასე იწყებს თავის მოხსენებას: „ერთი წლისა ვართ, ბილანი ჩვენი ჯანმრთელობისა თქვენს წინაშე გვინდა გადავშალოთ“. და მართლაც მან გადშალა მათ წინაშე ეს ბილანი, ხოლო ის არ გამოდგა ჯანმთელობის, არამედ მძიმე, კოლექტიური დასნეულების კოლექტიური ფსიხოზის ბილანი.

როდესაც ვისბადენელები ეკამათებიან თავის ქართველ მოწინააღმდეგეს — პოლიტიკურ ცენტრს თუ სხვა ორგანიზაციებს, ისინი ივიწყებენ, თუ მართლაც ალარ ჩარჩათ გონებაში, რომ ეს ორგანიზაციები შედგენილი არიან და მუშაობენ იმავე საფუძვლებზედა და წესებზედ, რომელზედაც ემყარებოდენ თვითონ ისინი, სანამ მათ ეს ახალი გზა აიღეს. მათ განიზრახეს, ვინ იცის ვის მოსატყვილებლად, უფრო ფართე მასსებზედ დამყარება თავის ორგანიზაციისა და თავის მუშაობის. ეს ფართე მასა ირჩევს ეროვ. საბჭოს, ხოლო საბჭო ირჩევს ალმასრულებელ კომიტეტს. სინამდვილეში გამოვიდა, რომ არავინ არავის ირჩევს, ხოლო ფარულად ვიღაცა ვიღაცას ნიშნავს. დელეგატებს ვინ და როგორ იწვევს, ეს არ არის დაკანონებული, ხოლო სინამდვილეში ასე ხდება, რომ ერთი პირადოვნებიდან მომდგარი „მასა“, ხშირად ერთ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სა, და ორ დელეგატსაც ნიშნავს, ვისბადენის პარლამენტის სესიაზედ დასასწრებლად. თვითონ აღმასკომი კიდევ ბარათებით იწვევს დეპუტატად გახდომის მაურველებს და ასე მოწვეულთა რიცხვიდან, დაახლოვებით ოცი პროცენტი თანხმდება დეპუტატობას. ასე შეკრებილი დეპუტატები ჰქმნიან ქართულ „ეროვნულ საბჭოს“, როგორც ყოველგვარი ქართული საქმიანობის ხელმძღვანელ ორგანოს. ეს ერ. საბჭო ირჩევს თავის ეგზეკუტივს — აღმასრულებელ კომიტეტს. ხოლო მას ირჩევს უსათუოდ ახდილი კენჭის ყრით, ზევიდან ნაკარნახები სიით. ეს აღმასრულებელი კომიტეტი არასოდეს არ აბარებს რაიმე ანგარიშს იმ საბჭოს, რომელმაც ის აირჩია, არამედ სხვა, ახალ საბჭოს, რომელსაც შემდეგ მოიწვევს და შეადგენს ეს აღმასკომი. ასეთი დემოკრატიული წყობა დიდათ წაგავს იმ „სალდათებისა და მუშების საბჭოს“ რომელიც მეთაურობდა ფაქტიურად თებერვლის რევოლიუციას. ხოლო ზოგს რამეში კიდევ უფრო უწესოა, ვიდრე იყო ეს თებერვლის დემოკრატია, და თვით ეხლანდელი დემოკრატია პოპულერი. საბჭოთა წყობილება რომ სრული წინააღმდეგობაა დემოკრატიის, ისიც ერიდება დეპუტატებისა თუ აღმასკომების შექმნის ასე ახდილად გამასხარავებას. ასეთსავე ჯანმრთელობის ადასტურებს უთუოდ კიდევ ის გარემოება, რომ ამ ვისბადენის პოლიტიკის შესახებ, რომლითაც დაიწყო ახალი ეპოქა და ახალი გზა ამ გზადაკარგული ხალხისა, რაც რამე მოხსენდა ამ სახელოვან პარლამენტს, სულ მცირედი გამონაკლისით, ყოველივე იყო ან სრულიად ტყვილი, ან და სანახევროდ გადაკეთებული. ჯერ სესიას რომ წარუდგინეს უცხო ერების წარმომადგენლები, რომელნიც მოსულან ვისბადენის საქმის საქებრად და სადიდებლად, ნამდვილათ ოთხში სამი მყო ანტივისბადენელები და მოვიდენ ორი ვისბადენელთა მოსალოცავად, არამედ ქართველი ერისა. ისინი უთუოდ მოატყვილეს — ეს ქართული ემიგრაციის საერთო ყრილობაა. ამ საპარლამენტო სესიის საგანგებო ბიულეტენში ეს ნათლად სჩანს. უკრაინის წარმომადგენელი ამბობს: „ჩვენ ერთად ვიყავით გუშინ, ერთად ვიქნებით ხვალ. შეიძლება დღეს ჩვენ შორის იყოს განსხვავება მეთოდებში, მარა ის დროებითია და გაივლის“. მალე მეორედ იქნა გამოცემული ამ სესიის ნამუშავარი, ეხლა უკვე დასურათებული, როგორც სინემატოგრაფიული ჟურნალი. აქ სრულიად ამოღებულია პირველი ფრაზა, ხოლო მეორე ფრაზაში „შეიძლება დღეს“ მაგიერ ნათქვამია „ზოგჯერ“. ამით სრულიად წაშლილია მეტად ნათლად გამოთქმული აზრი, რომ დღეს უკრაინა ორ არის იმ ქართველებთან, რომელნიც ვისბადენის გზას დაადგენ. ბელორუსიის შესახებ ხომ დიდათ იკვეხნიდენ ჩვენი ვისბადენელები, ბელორუსია, ეს 17 მილიონიანი ერი დავიმეგობრეთო, ე. ი. ვისბადენს დაეკავშირეთო. ნოე ცინცაძე არწმუნებს თავის პარლამენტის სესიას—ბელორუსიის ყველა ორგანიზაციები წმედიან საკოორდინაციო ცენტრში მისი რადის თავმჯდომარის აბრამჩიკის მეთაურობით“-ო. სინამდვილეში კი იქ ორ შედიან ამათგან არც აბრამჩიკი და არც სხვა ვინმე. ეს აბრამჩიკი ასე მიესალმება ჩვენ სახელოვან პარლამენტს: „მე ბედნიერი ვარ თქვენი სახით მივმართო ქარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თველ ერის“. დასურათებულ გამოცემაში ეს ასეა გადაკეთებული — „ბედნიერი ვარ რომ მეძლევა შემეხვევა თქვენ მოგესალმოთ“. ასევე ყალბად ცხადდება მათ მიერ პარიზში შემდგარი კავკასიელთა თათბირი ვისბადენის გზაზედ დამდგარ საქმედ და სხვა ცნობები შესახებ რუსულ და სხვა ეროვნებათა ვისბადენისტურ ფრაქციებისა. ესე და მრავალი სხვა გაყალბება ამ დეპუტატების სიტყვებში და მათ ოფიციოზში აღბეჭდილი შეიძლება მხოლოდ მცირე ნაწილში გამოსახავს რაიმე ანგარიშს, იმასაც მოკლესა და წვრილმანს, ხოლო უმთავრესში უთუოდ ნაყოფია ამ უცნაური ვისბადენური სნეულების. ამისვე გამოძახილია ამ ახალგზელთა უცნაური გაგება პოზიციისა და ოპოზიციის. არ მალავენ, რომ მათ დასტოვეს ათეულ წლების პოლიტიკური პოზიცია, ხოლო ვინც ეს პოზიცია არ დასტოვა და ახალგზელებს არ გაჰყვა, ოპოზიცია გახდა და ვინ იცის სად მიმავალნი ახალგზელები-კი პოზიცია. ბ. ევ. გეცეტკორი კიდევ ისე შორს მიდის, რომ ამ ვისბადენის ავანტიურას მსოფლიო ანტიბოლშევიკურ ბრძოლის ხერხემლად ასაღებს. „ჩვენ საქმეს და წამოწყებას ერთი დიდი მტერი და უამრავი მოწინააღმდეგე ყავს. მტერი მოსკოვია და როგორც ყველგან ის აწარმოებს გააფთრებულ ფსიქოლოგიურ ომს ჩვენი საქმიანობის წინააღმდეგ... მისი ხელი ურევია ჩვენს არევ-დარევაში“. აქედან ისეთი დასკვნა უნდა გამოვიტანოთ, რომ საქართველოსა და საბჭოთა კავშირის სხვა ერების შეურიგებელი დაპირდაპირება და შეურიგებელი ბრძოლა ბოლშევიკური მოსკოვის წინააღმდეგ, უფრო მისაღები ყოფილა კომუნისტებისათვის ვიდრე ვისბადენელების ხაზი, რომელიც უფრო ამასხარავებს დემოკრატიულ წყობას და წესს, ვიდრე თვით ეს კომუნისტური მოსკოვი და ეროვნულ საკითხში კმაყოფილდება გაცალებით ნაკლებით, ვიდრე საბჭოთა კონსტიტუცია ანიჭებს საბჭოებში შემავალ ერებს. მეორე დეპუტატიც ასე აშუქებს ამ საკითხს, ბ. ვ. ჩუბინიძე: ხოლო ვერც ის გვიხსნის თუ რატომ არის უფრო მავნე საბჭოებისათვის ეს ვისბადენის პოლიტიკა, ვიდრე ეს 30 წლის პოლიტიკა — ბოლშევიზმის მიმართ ყველა პოლიტიკურ-სოციალური საკითხებზედ შეურიგებელი ბრძოლის პოლიტიკა. მათი ოფიციოზი, მებრძოლი საქართველოს სახელს რომ ატარებს სრულიად ყალბად და დაუმსახურებლად კიდევ უფრო შორს მიდის და სწერს ვისბადენის მოწინააღმდეგეთა შესახებ: ისინი ადვილად ხდებიან მსხვერპლნი სხვა და სხვა ავანტიურისტურ და საერთაშორისო აგენტურათა (რომელთა შორის, უეჭველია, საბჭოთა აგენტებიც დაძრწიან) პროვოკაციის“. საერთაშორისო აგენტურამ თქვენი ჭირი წაიღოს, ხოლო ეს საბჭოთა აგენტების ამბავი ფრიად საყურადღებო საქმეა და მაზედ დიდი სიფრთხილე მართებს სწორედ ვისბადენის წრეს, რომელშიდაც არიან თავმოყრილი ის პირები, რომელნიც მრავალჯერ გააბეს თავის მახეში ამ საბჭოს აგენტებმა. ჩვენ არ გვჭირდება გაფრთხილება ამ საგანზედ, ვინაიდან ასეთი სიფრთხილე არასოდეს დაგვკლებია. „მებ. საქ.“ გვარწმუნებს:

„ღიათ ვმუშაობთ, ყველასთვის ნათელია და თვალდასანახია ჩვენი საქმე და მოღვაწეობა... თვით ყოველობაზედ კი „ატმოსფერა იყო

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადინჯებული, კამათი ღრმა დაკვირვების, დაძაბული ყურადღების ნიშნის ქვეშ, თითქოს გალურსული, მაგრამ შინაგანათ ვულკანისებრი ამოძრავებული“. გასაგებია, რომ ეს ვულკანისებრ ამოძრავებული ახალ გზაზედ დამდგარი ახალი ძალა ამ მიმართულებითაც დაეჯახა ძველ პოზიციებზე დარჩენილ ქართველებს. თქვენი წარმომადგენლები რომ სხვა და სხვა ქვეყნებში მოგზაურობენ, ჩაბარეთ ამის ანგარიში საზოგადოებასთ. საიდან რა თანხებს ღებულობთ, კეთილ ინებეთ და აცნობეთ საზოგადოებასთ. ეი ჩვენ არ ვფარავთ, ხუთი მილიონი გვაქვს მიღებული და ის ასე მოვახმარეთ ეროვნულ საქმესთ. როგორც სჩანს ეს ხალხი მართლაც გაუმაწვილებულად გრძნობს თავს და სრულიად ახალი ცხოვრების დაწყებას აპირობს. მათ უთუოდ სრულიად დავიწყებიათ მთელი თავისი წარსული, საკმაოდ ხანგრძლივი წარსული, ნახევარ საუკუნეზედ მეტი. ეხლა ჩვენ მოგვიხდება მათთვის ამ მათი წარსულის გახსენება და შეთვისება. ხოლო წარსული მათი ისეთი იყო, რომ მათ არამც თუ არასოდეს ჩაუბარებიათ თავისი პოლიტიკური და ფინანსიური ანგარიშები იმათთვის, ვის წინაშე ისინი არ იყვენ ვალდებული, არამედ იმვიათათ იმათთვისაც, ვისთვისაც ამ ანგარიშის ჩაბარების მოვალენი იყვენ. ამ ჩაუბარებელ ანგარიშთა რაოდენობა ასჯერ ხუთი მილიონია და კიდევ მეტი. მას რასაკვირველია ვერ დაფარავს ეს მათი ხუთი მილიონის ანგარიში და ეს მათ მხოლოდ იმათთვის რომ წარედგინათ, ვისგანაც მიიღეს ეს თანხა. ამაში მათ არავინ გამოედავებოდა. ხოლო რუსეთში გამგზავრებამდე საჭირო იყო ამ ქართული ანგარიშების გასწორება.

რას აკეთებთო? ჩვენ იმას ვაკეთებთ რასაც ჩვენ ყველა ვაკეთებდით ამ 30 წლის მანძილზედ. ხოლო თქვენ რომ ახალი გზით წადით, ამდენი ყრილობები და სესიები გამართეთ აქ და ვისაბადენში, რათ დაუმალეთ ქართველ საზოგადოებასა და თვით იმ „ეროვნულ საბჭოს“, რომლის სახელით აწარმოებდით ამ მუშაობას, ეს თქვენი ახალი მოღვაწეობის დაგვირგვინება, მიუნხენის სტატუტი, ეს თქვენი ახალი კონსტიტუცია, რომელმაც უნდა გააუქმოს დამოუკიდებელი საქართველოს კონსტიტუცია? 11 ოქტომბრის შემდეგ ერთი დიდი ბიულეტენი გამოეცეთ და ორი ჟურნალი და ეს თქვენი ახალი აღთქმა იქ არ მოგითავსებიათ, თქვენი „დეპუტატებისთვისაც“ არ გიცნობებიათ. ამ ზომად უცნაურია თქვენი დემოკრატია და თქვენ სხვებისაგან მოითხოვთ — რას აკეთებთ, ანგარიში ჩაგვაბარეთთო. ქართველ ვისაბადენელების ამ უცნაური გარდაქმნის „ბილანი“ მეტად ვრცელია და მას ჩვენ აქ ვერ ამოვწერავთ. დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობის ერთი ყოფილი წევრი ამას დიდი პოლიტიკური „ჯანმრთელობის“ ნიმუშად აცხადებს, ხოლო მეორე წევრი გაიძახის „პარლამენტის“ სესიაზედ — ეს „ციდან ჩამოვარდნილი მანანაა“, მესამე ყოფილი მინისტრი ირწმუნება — ჩვენ ეს „ოქროს საქმე გვაქვს ხელშიო“, ხოლო მეოთხე და კიდევ სხვა ყოფილი წევრები სიხარულით ვარსკვლავებს ეთამაშებიან — ეს რა მშვენიერი და ბედნიერი საქმე ჩავიდგეთ ხელშიო. არც ერთ სხვა ემიგრაციაში არ მომხდარა ამის მსგავსი რამ. სხვებში თითო-ორო-

ლა, იშვიათად ათეული პირისაგან შემდგარი ჯგუფი აყვა ამ ამბავს. ამათგან ძვირად თუ ვინმე ჰფარავა მიზეზს — მატერიალური მდგომარეობის გამოსწორების ზრახვას. ქართული საზოგადოებაც ასე აფასებს ჩვენი სოციალისტების ერთი ნაწილის ამ „ახალ“ გზაზედ დადგომას. მათ ხომ დედის ძუძუსთან ერთად შეაზარდეს რწმენა, რომ მდგომარეობა ჰქმნის შეგნებასო“ (ბიტიე საზდაიოტ მიშლენიე). ეს „კერენსკის“ პლანის მდგომარეობა,, როგორც ეს სესიას მოხსენდა, სულ ულრიდა ხუთ მილიონ ფრანკს წლიურად, ე. ი. ერთი ამერიკელი მუშის ხელფასს. როგორ უნდა წარმოვიდგინოთ, რომ ასეთი „მდგომარეობა“ ასე ასი გრადუსით მეუტრიალებს „აზროვნებას“ თუნდაც ერთ ქართველ მოღვაწეს, არამც თუ ამხელა წრეს? ქართული თავმოყვარეობა არ გვაძლევს ასეთი ახსნის მილების ნებას. ეს ჩვენი დიდი მარცხი უნდა მივიჩნიოთ როგორც შედეგი 30 წლის მანძილზედ ეროვნულ სხეულს მოწყვეტით გამოწვეული ხორციელად და სულიერად დაძაბუნების, დასუსტების და აგრეთვე მოხუცებულობის, ამ განუკურნავი სენის, რომელიც ყოველ ცოცხალ არსს დარაჯობს და ეწვევა. თუ კიდევ არის შესაძლებელი ამ წრის გამობრუნება, და კვლავ ჩვენს ძველ ეროვნულ სადარაჯოზედ მოყვანა, ეს ყველა ქართველ მემარცხენეებისთვის უნდა იყოს სასურველი და საზრუნავიც. ხოლო თუ ეს არ მოხერხდება, რა გაეწყობა, ამას უნდა შეეურიგდეთ. ამათზე უფრო დიდი ქართველები შეიწირა საქართველოს განმათავისუფლებელი ბრძოლის საქმემ და ჩვენმა ერმა ეს გადაიტანა, გაძლო, მოინელა; ასეთს მარცხსაც მოინელებს და გადაიტანს.

**გუშაგი.**

---

## „ქართული ეროვნული საბჭოს“ რღვევა

„ქართული ეროვნული საბჭოს“ შექმნამ შეცდომაში შეიყვანა ქართული ემიგრაციის ერთი ნაწილი, განსაკუთრებით, საფრანგეთში არა მცხოვრებნი. მის შექმნაში მონაწილეობა მიიღეს: საქ. ს.-დემოკ. პარტიის ორივე ფრაქციამ, მათმა „მოძმე“ სოც.-ფედერალისტთა ჯგუფმა, „თეთრი გიორგი“-ს ორგანიზაციის დიდმა ნაწილმა, ბ. მიხ. წერეთელის მეთაურობით, და პიროვნულათ ბ. გ. კერესელიძემ და ბ. დ. სხირტლაძემ. ნათ მხარს უჭერდა მიუნხენში არსებული ცენტრალური ევროპის ქართული პოლიტიკური კომიტეტიც.

„ეროვნული საბჭო“-სა და მისი აღმასკომის მოქმედების პირველი დღიდგანვე გამომჟღავნდა მათი სახელდახელოთ შექმნის მიზანი. ვისბაღენმა ნათელჰყო მათი პოლიტიკის ხაზი და მიმართულება — ანტიქართული და რუსოფილური. აქედან დაიწყო შეცდომაში შეყვანილი წრეების გამოფხიზლება და რეაქცია. გასული წლის თებერვალში მიუნხენის კომიტეტმა საგანგებოთ გამოქვეყნებული საბრალმდებლო აქტით ჩვენი ეროვნული პოლიტიკის უდიდეს მარცხათ და ღალატათ მიიჩნია „ეროვნული საბჭო“-ს პოლიტიკური ხაზი და მოქმედება. ასევე

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოიქცა, რამოდენიმე თვის უნაყოფო ექსპერიმენტების შემდეგ „თეთრი გიორგი“-ს ორგანიზაცია. „კომიტეტში გაბატონებულმა „სიუპრიზებისა“ და ფაქტის წინაშე დაყენების სისტემამ, გასული თვის 18-ს მეორე ვისბადენამდე (შტანენბერგი) მიგვიყვანა, სადაც ჩვენი კომიტეტი აღმოჩნდა ჩვენი ქვეყნის მტერთან, რუსთან ერთად, ერთ ბანაკში და მასთან უპირობოთ თანამშრომლობს. საბოლოოთ გამოაშკარავდა „საბჭოსი და კომიტეტის“ ხელმძღვანელთა რუსოფილური ხაზი და რუსული ორიენტაცია. ჩვენის ღრმა რწმენით, კომიტეტის წევრთა უმრავლესობის მიერ აღებული პოლიტიკური ხაზი არ ეგუება საქართველოს ნამდვილ ინტერესებს“-ო.

ასეთი განცხადებით შესწყვიტა თანამშრომლობა გასული წლის 5 ივლისიდან საბჭოსთან ამ ორგანიზაციამ და მათი წარმომადგენელნი გამოიწვია საბჭოსა და კომიტეტიდან.

გასული წლის ივლისშივე ს.-დ. პარტიის მეთაურების მიერ აღებული ანტიეროვნული და რუსოფილური პოლიტიკური ხაზის სასტიკათ გასამართლებისა და დაგმობის შემდეგ, ორგანიზაცია დასტოვა საქართველოს განმანთავისუფლებელ ბრძოლებში აღზრდილმა და სალი ეროვნული შეგნებითა და ინტერესებით ასულდგმულებულმა, მეორე თაობის ერთმა ნაწილმა, ბ.ბ. სვ. იბლიაძის, ბ. ლაბაძისა და გრ. წერეთლის მეთაურობით. ემიგრაციის ამ „სხიველებმა“ იხსნეს საქ. ს.-დემოკრატიული პარტიის ეროვნული და ქართული ღირსება

სოც.-დემოკრ. პარტიის ერთი ნაწილიც ვაიმიჯნა „ეროვნულ საბჭო“-სა და მისი კომიტეტისაგან.

მართალია, „ეროვნულმა საბჭომ“ მიიმხრო მიუნხენის „დემოკრატიული კავშირი“, მაგრამ, ორი კვირის შემდეგ ეს ჯგუფიც გავიდა „საბჭოდან“ მისი ხაზისა და მოქმედების სასტიკი დაგმობითა და გაკიცხვით. ჩვენ იმედი გვაქვს, რომ ასევე მოიქცევა ნიუ-ორკის „დემოკრატიული კავშირი“, რომელიც შორიდან ვერ ხედავდა ნათლად ამ ქართველ ვისბადენელთა მავნე მოღვაწეობას.

მიუნხენის „საკოორდინაციო“ ცენტრის წესდება, რომლის გამოქვეყნებას მეტათ ერიდებიან ვისბადენის „საბჭოელები“, ალბათ თვალებს აუხელს მათ წრეში შერჩენილ ქართველ პატრიოტებს და განსაკუთრებით სოც.-ფედერალისტებს, რომელთა ოპოზიცია ვისბადენის პოლიტიკის მიმართ თავიდანვე აღინიშნა საკვლებით გარკვეულად. იმედია ისინი ლოლიკურად დაადგენენ ასეთს ხაზს და მით იხსნიან არჩილ ჯორჯაძის ეროვნული პარტიის ღირსებას.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ „მებრძოლი საქართველო“-ს უკანასკნელ ნომერში მოთავსებული წერილისა და ამ ჩვენი მიმოხილვის წაკითხვის შემდეგ მკითხველი დაინახავს თუ, რომელი დაწესებულება არისრულევისა და დაშლის პროცესში. ქართ. ეროვნულ - პოლიტიკური ცენტრი, რომლიდან წევრების გასვლის მესეხებ ვისბადენელთა ოფიციოზი ყალბ ცნობებს აქვეყნებს, თუ „ქართველი ეროვნული საბჭო“, რომლის მდგომარეობა აქ აღვწერეთ საკვლებით სინამდვილით და გადაუჭარბებლად.

**მეთვალყურე.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## უკრაინელი კონგრესმანები ევროპაში

ამერიკიდან ევროპაში ჩამოვიდა პროფ. დობრიანსკის მეთაურობით უკრაინელთა კონგრესის ოთხი წევრისაგან შემდგარი კომისია, რომლის მიზანია ევროპაში მყოფ უკრაინელი პოლიტიკური ორგანიზაციების პოზიციის გამოარკვევა ამერიკული კომიტეტისა და მიუნხენის საკოორდინაციო ცენტრისადმი. მათ ითათბირეს მიუნხენის, რომის, პარიზის, მადრიდის და ლონდონის უკრაინელ ორგანიზაციებთან. ყოველგან, მიიღეს უარყოფა ზემოაღნიშნულ ორგანიზაციებთან რაიმე სახით თანამშრომლობისა. უკრაინულმა პოლიტიკურმა წრეებმა ერთხელ კიდევ დაადასტურეს მათი ერთგული პოლიტიკური პოზიცია და თანამშრომლობის შეუძლებლობა იმ ორგანიზაციებთან, რომელნიც ებრძვიან მხოლოდ რუსულ ბოლშევიზმს და არა რუსულ იმპერიალიზმს.

დადგენილ იქმნა არჩევა დროებითი კომისიისა, რომელიც გამოიმუშავებს უკრაინული პოლიტიკური წრეების საერთო შეხედულებას და საერთო პირობებს, ამერიკელებთან მოსალოდნელი თანამშრომლობისათვის, რომელსაც კონგრესმანები წარუდგენენ დაბრუნებისას ამერიკულ სათანადო წრეებს.

---

## ექიმ გრ. ალშიბაიას შესახებ ცილის წამების საქმე

ჩვენს მკითხველებს უთუოდ ახსოვთ ეს ყოველად უმსგავსო და ქართული ემიგრაციის ზნეობრივად შემლახავი ამბავი. ალექსანდრე დემეტრამ (დემეტრაშვილი), რომელიც უკრაინელ მღვდლის სამოსელით მოგვეელინა, დაბეჭდა ანონიმურად რუსულ ენაზედ ფურცელი, სადაც ფანტასტიკურ მძიმე ბრალდებებს ურდგენდა ცნობილ ქართველ მოღვაწეს ექიმ გრიგოლ ალშიბაიას და მის შვილს მიხეილს. შეურაცყოფილმა მხარემ გამოარკვია ანონიმურ ცილისწამებათა ავტორი და ის სასამართლოში მისცა. გერმანულ სასამართლომ ყოველგვარი საშვალება მიანიჭა ა. დემეტრას მის მიერ აღძრულ ბრალდებათა დასამტკიცებლად. სამი თვის მანძილზედ მრავალჯერ გადადგა თავისი სხდომები ა. დემეტრას თხოვნით, მისი „ბრალი „საბუთებისა“ და მოწმეების მოსასმენად. ბოლოს, 19 დეკემბერს, სასამართლომ გამოიტანა თავისი განაჩენი, რომლის ძალით ა. დემეტრას ალშიბაიების ცილისწამებისათვის მიესაჯა 600 მარკის გადახდა, ან 100 დღით ციხე, და აგრეთვე ანაზღაურება სასამართლოს ყველ ხარჯების. ეს განაჩენი უნდა გამოქვეყნდეს დამნაშავის ხარჯზედ „სამხრეთ გერმანიის გაზეთში“ და პარიზში „ევერიისა“ და „ჩვენი დროშის“ ფურცლებზედ.

ა. დემეტრას მოქმედება იმ ზომად დაწმარებულია არამც თუ საშლელელო, თუ საზოგადოებრივ მოღვაწეობის წესს, არამედ სრულიად ელემენტარულ ადამიანურ ზნეობას, რომ მის შესახებ სერიოზული მსჯელობა მხოლოდ შელახავს ჩვენს ქართულ ღირსებას. ჩვენ მხურვალე თანაგრძნობას უცხადებთ ბ.ბ. გრიგოლ და მიხეილ ალშიბაიებს, და

ეროვნული ბიბლიოთეკა

დარწმუნებული ვართ რომ ამით მთელი ქართველი საზოგადოების აზრს გამოვსახავთ.

ქვემოდ ჩვენ ვბეჭდავთ სასამართლოს განაჩენის ტექსტს.

Aktenzeichen: 8 Bs 1669/51.

Im Namen des Volkes.

U r t e i l.

Das Amtsgericht München, Abteilung Strafgericht, erkennt in der Privatklagesache der Dr. Gregor und Michael von Alschibaya, Klg. u. Wdbkl.

gegen

vertr. d. RA. Dr. R. Aschenauer
Demetra Alexander Beklagter u. Widerkläger
vertr. d. RA. IR. Dr. Wermuth

wegen

übler Nachrede u. a.

in der immer öffentlichen Sitzung von 22 Sept. 1952 bis 19 Dezember 1952 an der teilgenommen haben:

1. Amtsgerichtsrat Ratxinger
als Amtsrichter,
2. Justizsekretär Fehr
als Urkundsbeamter

auf Grund der Hauptverhandlung zu Recht:
Demetra Alexander, geboren am 13.4.1886 n Gori (Kreis Tiflis)

Russland, Staatenlos, geschiedener Oberpriester, wohnhaft in München, Müllerstr. 45/I RG

ist schuldig Zweier rechtlich zusammentreffender, fortgesetzt und offenlich begangener Vergehen der üblen Nachrede in Tateinheit mit zwei rechtlich zusammentreffenden, festgesetzt und öffentlich begangenen Vergehen der Beleidigung.

Er wird hierwegen zu 600.— (sechshundert) D-Mark Geldstrafe, ersatzweise 100 (einhundert) Tagen Gefängnis verurteilt.

In Richtung gegen die beiden widerbeklagten Dr. Gregor und Michael von Alschibaya wird das Verfahren eingestellt.

Die Kosten des Verfahrens einschlisslich der den beiden Klägern und wiederbeklagten erwachsenen notwendigen Auslagen trägt der Beklagte und Widergläger Demetra.

Die beiden Kläger sind befügt, den erkennenden Teil des Urteils binnen 6 Monaten ab Rechtskraft auf Kosten des Verurteilten je einmal im Anzeigenteil der Süddeutschen Zeitung und in den in Paris erscheinenden Georgischen Blättern «Iveria» und «Unser Banner» zu veröffentlichen.

**„ᲨᲝᲑᲘᲡ ᲮᲔ“.**

1 იანვარს, კოლონიის მიერ გაცხართულ ტრადიციულ „შობის ხის“ სადღესასწაულო საღამოზე ბ. შოთა აბაშიძემ გამოიყვანა მის მიერ ახლად - გაწვრთნილი ახალგაზრდა მოცეკვავეთა გუნდი. საზოგადოებამ მბურვალე ტაშით დააჯილდოვა მოცეკვავეთა გუნდი. სცენაზე გამოიწვია მათი ხელმძღვანელი ბ-ნი შ. აბაშიძე და ტაშის ცემითვე მადლობა გამოუცხადა.

**მ. ტულუშის მოხსენება.**

8 ნოემბერს, ბ. ტულუშმა წაიკითხა პარიზის ქართველობის წინაშე ფრიად საინტერესო მოხსენება, რომლის საგანი იყო არჩილ მეფის მიერ ქართული სტამბის დაარსების ისტორია და საქართველოს ორიდიდი მეგობრის, დიდი ორიენტალისტის მამა პეტერსის და ბელგიელ პოლიტიკურ მოღვაწის დებრუკერის მოღვაწეობა.

**ᲔᲥ. Ი. ᲮᲝᲕᲝᲚᲐᲕᲐᲡ ᲛᲝᲮᲡᲔᲜᲔᲑᲐ.**

7 დეკემბერს ბ. ი. ხოვოლავამ წაიკითხა მოხსენება შემდეგ თემაზედ: ადამიანის ადგილი ბუნებაში და მისი მორალის საკითხი. მომხსენებელმა გააცნო საზოგადოებას ჩვენი ეპოქის ზოგიერთ დიდი მეცნიერებისა და ფილოსოფოსების აზრები და გაუკეთა მათ საინტერესო კომენტარიები თანამედროვე ბიოლოგიურ მეცნიერებათა მიღწევების მიხედვით.

**„ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲡᲐᲥᲛᲔ“.**

ეს რვეულები საესებით მიძღვნილია სოციალისტ-ფედერალისტური პარტიის დაარსებისა და მისი 50 წლის მოღვაწეობის ისტორიას. არჩილ ჯორჯაძისა და მისი თანამებრძოლების მოღვაწეობის მოგონება ფრიად საინტერესო საქმეა საზოგადოთ, და განსაკუთრებით ამ ჟამად, როდესაც დიდ იდეურ კრიზისს განიცდიან ამ პარტიის ზოგიერთი მიმდევარნი და უფრო მეტად მათი „მოძმე“ პარტია. შემდეგ ნომერში ჩვენ დავაფასებთ ამ პარტიის ეროვნულ ღვაწლსა და დამსახურებას.

**ᲘᲜᲢᲔᲠᲜᲐᲪᲘᲝᲜᲐᲚᲣᲠᲘ ᲒᲐᲛᲝᲤᲔᲜᲐ.**

ლონდონში შესდგა ფეხსაცმელების მკერავთა (ბოტიე) ინტერნაციონალური გამოფენა. ბ. **ნიკ. ბარნოვი** იქნა დაჯილდოებული ოქროს მედლით.

---

მწუხარებით ვაუწყებთ ქართულ საზოგადოებას, რომ უკანასკნელ თვეებში გარდაიცვალენ: ქ-ნი **მარიამ მამულაიშვილისა; ბ.ბ. დავით აბაშიძე, გაიოზ მაღალაშვილი, სანდრო კობიაშვილი, ივანე ჯავახიშვილი, შაქრო ტატუნაშვილი, იოსებ ელიგულაშვილი, შალვა სოხაძე დავით კლდიაშვილი, ნოე ჟორდანია, აპალონ კობახიძე.**

„ᲘᲕᲔᲠᲘᲘᲐ“ რედაქცია მბურვალე თანაგრძნობას უცხადებს მიცვალებულთა ჭირისუფლებს.

---

დასაბეჭდი მასალები უნდა გადმოიგზავნოს რედაქციის მდივანთან:
**V. CHOUBLADZE 35, rue du Banquier, Paris (13).**

Impr. de Navarre, 11, rue des Cordelières, Paris.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## „ივერიის“ ფონდისათვის ფულებულია:

**ნიუ - იორკის** ერ.-დემ. ორგანიზაციიდან: 18.600 ფრ. + 10.345 ფრ. — სულ 28. 945 ფრ.

**სოშო - მონბელირის** პარტიის წევრთა და თანამოაზრეთაგან: 1) ახვლედიანი დიმიტრი—2.000 ფრ., 2) ჭირაქაძე სევერიანე—1.000 ფრ., 3) აბულაძე გრიგოლ—1.000; 4) აბულაძე ევტიხი—800; 5) ემუხვარი ვილლი—800; 6) ჭაჭიაშვილი ბაგრატ„1.000; 7) ქიმერიძე დიმიტრი—700; 8) ზედგენიძე ილო—600; 9) გელენიძე ლუკა—500; 10) ფაარცხაშვილი პეტრე—500; 11) სალუქვაძე გოგია—200; 12) კვარცხავა გიორ. —100; 13) ჭინჭარაძე მიხეილ—100; 14) კვერღელაძე დიომიდე—400; 15) ანზულატი ვასილი—300; 16) ექიმი თამარ მაჭავარიანი—300; 17) კრაველიშვილი ოთარი—500; 18) გვასალია ვლად.—300; 19) ჩიქვილაძე კოტე—300; 20) ზედგენიძე შალვა—200; 21) ზედგენიძე თეოდორე—200; 22) ზედგენიძეელენე—100; 23) კვარცხავა ვილ.—200.

**სულ 12.200 ფრ.**

რედაქცია ულრმეს მადლობას უცხადებს ზემოდ მოხსენებულ შემოწირველთ და მათთან ერთად იმათაც, რომელთა სიას ამ ჟამად ვერ ვაქვეყნებთ.

---

როდესაც შეუდექი ამ უკანასკნელ ნომრის („ივერიის“) აწყობას, ჩემი განცხადება უკვე იყო გამოქვეყნებული „მებ. საქ“. მე-8-ე ნომერში. ერთ-ერთი წერილის აწყობის დროს, გახსენების სახით შევეკითხე ამ ორგანიზაციის ხელმძღვანელს: მიაქციეთ ყურადღება ჩემს განცხადებას და უწევთ ანგარიშ თუ არა? პასუხი იყო დამაკმაყოფილებელი. მაშინ მიუთითე ერთ წერილის ორი ადგილის შესწორებას, დამპირდა. შესწორება გაკეთა (?!), მაგრამ სამწუხაროდ შემწვარი ქათმის მაგივრათ მოხარჩული ქათამი ჩასდო... ეს ალბათ პირის დეკორაციის საკითხი ყოფილა. არც მეტი არც ნაკლები.

ასათ-ამწყობი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

C-543